შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის
განყოფილება

მანუჩარ ლორია

საქართველოს შავიზღვისპირეთის ებრაელები

ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

ქართულ-ებრაული ურთიერთობების კვლევა ერთნაირად საინტერესოა როგორც ქართული, ისე ებრაული სამეცნიერო წრეებისათვის. იგი უფრო მრავალფეროვანს ხდის მათი თანაცხოვრების ისტორიულ პალიტრას, ხელს უწყობს ამ ორი ერის ურთიერთობების კიდევ უფრო გამტკიცებას.

ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი და მთლიანობაში წარმოდგენილი საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა დღემდე ნაკლებად ცნობილი ისტორიის ეპიზოდები და ეთნოგრაფიული თავისებურებანი. კვლევა წარიმართა აჭარის მომიჯნავე კუთხეებშიც, რათა შესადარებელი მონაცემების შუქზე სათანადო დასკვნები გაგვეკეთებინა.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ნუბზარ მგელაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ვახტანგ შამილაძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

როლანდ თოფჩიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-409-11-0
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2009

მესავალი[1]

ეროვნებათაშორისი ურთიერთობების, მათ შორის, ეთნოკულტურული პროცესების კვლევა, თანამედროვე ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მოსახლეობის როგორც ეთნიკური, ისე კონფესიური ნაირგვარობა საქართველოში უძველესი დროიდანვე არსებობდა, ებრაულ დიასპორას აქ მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ებრაელებმა საქართველოში თან მოიტანეს მათთვის დამახასიათებელი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა, რელიგია და ქართულ ეთნოსთან ინტეგრაციის ფონზე შეინარჩუნეს ნაციონალური თვითმყოფადობა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ცნება „ქართველი ებრაელი", როგორც ამ ორი ეთნოსის თანაცხოვრების გამომხატველი ტერმინი, რაც საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტების ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. შესაბამისად, საინტერესოა საქართველოს მავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა კულტურულ-ისტორიული ხასიათის იმ თავისებურებათა გამოვლენა და გაანალიზება, რომლებიც ებრაულ დიასპორას აჭარაში ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ადაპტაციის პროცესში ჩამოუყალიბდა.

თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის გარემოება, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობების კვლევა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე ებრაული სამეცნიერო წრეებისათვის. იგი უფრო გააღრმავებს მათი თანაცხოვრების ისტორიული პალიტრის შესწავლას, რაც იმავედროულად კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მათი ურთიერთობების გამტკიცებას.

მაგრამ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ებრაელად? ამ კითხვას თანამედროვე მსოფლიოს ებრაული საზოგადოება დღესაც სვამს. სამეცნიერო გამოკვლევების თანახმად, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები სამ ჯგუფად იყოფიან: დაბა-

---

[1] წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: ნ. მგელაძეს, ვ. შამილაძეს, თ. ფუტკარაძეს, რ. თოფჩიშვილს, ნ. კახიძეს, კ. სურგულაძეს, მ. ფაღავას, მ. ჩოხარაძეს, თ. ტუნაძეს, რ. ბარამიძეს, ო. ტეიფს, კ. სეფიაშვილს, მ. ბინიაშვილს.

ღებით და რელიგიით ებრაელი; ებრაელი რელიგიით, მაგრამ არა წარმომობით; ებრაელი წარმოშობით, მაგრამ არა რელიგიით.

ბუნებრივია, ჩვენ ყველა ეს ჯგუფი გვაინტერესებს, ანუ, ზოგადად ებრაელთა ცხოვრება საქართველოში, განსაკუთრებით მის ერთ კონკრეტულ ნაწილში.

ებრაელთა საქართველოში ცხოვრებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, დიასპორის ისტორიის პერიოდიზაციის საინტერესო სქემაა წარმოდგენილი ე. მამისთვალიშვილის ნაშრომში, სადაც ქართულ-ებრაული ურთიერთობები რვა პერიოდადაა დაყოფილი. ესენია: ებრაელთა მოსვლიდან ჩვ. წ. IV საუკუნემდე; აღრეფეოდალური ხანა – IV-XII საუკუნეები; განვითარებული ფეოდალიზმის ხანა – XI-XVII საუკუნეები; რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობიდან ბატონყმობის გაუქმებამდე (1801-1860-იანი წლები); XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1917 წლამდე; 1918-1921 წლები; 1921 წლიდან - დღემდე.[2] ამ პერიოდის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უფრო მართებული იქნებოდა მისი ორ ნაწილად დაყოფა: ებრაელები საბჭოთა მმართველობის პერიოდში და ებრაელები დამოუკიდებელ საქართველოში (ქართულ-ებრაული ურთიერთობები, ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ა.შ).

წინამდებარე ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს ძირითადად პერიოდს XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. აჭარის ებრაული დიასპორის სინამდვილეში ესაა ოსმალური ხელისუფლების რუსული მმართველობით შეცვლის ხანა. შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას მოჰყვა სიონისტური იდეების გამოცოცხლება და ნაციონალური სულის გაღვიძება, რამაც ხელი შეუწყო ებრაელთა მიგრაციას – ალიას ისრაელში.

საქართველოს მავიზღვისპირეთის ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ქართველ ებრაელებთან შედარებით, რაოდენობრივად უფრო მეტი ამქენაზი ებრაელი ცხოვრობს. ჩვენი მიზანია აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოლოგიური და

---

2 *მამისთვალიშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995, გვ.14.

კულტუროლოგიური თავისებურებები მონოგრაფიულად შეეისწავლოთ, გავაანალიზოთ ებრაელთა ტრადიციული ყოფის რეგიონული სპეციფიკა და ეთნოფსიქოლოგიის ის მხარე, რაც საქართველოში მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას დაედო საფუძვლად. პრობლემის ამგვარად დასმამ განსაზღვრა შემდეგი საკითხების შესწავლა: საქართველოში ებრაელთა მიგრაციის დრო და პირობები; სინაგოგა და ებრაული თემის ეთნორელიგიური სტრუქტურა; ტრადიციული ყოფა; კულტურულ-პროფესიული ადაპტაცია, სიონიზმი და ალია ერეც-ისრაელს.

შესადარებელი ეთნოგრაფიული მასალების მოძიების მიზნით კვლევამ მოიცვა აჭარის მომიჯნავე კუთხეებიც, რამაც პარალელური მონაცემების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა.

ნაშრომში საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ეყრდნობა ეთნოლოგიაში ცნობილ ისტორიულ-შედარებით, კომპლექსურ-ინტენსიურ და ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდებს[3].

ნაშრომის ძირითად წყაროთმცოდნეობით საფუძველს წარმოადგენს მოსახლეობის დემოგრაფიული და სტატისტიკური აღწერის მასალები. გამოყენებულია: ისრაელის ცენტრალური სიონისტური, საქართველოს სახელმწიფო საისტორიო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მასალები, აჭარის მმაჩისა და ბათუმის მმაჩის ბიუროს საარქივო ცნობები, ასევე, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდის მონაცემები.

საქართველოში მცხოვრები ებრაელების შესახებ, XIX საუკუნიდან დაწყებული, არაერთი საინტერესო სტატია და ნაშრომი დაიბეჭდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ზ. ჭიჭინაძის მცირე ფორმატის წიგნი. ეს იყო ქართველი ებრაელების წარსულის შესწავლის პირველი სერიოზული ცდა. ნაშრომში მოკლედ დახასიათებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელების ისტორიულ-ეთნოლოგიური თავისებურებანი. ზ. ჭიჭინაძე გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს აჭარის ებრაელებზეც და

---

3 ვიზუალური მასალების საფუძველზე ასევე მოვამზადეთ სამეცნიერო-პოპულარული დოკუმენტური ფილმი — „ებრაული დიასპორა აჭარაში“.

ხაზს უსვამს ბათუმში ებრაელთა დასახლების ეკონომიკურ დაინტერესებას. „ბათუმს სცხოვრობენ ებრაელნი, ვაჭრობისათვის მოსულნი სამცხიდან, საკმარისია რიცხვი იქ მათი"[4].

XX საუკუნის 30-40-იან წლებში სამეცნიერო თვალსაზრისით ნაყოფიერ და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1933 წლის 23 ნოემბერს, ღარიბკომთან არსებული კულტბაზის შენობაში საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი გ. ჩიტაია იგონებდა: „30-იან წლებში, იმ დროს შინსახკომის პასუხისმგებელი მუშაკი იყო რუსი ებრაელი ა. ლინეცკი, იმის დახმარებით, სინაგოგაში, ჩემი კონსულტაციით გაიხსნა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი"[5]. მუზეუმში იყო სამი განყოფილება: ეთნოგრაფიული, ისტორიული და სოციალისტური. მუზეუმთან თანამშრომლობდნენ ცნობილი მეცნიერები: ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, შ. ჩხეტია, ს. იორდანაშვილი, შ. ამირანაშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი და სხვა. მათი ენერგიული და კვალიფიციური დახმარების შედეგად მუზეუმმა მიიღო ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერთა მთელი ჯგუფი, რომელმაც შემდეგში თავის მხრებზე ზიდა მუზეუმის სამეცნიერო თუ მოძიებითი სამუშაოების ძირითადი ტვირთი.

1933-1936 წლებში მუზეუმმა მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველი ებრაელები. ექსპედიცია სწაელობდა და აგროვებდა მასალებს საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის, მათი მატერიალური კულტურის, წარსულის შესახებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ამსასველი მასალების შესწაელა-დამუშავების შედეგად, 1937 წ. მოეწყო სტაციონალური ექსპოზიცია თემაზე — საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა. გამოფენებში წარმოდგენილი იყო ისტორიული საბუთები საქართველოს ებრაელთა შესახებ, მათი

---

[4] *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქრთველოში, თბილისი, 1990, გვ. 66.

[5] *ცაგარეიშვილი თ.* აკად. გიორგი ჩიტაია და საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (მეცნიერის არქივიდან).- დ. ბაადოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, IV, თბილისი, 2006, გვ. 162.

ყოფის დამახასიათებელი ექსპონატები, დიაგრამები, კარტოგრამები, ფოტო და ფერწერული სურათები.

მუზეუმმა, სამეცნიერო პოტენციალის გაზრდასთან ერთად, გამოსცა სამი კრებული – 1940, 1941, 1945 წლებში. მუზეუმი დიდ როლს ასრულებდა ებრაელთა თვითშეგნების ამაღლებაში, დიასპორის კულტურის, წარსულის და აწმყოს წარმოჩენისა და პროპაგანდის სფეროში[6].

ეთნოლოგიური კვლევის პროცესში ვიზუალური საშუალების გამოყენებამ საფუძველი დაუდო ახალ სამეცნიერო მიმართულებას - ვიზუალურ ანთროპოლოგიას. ამერიკელი ანთროპოლოგი მ. მიდი წერდა: „ვიზუალურ ანთროპოლოგიის მთავარი მიზანი უნდა იყოს კულტურის აუდიო-ვიზუალური დოკუმენტაცია და ანალიზი... ვიზუალური მასალები, რომლებიც ინარჩუნებენ დროის რეალობას, წარმოადგენენ ახალი ჰიპოთეზის აღუწერელ წყაროს".[7] ამ მხრივ, ებრაელებთან დაკავშირებით საინტერესოა თვითნასწავლი მხატვრის შალომ კობოშვილის შემოქმედება. მან ფანქრით, აკვარელითა და ზეთით 60-ზე მეტი მცირე და დიდი ზომის სურათი დახატა. ნახატებში დეტალურადაა მოცემული ებრაელთა ყოველდღიური ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი[8].

განსაკუთრებით ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალა ებრაელთა ტრადიციული ყოფის სხვადასხვა საკითხების შესახებ (ნიშნობა, ქორწილი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა, მიცვალებულის დაგირება და სხვა) დაცულია რ. თავდიშვილის ნაშრომ-

---

6 *წიწუაშვილი შ.* საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (1933-1951 წწ.).- დ. ბაბოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, IV, თბილისი, 2006, გვ. 248-251.

7 დაწვრ. იხ.: *Mead M.*, Visual Anthropology in a Discipline of Words. In: Principles of Visual Anthropology. P. Hockings, ed. Mouton, 1995; *Balikci A.*, The Legacy of Margaret Mead: the Case of Visual anthropology. In: Bulletin of the International Committee on Urgent Anthropological Research. Vienna. Vol. 8, 1987; *Ibid.*, Anthropologist and Ethnographic Filmmakers. In: Anthropological Filmmaking. J' Rollwagen, ed. NY Harwood, 1988.

8 დაწვრ. იხ.: *ჯაპისშვილი ი.* თვითნასწავლი მხატვარი შ. კობიაშვილი და მისი შემოქმედება.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, II, თბილისი, 1941.

ში – „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“[9].

კავკასიაში მცხოვრებ ებრაელთა ისტორიის ცალკეულ საკითხებს ი. დავიდმა რუსულ ენაზე ფუნდამეტური ნაშრომი მიუძღვნა – «История евреев на Кавказе», რომელიც ორ ტომად გამოიცა. მონოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია კავკასიის ებრაელების სტატისტიკის, დემოგრაფიის, ეთნოლინგვისტიკის, სოციალური და სამეურნეო ყოფის, ტრადიციის, რელიგიის, განათლების და სხვა საკითხებზე. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომში მოყვანილი ის ცნობები, რომლებიც აჭარის ებრაულ დიასპორას ეხება. მათ შორის აღსანიშნავია უცხოეთში გამომავალი პერიოდიკის მასალები, მოგზაურთა ინფორმაციები, საღაც ვხვდებით ბათუმში ებრაელთა დასახლების, საქმიანობის, რელიგიური ცხოვრების, სიონიზმთან დაკავშირებულ ფართო საზოგადოებისათვის ნაწილობრივ უცნობ ფაქტებს. ეს ნაშრომი ქრონოლოგიურად XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს[10].

ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიიის არაერთი ასპექტია გაანალიზებული ე. მამისთვალისშვილის მონოგრაფიაში – „ქართველ ებრაელთა ისტორია“. ჩვენთვის საყურადღებოა სხვადასხვა ებრაული თემის, მათი დასახლებისა და განსახლების ისტორია, ქართველ ებრაელთა გვარსახელები, ებრაელთა საქმიანობა, მიგრაციული პროცესები. ავტორი აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომელთა გამო ებრაელები ტოვებდნენ პირველსაცხოვრისს და სახლდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვ. აქ ისინი ქმნიდნენ კომპაქტურ დასახლებებს, ცალკეული უბნების სახით. აღნიშნული მონოგრაფია მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, ებრაელების საქართველოში პირველი გამოჩენიდან, XIX საუკუნის შუა სანებამდე[11].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თ. იველაშვილისა და თ. ცაგარეიშვილის მონოგრაფია ქართველ-ებრაელთა ყოფისა და

---

9 *თაედიშვილი რ.* ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1940.

10 *Давид И.* История евреев на Кавказе, I-II, Тель-Авив, 1989.

11 *მამისთვალიშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ.16.

კულტურის შესახებ — „გეისმობს მამული მამა-პაპათა“. იგი სამეცნიერო-პოპულარული სასიათის განმაგოგადებელი ნაშრომია, სადაც ნაჩვენებია ქართულ გარემოში ებრაელთა დამკვიდრების თავისებურებები. მასში „ქართველი ებრაელი“ წარმოჩენილია, როგორც ორი ერის მშვიდობიანი თანაცხოვრების საინტერესო მოღელი. ავტორთა დასკვნები დამყარებულია მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე, რაც გრდის გამოკელევის სამეცნიერო ღირებულებას[12].

ქართველ ებრაელთა გვარსახელების შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ი. გაგულაშვილის ორი ნაშრომი - „ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი“ და „ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი“[13].

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში მცხოვრებ ებრაელთა წესჩვეულებები განსილულია ისრაელში გამოცემულ შრომებში (ი. ბალერი[14], ხ. დონინი[15], შ. ვაგშალი[16], გ. დიჩერი[17], ი. ტელუშკინი[18], ბ. გრინბერგი[19] და სხვ.), რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენს საკელევ რეგიონში მცხოვრებ ებრაელებთან, განსაკუთრებით, ევროპელ ებრაელებთან დაკავშირებული ტრადიციული კულტურის მთელი რიგი ასპექტების გარკვევაში.

აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა ეთნო-რელიგიური სტრუქტურის დადგენის თვალსაზრისით საყურადღებოა დ. ზასლავსკის[20], მ. იხილოვის[21], ჯ. როზენბერგის[22], მ. ალსბულერის[23], ნ. დრაგანის[24], ი. კრუპნიკის[25] შრომები.

---

12 *იველაშვილი თ.* ცაგარეიშვილი თ. გეისმობს მამული მამა-პაპათა (ეძღვნება ისრაელში წასულ ქართველ ებრაელებს და მათ მოსამომავლობას), თბილისი, 1995.

13 *გაგულაშვილი ი.* ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, თბილისი, 1998; მისივე, ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი, თბილისი, 1998 .

14 *Залер И.* Основы законоположения правила и обычаи, I, Иерусалим, 1977

15 *Донин Х.* Быть евреем, Иерусалим, 1990.

16 *Вагшал Ш.* Еврейское воспитание, Иерусалим, 1990.

17 *Дичер Г.* Пастернак Ш. Бар-Мицва, Иерусалим, 1994.

18 *Телушкин Й.* Еврейский мир, Иерусалим, 1999.

19 *Гринберг Б.* Традиционный Еврейский Дом, Иерусалим, 2000.

20 *Заславский Д.* Евреи В СССР, Москва, 1932.

21 *Ихилов М.* Большая Семья и Патронимия у Горских Евреев.- СЭ, №1, Москва- Ленинград, 1950.

22 *Rothenberg J.* the Jewish Religion in the Soviet Union, New York, 1971.

ქართველ ებრაელთა ისტორიისა და ეთნოლოგიის სხვადასხვა საკითხზე, დაცული იქნა რამდენიმე საინტერესო საკანდიდატო დისერტაცია (ზ. ჯინჯიხაშვილი[26], ლ. მაგალი[27], ქ. აბულაძე,[28] შ. წიწუაშვილი,[29] ქ. შოშიაშვილი[30] და სხვა).

წინამდებარე ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი და მთლიანობაში წარმოდგენილი აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა დღემდე ნაკლებად ცნობილი ისტორიის ეპიზოდები და ეთნოგრაფიული თავისებურებანი. დადგენილია ებრაელთა დასახლების მიზეზები, დრო და პირობები, გვარები. გარკვეულია, თუ რომელი ებრაული ჯგუფი ცხოვრობდა რეგიონში. შესწავლილია ებრაელთა საოჯახო ყოფა, საქორწინო წეს-ჩვეულებანი, მიცვალებულის კულტი და საერთოდ, სამგლოვიარო რიტუალი. განხილულია მათი საქმიანობის სფერო, მიგრაციული პროცესები და სხვა.

---

23 *Altsbuler M.* Synagogues and Rabbis in the Soviet Union in the Light of Statistics, 1953-1964.– Jews in eastern Europe, vol. 35, No 1, 1998.

24 *Daragan N.* Soviet Ethnography and the «Jewish Question». – Jews in eastern Europe, vo!. 35, No 1 1998

25 *Крупник И.* «Лахлухи» - Курдистанские Евреи В СССР. - СЭ, №12, Москва, 1998.

26 *ჯინჯიხაშვილი ზ.* ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა (კვების სისტემა), საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 1990.

27 *მაგალ-მაღალაშვილი ლ.* ქართველ ებრაელთა ყოფა და კულტურა, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 1993.

28 *აბულაძე ქ.* ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წლებში, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2000.

29 *წიწუაშვილი შ.* ქართულ-ებრაული ურთიერთობანი ქართული პრესის მიხედვით (XIX ს. მეორე ნახევარში - XX ს. დასაწყისი), საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2001.

30 *შოშიაშვილი ქ.* ქართველ ებრაელთა ტრადიციული საოჯახო ყოფა და სულიერი კულტურა (რაჭის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2002.

თავი პირველი

საქართველოს ებრაელთა ეთნოკულტურული ეტიუდები

დასახლება. საქართველოს ტერიტორიაზე ებრაელთა განსახლება სხვა ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით ყველაზე ადრე დაიწყო. მას შემდეგ, რაც ებრაელებს ფეხი დაუდგამთ საქართველოს მიწაზე (დაახლოებით 26-28 საუკუნის წინ), იგი მათ ნამდვილ სამშობლოდ იქცა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის შედეგად დედაენად ქართული მიიღეს და დღეს ქართველ ებრაელებად იწოდებიან. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ქართველთ ებრაელთ უძველესი დროიდამ ქართული ენა შეინახეს თვით აღმოსავლეთის უშორეს ქვეყნებში, ასევე მოხდა ლაზისტანისაკენ, ტრაპიზონშიც კი შეინახეს ქართველ ებრაელთ ქართული ენა, ტრაპიზონს დღესაც ამ ენით ლაპარაკობენ... საქართველოდამ ებრაელები საცა კი სახლობდნენ, ყველგან თან მიპქონდათ ქართული ენა, ქართველი ერის ტანსაცმელი და თვით წერილების წერასაც კი ქართულად მოეწყენენ"[31].

ისტორიის დიდ პოლიტიკურ ქარტეხილებს — ძვ.წ. 722 წელს ასურელთა, ძვ.წ. 586 წელს ბაბილონელთა მიერ ისრაელისა და იუდეის სამეფოების განადგურება — დაპყრობას შედეგად მოყვა იერუსალიმის კედლის დანგრევა, ათიათასობით ტყვე ებრაელის შორეულ ქვეყნებში გადასახლება. იუდეის ომში რომაელებთან ახ. წ. 70 წ. ებრაული თვის 9 აბს დაეცა მთლიანად იუდეა და იერუსალიმი. დასრულდა იუდეველთა დამოუკიდებელი ცხოვრება და დასაბამი დაედო ებრაელთა არსებობის ახალ პერიოდს — გაიბნენ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში და ამას გალუთი ანუ დიასპორა ეწოდა[32]. დაახლოებით ამ ხანებშივე ლტოლვილ ებრაელთა ჯგუფმა საქართველომდეც მოაღწია. ქართლის ცხოვრების მიხედვით: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდნენ ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან

---

31 *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქართველოში, ეე. 7, 9.

32 *История еврейского народа - от эпохи патриархов до восстания Бар-Кохбы*, Иерусалим, 1994, с. 22-27.

ქუეყანა სარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანაეი"[33]. ისტორიიდან ცნობილია, რომ ისრაელის სამეფოს განადგურების შემდეგ ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო იუდეა და ძვ.წ. 586 წელს განადგურდა იერუსალიმის პირველი ტაძარი. ამ ფაქტმა დაუდო საფუძველი ებრაულ დიასპორას[34]. სწორედ ამაზეა საუბარი ზემოთ დასახელებულ ტექსტში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დაცული ცნობა ებრაელთა საქართველოში მოსელასთან დაკავშირებით: „შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდონოსორისაგან დასაბამით ძ-ლ, და დასხნა იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს, არაგვს ჩრდილოდ კერძოდ". ელდარ მამისთვალიშვილი ამ ცნობასთან დაკავშირებით სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ: „ვახუშტი ბატონიშვილი, ლეონტი მროველისაგან განსხვავებით, დამატებით ცნობებს ულობდა. ჯერ ერთი, იგი იძლევა ებრაელთა საქართველოში შემოსვლის თარიღს, და მეორეც, მას მიაჩნია, რომ იმ დროს ებრაელები პირველად არ შემოვიდნენ საქართველოში"[35]. აბელ და კახაბერ სურგულაძეების ვარაუდით, „აქ თითქოს ლეონტი მროველის ცნობაა განმეორებული, მაგრამ თუ ვახუშტის სიტყვებს ჩავუკვირდებით და თარიღსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ამკარაა, ბატონიშვილი გულისხმობს ებრაელთა სხვა ნაკადის ჩამოსახლებას"[36]. ზემოთ დასახელებული ტექსტიდან საინტერესოა სიტყვა „კუალად". სულხან საბას ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „კიდევ"[37]. პლატონ იოსელიანი სანკტ-პეტერბურგში 1843 წელს გამოცემულ თავის წიგნში – „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია" აღნიშნავდა: „ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობით, ებრაელები დასახლდნენ საქართველოში". როგორც დავით ბუზიკაშვილი ამატებს, „ნაბუქოდონოსორამდე"[38]. მაშინ ისმის კითხ-

---

33 *ქართლის ცხოვრება.* I, 15/26-27, 16/1-2.

34 *Facts About Israel*, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12.

35 *მამისთვალიმშვილი ე.* დასახ. ნაშრომი, გვ.16.

36 *სურგულაძე ა., სურგულაძე კ.* ქართულ-ებრაულ ურთიერთობიდან.- ლიტერატურული აჭარა, №9, 1998, გვ. 124.

37 *სულხან-საბა ორბელიანი,* ლექსიკონი ქართული,I, 1991, გვ. 391.

38 *ბუზიკაშვილი დ.* ღმერთი ისრაელია (დამკვიდრების ადგილის თაობაზე), გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №100, 29 აპრილი.

ვა, თუ როდის შეიძლება მოსულიყვნენ ებრაელები საქართველოში? როგორც ებრაული ენციკლოპედია იტყობინება, XVIII-XIX საუკუნეში კავკასიაში მყოფ მოგზაურებზე დაყრდნობით, კავკასიის ებრაელებში ცნობილი ყოფილა ლეგენდა, რომ ისინი იყვნენ „ისრაელის 10 დაკარგული ტომის შთამომავალნი“[39]. ხოლო შემდეგ დასახელებულია ნაბუქოდონოსორის ლაშქრობა[40]. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტის თანახმადაც კავკასიის ებრაელების წინაპრებად დასახელებულია 10 დაკარგული ებრაული ტომი[41]. როგორც ცნობილია, მეფე სოლომონის სიკვდილის შემდეგ ისრაელის სახელმწიფო ძვ.წ. X საუკუნეში ორად გაიყო: ჩრდილოეთით – ისრაელისა და სამხრეთით იუდეის სამეფოები. ისრაელის სამეფო დედაქალაქმა სამარიამ იარსება 200 წელზე მეტი, ხოლო იუდეის სამეფოს დედაქალაქმა იერუსალიმმა 350 წელი[42]. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ III-მ სირიის დაპყრობის შემდეგ ისრაელზე გაილაშქრა და მისი ჩრდილო ნაწილი – გალილეა მიიტაცა. დანარჩენმა ნაწილმა, მართალია, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ხარკის გადახდა ივალდებულა. ტიგლათფილესერ III-ის სიკვდილის შემდეგ, სირიაში და პალესტინაში ასურეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს ეგვიპტიდან დახმარების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ამაოდ. ასურელები ისრაელში შეიჭრნენ და დედაქალაქი სამარია მხოლოდ სამი წლის შემდეგ, ძვ.წ. 722 წელს დაიპყრეს. მათ ისრაელის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიდიასა და მესოპოტამიაში გადაასახლეს[43]. იუდეის სამეფოში დატრიალებული ტრაგედია არის ასახული ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებში, მაგრამ ვახუშტისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო ძვ. წ. VIII საუკუნეში (ძვ.წ. 722წ.) ისრაელის სამეფოს კატასტროფა და იმ დროს ტყვეობაში წაყვანილთა თუ გაქცეულთა ერთი ნა-

---

39 *Еврейская энциклопедия*, Санкт-Петербург, IX, с. 62; Еврсиская энциклопедия, VII, Санкт-Петербург, с. 65.

40 *Еврейская энциклопедия*, III, Санкт-Петербург, с. 456.

41 *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფონდი № 13, აღწერა 22, საქმე № 73, გვ. 1-16.

42 *Facts About Israel*, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

43 *იქვე*, გვ. 11-12.

წილის საქართველოში გადმოხვეწის ფაქტი. კავკასიაში მოსახლე ათი ებრაული ტომის შესახებ წერდნენ გერმანული გაზეთები XVII საუკუნის 90-იან წლებში. დაკარგული ათი ტომის შთამომავალთა მიერ აღთქმული ქვეყნის განთავისუფლებისათვის მზადებაზეა საუბარი 1607 წლის ინგლისში გამოქვეყნებულ ტრაქტატში — „სიახლენი რომიდან", რომელიც იტალიური წერილის ფრაგმენტია. რუსეთის სამსახურში მყოფი გერმანელი იოჰან-გუსტავ გერბი, რომელიც დიდი სნის განმავლობაში მოღვაწეობდა კავკასიაში, 1728 წელს წერდა ადგილობრივ ებრაელებში მათი წარმოშობის შესახებ არსებული ლეგენდის შესახებ, ამასვე წერდა რუსეთის რეზიდენტი მეფე ერეკლე II-ის კარზე თბილისში, იაკობ რაინეგსი. კავკასიელი და, მათ შორის, ქართველი ებრაელების 10 დაკარგული ტომისაგან წარმოშობა უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია ცნობილ ებრაელ მოგზაურს იოსებ იეჰუდა ჰალევი ჩორნის: „მხოლოდ ჩემი ხალხისადმი წმინდა სიყვარულმა, რაც ჩემს გულში ანთია მუდამ, გამაბედინა მომეთხრო ჩემი თანამოძმეებისათვის ისრაელის 10 ტომის შთამომავალთა შესახებ[44].

საქართველოში ებრაელთა 28 საუკუნის წინ დასახლებასთან დაკავშირებით საინტერესოა 1864 წლის „კავკასიის კალენდრის" ცნობა: „დატყვევებულ ებრაელთა ერთი ჯგუფი დასახლებულ იქნა აწინდელ გურიასა და ლაზისტანში (კოლხეთში) ძვ. წ. 720 წელს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II-ე ამტკიცებს, რომ ებრაელები საქართველოში პირველად მცხეთაში კი არა, არამედ შავიზღვისპირეთში, სამხრეთ ჭოროხის მიდამოებში დასახლდნენ და „დასავლეთ იბერიიდან, უნდა ვიეარაუდოთ, ებრაელები სწრაფად განსახლდნენ მთელ საქართველოში"[45]. ლაზისტანში ებრაელთა ერთი ნაწილის დასახლებას მაქარია ჭიჭინაძეც ადასტურებდა[46].

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, გადამეტებული არ იქნება, თუ დავასკვნით, რომ ებრაელთა გარკვეული

---

[44] დაწერ. ის.: *მამისთვალიმზილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995.

[45] *ბუზიკაშვილი დ.* ღმერთი ისრაელია (დამკვიდრების ადგილის თაობაზე), გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №100, 29 აპრილი.

[46] *ჭიჭინაძე ზ.* ქართველნი ებრაელნი.-ცნობის ფურცელი, № 1968, 1971, 1902

ჯგუფების შემოსელა საქართველოში, მათ შორის, საქართველოს შავიზღვისპირეთშიც, მართლაც შესაძლებელი იყო, ისრაელის სამეფოს განადგურების შემდგომ (ძვ.წ. 722წ.), მაგრამ უდავოა, რომ ძლიერი ებრაული დიასპორის გაჩენის პერიოდად უნდა მივიჩნიოთ იერუსალიმის I ტაძრის დანგრევის შემდგომი პერიოდი. ესე იგი, ნაბუქოდონოსორისაგან ლგოლეილნი ურიანი დასახლდნენ „ხერკს". როგორც ირკვევა, იგი ძველ საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, ხოლო შუა საუკუნეებში კი – ადმინისტრაციული ერთეული უნდა ყოფილიყო მდ. არაგვის დინების სამხრეთით, მარცხენა მხარეს და მოიცავდა ახლანდელი მცხეთისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიის ნაწილს[47].

იმ ექვს ენას შორის, რომლებიც ჯერ კიდევ ფარნავაზის მეფობამდე „ქართლსა შინა იზრახებოდა", „მეფეთა ცხოვრება" ებრაულ ენასაც ასახელებს, რაც ამ ენაზე მოლაპარაკე ებრაულ მოსახლეობას გულისხმობს[48].

ანტიკურ და ფეოდალურ ეპოქებში საქართველოს ებრაელობა ერთ მთლიან სოციალურ წრეს არ წარმოადგენდა. იგი სრულიად გარკვეული სოციალური კატეგორიებისაგან შედგებოდა. საქართველოს დაქვეითების დროს, გვიანფეოდალურ ხანაში, ქართველ ებრაელთა შორის იყვნენ ეკონომიკურად დაწინაურებული ელემენტები, და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, არა მარტო შეძლებულ ეაჭარ-მოიჯარეთა, არამედ ყმამამულის მქონებელთა სახითაც კი[49]. დაცემის ხანაში ებრაელთა შორის დიდ უმრაელესობას ყმა-ებრაელები შეადგენდნენ, რომელნიც კუთვნილების თვალსაზრისით იყოფოდნენ შემდეგ კატეგორიებად: სამეფო-სადედოფლო; საეკლესიო-სამონასტრო; სათავადამნაურო[50].

---

47 *მამისთვალიშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ.15.

48 *ზურაბამეილი ლ.* ეროვნებათშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბილისი, 1989, გვ. 28.

49 *ანთაძე კ.* საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, გვ.145.

50 *ჯაოშვილი ე.* საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996, გვ. 145; სტეფანია მ. ქუთაისის ებრაელობა XVII-XIX საუკუნეებში.- ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, ქუთაისი, 1996, გვ. 22.

როდესაც ჩვენ ვაანალიზებთ ყმა ებრაელების უფლებრივ მდგომარეობას, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული კანონმდებლობა არ ასხვავებდა ყმა ებრაელებსა და ბატონს ქართველი ყმისა და ბატონისაგან. ყმა ებრაელი იურიდიულად ყმა ქართველის უფლებებით სარგებლობდა[51]. ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისით, „ებრაელობა ფეოდალურ საქართველოში უმთავრესად ხელოსნობა-აღებ-მიცემობას მისდევდა. ყმა ებრაელი, რა თქმა უნდა, მიწასაც ამუშავებდა, ვენახს, ხილს აშენებდა, პურეულიც მოჰყავდა, მაგრამ „ურია"-ს ეს კი არ ახასიათებდა, არამედ ვაჭრობა. ბატონს ებრაელი უმთავრესად თეთრით ემსახურებოდა"[52].

მცხეთიდან ებრაელები დროთა განმავლობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადასახლდნენ. ისინი უმთავრესად სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებში სახლობდნენ: ცხინვალი, სურამი, მძოვრეთი, აგენი, გრემი, ხოვლე, ონი, საჩხერე, ჩიხორი, ქუთაისი, ვანი, კულაში, ბანძა, სენაკი, ახალციხე და სხვა.

შუა საუკუნეების საქართველოში ებრაელები სხვადასხვა ქვეყნიდან შემოდიოდნენ. ცნობილია რამდენიმე მიგრაცია საბერძნეთიდან. XIX საუკუნის თურქეთიდან კავკასიის ქვეყნებში ისტორიული ქურთისტანის ებრაული თემებიდან არამეელი ებრაელების საკმაოდ დიდი ნაკადი შემოვიდა, რითაც დასაბამი მიეცა ამიერკავკასიაში ახალი დამოუკიდებელი ებრაული ელემენტის გაჩენას. საქართველოში მოდიოდნენ, აგრეთვე, აზიის ქვეყნებიდან: ირანიდან, ერაყიდან, თურქეთიდან, ქურთისტანიდან, ურმიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ეს მიგრაციები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა „თურქმანჩაის" ზავის შედეგად[53].

---

51 *ქართულ-ებრაული ურთიერთობანი*, ქუთაისი, 1996, გვ. 22.

52 *ბერძენიშვილი ნ.* ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბილისი, 1940 გვ. 159-160; ანთაძე კ. დასახ. ნაშრომი, გვ.145; ზურაბაშვილი ლ. დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

53 ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა 1828 წლის თებერვალში რუსეთსა და ირანს შორის, რითაც გამტკიცდა რუსეთის გავლენა შუა აღმოსავლეთში - *Крупник И.* «Лахлухи» - Курдистанские Евреи В СССР. - СЭ, №12, Москва, 1988, С. 102-111; *ქართული დიპლომატიის ლექსიკონი*, I, თბილისი, 1997, გვ. 238..

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს ქალაქებში მოვიდნენ აგრეთვე სხვა ქვეყნების, უმთავრესად, რუსეთის ებრაელები. ეს მოძრაობა უპირატესად 1804 წლის ბრძანების შემდგომ შეინიშნება, როდესაც რუსეთის ებრაელებს კავკასიაში დასახლებისა და მიწების საკუთრებაში შეძენის ნება მისცეს. ამ ბრძანებით კავკასია და, რა თქმა უნდა, საქართველო გამოცხადდა „ევროპელ ებრაელთა დასახლების ზონად“[54]. კავკასიაში ჩამოსახლებული ევროპელი ებრაელები ძირითადად პოლტავის, კრემენჩუკის, ბერდიჩევის, მოგილევის, კიევის, კურლანდიის, ვიტებსკის და სხვა გუბერნიებიდან, აგრეთვე, პოლონეთიდან, ავსტრიიდან, ბელგიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ამერიკიდან იყვნენ. მათი დიდი ნაწილი დასახლდა საქართველოში, გახსაკუთრებით — თბილისში, მოგვიანებით ქუთაისსა და ბათუმში[55].

ეთნიკური ტერმინები. იუდაიზმის მიმდევრებს საქართველოში უძველესი დროიდან „ებრაელს“ უწოდებენ. ეს სახელი ადრეული სანიდან გვხდება წერილობით ძეგლებში — ბიბლიურ, მსატერულ, ისტორიულ ლიტერატურაში და აღნიშნავდა ისრაელის ტომის წარმომადგენელს. კ. წერეთლის ვარაუდით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გხვდება ეთნიკური ტერმინი „ებრაელი“ და მასთან დაკავშირებული სიტყვები. მაგალითად: 1. ებრაელა: „უკეთუ იყიდო ძმაჲ შენი ებრაელ ანუ ებრაელაჲ“; 2. ებრაეანი: „განარინოს კაცად-კაცადმან მონაჲ თჳსი ებრაეანი, ებრაელი თავისუფლად“; 3. ებრაელებრ: „იყო წიგნი, წერილი მას ზედა... ებრაელებრითა“. „ებრაელი“-ს შესატყვისია ებრაულში „ყიბრი“, ბერძნულში — „ჰებრიოს“, სირიულში „ყევრაი“, სომხურში „ებრაეცი//ჰებრაეცი“, რუსულში „еврей“. მ. მამისთვალიშვილის თქმით, ზანურშიც გვსვდება ტერმინი „ებრაელი“, სვანურში, ლენტეხურ კილოში დასტურდება ცნება-„ურია“, ჩოლოურ-ლამსურში[56] და ბალსქვემოურში ბეჩოურის გამოკლებით „ურიაჲ“, ბეჩოურ კილოკავში და ბალსზემოურში კი,

---

[54] *მუკინი მ.* საქართველოს ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა XIX საუკუნეში.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბილისი, 1940, გვ. 60-62.

[55] *Давид И.* I, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

[56] ქვემო სვანეთი.

უშგულურის კილოკაეის გამოკლებით, „ჴრიაჲ“, უშგულურში „ჴრიაჲ“, აფხაზურში „აურია“, მეგრულში „ურია“ – „თურქ ღო ურიას გურს მეჭუნდუ“ – იგულისხმება თურქს და ებრაელს გულს დაწვავდა[57].

როგორც აღინიშნა, „ებრაელი“-ს სინონიმებად ქართულ წერილობით ძეგლებში და ზეპირ მეტყველებაში გვხდება რამდენიმე სიტყვა: ურია//ჰურია, „იუდეველი“, „ისრაეტელი“ და „ისრაიტელი“.

1. ურიაებრ//ჰურიაებრ[58] – „არა იცოდეს ჰურიაებრ“; ჰურიაებრი[59] – „ტრაპეზსა ჰურიაებრსა ჰსჭამთ“; ჰურიაება[60] – „ვითარ წარმართთა აიძულე ჰურიაებად“, ჰურიაობა[61] – „შემწყნარებელი ქრისტიანობისაჲ ანუ დადგრომელი ჰურიაობასა“; ურიასტანი//ჰურიასტანი[62] – „ხოლო პირველსა წელსა მეფობისა მისისა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე ბეთლემს ურიისტანისასა“.

იუდეველი ცნობილია სამი მნიშვნელობით:

2. იუდა[63] – „იუდა, შენ გაქებენ ძმანი შენნი“, „დღეთა შინა მისთა ცხონდეს იუდა და ისრაელი“; იუდეანი//იუდიანი[64]-„და იყო სოფელი იუდეანთა მეგჯპტელთათჯს“, იუდეურად[65] – „და ძენი მათნი ნახევარნი მეტყველებდეს აზოთურითა ენითა, და არა უწყიდეს მეტყველება იუდიურად“. საქართველოს ებრაელები თავის თავს ურთიერთშორის, ე.ი. ებრაულ წრეში „ის-

---

57 *ელიავა გ.* მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი, 1997, გვ. 146.

58 ებრაულად.

59 ებრაული.

60 ჰურიად გახდომას ნიშნავს.

61 ებრაელობა - მასვე აქვს ებრაელთა სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობა. ის ებრაელი, რომელიც უარყოფდა თავის ტრადიციულ სარწმუნოებას და რომელიმე სხვა სარწმუნოებას, ვთქვათ, ქრისტიანობას მიიღებდა „ურია ყოფილ“-ის სახელით იხსენიება.

62 ებრაელთა (ურიათა) ქვეყანა პალესტინა.

63 მამაკაცის საკუთარი სახელი (იაკობის მეოთხე ძე), აგრეთვე აღნიშნავს ტომს ან სახელმწიფოს.

64 ებრაელთა.

65 იუდეურ (ებრაულ) ენაზე.

რეელს“ ან „ისრეელიმეილს“ უწოდებენ, არაებრაულ წრეში კი — „ებრაელს“. აგრეთვე გვხდება „ყეევერი“, „ყიბრი//ყიერი“ კ. წერეთელის ვარაუდით „ყი-(ბ)-რი“ უნდა იყოს მიღებული აშქენაზური წარმოთქმის გავლენით[66], „ყიური“ რომელიც წინათ უმთავრესად მოვაჭრეთა წრეში იყო გავრცელებული, როგორც არაებრაელთათვის უცნობი სიტყვა, რაც მოვაჭრე ებრაელთათვის საჭიროებას წარმოადგენდა საეაჭრო საიდუმლოებების დროს[67].

ანთროპოლოგია. საინტერესოა აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა ანთროპოლოგიაც. ზოგიერთი ანთროპოლოგი ვარაუდობს, რომ არ არსებობს ებრაელის წმინდა რასობრივი და ეთნიკური ტიპი, რადგან ათასეული წლების მანძილზე იგი სხვადასხვა ეთნიკურ გაერთიანებებს შეერია[68].

1. ქართველი ებრაელები, ანთროპოლოგიური ტიპის მიხედვით, არსებითად არ განსხვავდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებისაგან. მათ ზოგიერთი სპეციფიკური ეთნოგრაფიული თავისებურება გამოირჩევს, კერძოდ, თმისა და წვერის შეკრეჭის მანერა, რაც განსაკუთრებით მეღავნდება უფროს თაობაში. შემჩნეულია, რომ ქართველ ებრაელებში უფრო ხშირად გვხვდება ეღალთმიანები, ვიდრე ქართველებში. მაგრამ ეს არის ნიშანი ქართველი ებრაელების არა განსაკუთრებული წარმოშობისა, არამედ მათი ქართველთაგან იზოლაციისა რელიგიური განსხვავებულობის გამო, რაც დიდი სნის განმავლობაში ხელს უშლიდა მათ ქართველებთან საქორწინო ურთიერთობები დაემყარებინათ[69].

2. აზერბაიჯანის, დაღესტნისა და ყაბარდოს მთის ებრაელები ანთროპოლოგიური თვალსაზრისით არ განსხვავდებიან ირანის ებრაელებისაგან, ისინი ერთად კასპიური ტიპის ლოკა-

---

66 *წერეთელი კ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

67 *ბამისთვალიმეილი ბ.* ტერმინები: „ებრაელი“, „ისრაელი“, „ურია“, გვ. 145; წერეთელი კ. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

68 *ბამისთვალიმეილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ. 43.

69 *Народы Кавказа.* т. I, Под. ред. М. О. Косвена, Л. И. Лаврова, И. А. Нерсесова, Москва, 1961, с. 28-29.

ლურ მრგვალთავა და შედარებით დაბალი სიმაღლის ვარიანტს ქმნიან[70].

3. აღმოსავლეთ ევროპის ებრაელები, რომლებიც შეადგენენ დედამიწის ებრაული მოსახლეობის 80 %-ს, თავისი ფიზიკური ნიშნებით უფრო ახლოს არიან იმ ხალხებთან, რომელთა შორისაც ცხოვრობენ აღმოსავლეთ ევროპაში, ვიდრე ე.წ. სემიტებთან[71].

ს. ვაინსებერგის თქმით, „საკმარისია თვალის ერთი გადავლება ქართველი, მთიელი, რუსი და იემენიტელი ებრაელების მონაცემების საილუსტრაციო ცხრილზე, რათა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ გამოთქმა „თანაგომელი" ალბათ აქ შეუფერებელი იქნება, თუ „ტომის" ქვეშ გავიგებთ ფიზიკურად ერთგვაროვან ჯგუფს"[72].

ებრაული ოჯახის სამყოფ-საცხოვრისი. ქართული ეთნოლოგიური მონაცემებით დადგენილია, რომ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში დასახლების ფორმები და საცხოვრებელი ნაგებობანი იქაურ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს შეესაბამებოდა. ამავე ტრადიციას შეერწყო ებრაული სოფლური თუ ქალაქური დასახლებები, რომლებიც ძირითადად უბნურ დასახლებაში გამოიხატა. გეოგრაფიული პირობების გარდა, უბნურ დასახლებას განაპირობებდა ებრაელთა სპეციფიკური საქმიანობა თუ ეთნიკური ნიშანთვისება, რიგ შემთხვევაში განმსაზღვრელი იყო რელიგიური ფაქტორიც. სინაგოგის ირგვლივ წარმოქმნილი კომპაქტური ებრაული დასახლებანი იყო თბილისში, ქუთაისში, სურამში, საჩხერეში, ონში, ცხინვალში, ახალციხეში, კულაშში, ბანძაში...[73]

ბ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ურიამ ოღონდ სახლი გააკეთოს, თავი შეაფაროს, თორემ სხვაფრივ მისთვის სულერთია, იგი იოლად წავა. როგორც უნდა იყოს, თავს დაირჩენს. ამიტომ არის, რომ ქართლსა და ზემო ქართლს ქართველებივით მიწურ სახლებში სცხოვრობენ. გარდა ამისა, ძველთაგანვე ჩვეულება

---

[70] *იქვე*, გვ. 29.
[71] *მამისთვალიშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ. 46-47.
[72] *იქვე*, გვ. 47.
[73] *იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ.* გვიხმობს მამული მამა-პაპათა, გვ. 17; მესხიშვილი ც. ებრაელთა უბანი ახალციხეში.- მესხეთი (საისტორიო კრებული), I, ახალციხე, 1997, გვ. 68-69.

ქონიათ ამათ ერთად დასახლება, ერთ უბანში ჭირსა და ლხინში მეგობრობა, ხოლო სახლის წინ ვიწრო ქუჩები იციან, სახლებიც ერთმანეთზე მიყრილია"[74]. რ. თაედიშვილის თქმით: „მორწმუნე ისრაელი სახლს იშვიათად ააშენებს, საძირკველს არ ჩაუყრის და თუ ააშენა, საძირკველში ახალ-ახალ ვერცხლის ფულს თან ჩაატანს, იქვე პატარა პურ-ღვინოს გააწყობს სუფრაზე და შიგ საძირკველის ძირში ახალ მამალს დააკლევინებს ლოცვა-კურთხევით, იმის აღსანიშნავად, რომ საძირკველის ჩაყრას არ გაყვეს ოჯახის მარჩენალი ვაჟკაცი — მამალი მისი სანაცვლოა"[75].

საქართველოში ებრაელთა საცხოვრებელი ძირითადად სამი სახის იყო: ერთსართულიანი, ნახევრად მიწური, რომელიც ეკუთნოდა წვრილმან მოვაჭრეს; ერთსართულიანი სარდაფით — საშუალო შეძლების ვაჭრისა; ორსართულიანი სარდაფიანი — შეძლებული ვაჭრისა. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ებრაელთა საცხოვრებლის შემდეგ ტიპი: ქართლში ქვითკირის, დარბაზული და მიწური. დასავლეთ საქართველოში — ორსართულიანი აფრიანი, რომელიც ყავრით იყო გადახურული. მისი ქვედა სართული კი საეაჭრო დარაბას წარმოადგენდა. მესხეთ ჯავახეთში ძირითადად მიწური სახლები იყო გავრცელებული[76].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა: „ჩვენში ურიები თითქმის ყველანი შესანიშნაეს ქალაქში და დიდ დაბებში ცხოვრობენ. ადგილმამულიც ბევრი აქვთ შეძენილი და ზოგან მსუბუქად თითონვე მუშაობენ მამულში"[77]. აღმოსავლეთ საქართველოში საკარმიდამო ნაკვეთს გარდა, ქართველ ებრაელებს მართლაც ეკავათ სახნავ-სათესი მიწები, შიგ კი გაშენებული ჰქონდათ ხეხილი, ვენახი, ბოსტანი, საკარმიდამო ნაკვეთში შედიოდა საქათმე, ბოსელი, მაღალ ბოძებზე შემდგარი ხის ბეღელი[78]. ეს ყოველივე, როგორ ჩანს, უცხო იყო რუსეთის ებრაელებისათ-

---

[74] *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქრთველოში, გვ. 52.
[75] *თაედიშვილი რ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
[76] *აბულაძე ქ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
[77] *ჭავჭავაძე ი.* ურიების ბედი, „ივერია", №3, 1881, გვ. 146.
[78] *იველამეილი თ., ცაგარეიშვილი თ.* გვიხმობს მამული მამა-პაპათა, გვ. 19.

ვის: „Еврейские дома строятся один подле другого по болщей части без дворов и огородов. Весма неопрятны, бедны и тесны“[79]. ქართველი ებრაელები ქალაქში ცხოვრობდნენ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ძირითადად სალოცავების ირგლივ. თუმცა, ამქენაზ ებრაელებში საქალაქო დასახლებათან დაკავშირებით იყო გამონაკლისიც: „Заметит нужно, что евреи строять дома свои в далы от христианских жилищ. А если им и приходится жить в смежности с христианами, то все таки держат себя подальше от них“[80].

ზ. ჭიჭინაძე ქუთაისის ებრაელების შესახებ აღნიშნავდა, რომ თავდაპირველად ისინი ხის შენობების კეთებას მისდევდნენ, ხოლო შემდგომ ქვითკირის სახლების შენება დაიწყეს[81]. მოცემულ შემთხვევაში ნათლად ჩანს, თუ როგორ ითვისებდნენ ებრაელები თანდათანობით ქართულ ხალხურ გამოცდილებას. ებრაელები სამშენებლო მასალის მიხედვით შერეულ სახლებსაც აგებდნენ, კერძოდ, შეძლებულ ქართველ ებრაელთა ორსართულიანი სახლის პირველი სართული აგურისგან, ხოლო მეორე – ხისგან იყო აგებული. ასეთ შემთხვევაში საოჯახო ნივთების შესანახი სარდაფი სახლის გვერდით იყო აგებული[82].

ქართველ ებრაელებში, განსაკუთრებით ქალაქური დასახლების პირობებში, გამოკვეთილი და თვალში საცემია საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის სავაჭრო დანიშნულებით გამოყენება, რამდენადაც ებრაელთათვის იგი თვისობრივად იყო დამახასიათებელი. სახლის პირველი სართულის ფუნქციურ დაგვირთვასთან დაკავშირებით საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები შეძლებული ებრაელის საცხოვრებელი, კერძოდ, რაბინ იაყობის ორსართულიანი სახლი, რომელიც ალიზითა და კირით იყო აშენებული, პირველი სართული დუქნებს ეკავა, მეორე კი უშუალო საცხოვრებელს. მეორე სართული ორი ფართო ოთახისაგან შედგებოდა, ოვალური, შემინული სარკმლებით. კედლებში ბუხრები და თაროები იყო დატანებული, სადაც ლოგინსა და ჭურჭელს ინახავდნენ. ტანისამოსისთ-

---

[79] *Общественная жизнь евреев...*, 1868, С. 27.

[80] *იქვე*, გვ. 27.

[81] *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქრთველოში, გვ. 53.

[82] *იველაძეილი თ., ცაგარეიძეილი* თ. გვისმობს მამული მამა-პაპათა, გვ. 19.

ვის სკიერები და კიღობნები იყო განკუთვნილი, ფართო და დაბალი მაგიდის ირგვლივ კი სკამები ელაგა. მთლიანობაში ოთახის მოწყობილობა ევროპული ყაიდისა იყო[83].

სოფლად ქართველ ებრაელთა სახლი ემსგავსებოდა ტიპურ ქართულ საცხოვრებელს, აღმოსავლური და დასავლური სტილის შესაბამისად, ისე, რომ გარკვეულწილად ინარჩუნებდნენ საცხოვრებლის შესაბამის სოციალურ ორგანიზაციასაც. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში გვიანობამდე შემონახული დარბაზული ტიპის საცხოვრებლის პირობებში ებრაელები, ისე, როგორც ქართველები, დიდ პატრიარქალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ[84].

საცხოვრებლის დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით თუ სხვადასხვა სამეურნეო-კულტურულ ზონად თითქმის ყველა ეთნოსში ჩანს. ბინადრული ცხოვრების წესის პირობებში კი აღნიშნულის მიხედვით ინტერიერის დიფერენცირება საცხოვრებელში უფრო გამოკვეთილი და ამკარა ხდება. ქართველ ებრაელთა სახლის ინტერიერში ისე, როგორც საერთოდ, ქართულ ხალხურ საცხოვრებელში, კერას ცენტრალური ადგილი ეკავა. კერის მარჯვენა მხარე მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მარცხენა საქალებოს წარმოადგენდა. კერის მარჯვენა მხარეს იდგა ოჯახის უფროსისათვის განკუთვნილი სკამი. ოჯახის სხვა მამაკაცი წევრების დასაჯდომი სკამებიც კერის გარშემო, მარჯვენა მხარეს იყო განლაგებული. საქალებო მხარეს საუფროსო სკამის მოპირდაპირედ იდგა ქალებისათვის განკუთვნილი დაბალი და გრძელი სკამი. საწოლი ტახტები კედელთან იყო მიდგმული. ქართველ ებრაელებში ფიქსირებულია ასევე ოჯახის უფროსისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული საწოლი ტახტი[85].

ტრადიციისამებრ, საქართველოში საუფროსო სკამი მხოლოდ ოჯახის უფროსისთვის იყო განკუთვნილი და მას მკვეთ-

---

83 *ჩორნი ი.* მოგზაურობა იმიერ და ამიერკავკასიაში.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, III, თბილისი, 1945, გვ. 27.

84 *იველაშვილი თ.* ცაგარეიშვილი თ. გვისმობს მამული მამა-პაპათა, გვ. 18.

85 *ჯინჯისაშვილი ბ.* ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა (კვების სისტემა), გვ. 87-88.

რად გამოხატული სოციალური ფუნქცია გააჩნდა. სტუმარმასპინძლობის ქართული წესი დასამშვებს ხდიდა, რომ საუფროსო სკამი პატივისცემის გამოხატვის ნიშნად სტუმრისათვის დაეთმოთ[86]. ქართველ ებრაელებში, როგორც ეთნოგრაფიული სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, საუფროსო სკამით სარგებლობა ოჯახის უფროს ვაჟიშვილსაც შეეძლო[87].

საცხოვრებელი თავისი არსით სათაეეს ცეცხლის სანთები ადგილიდან - კერიდან იღებს. კერა საოჯახო ყოფის ცენტრს წარმოადგენდა, როგორც სამეურნეო, ასევე სოციალური და სულიერი თვალსაზრისით. იგი ოჯახის სიმბოლო იყო და ამიტომაც ადამიანის ცხოვრების ციკლის ყველა ეტაპი პირდაპირ თუ ირიბად მასვე უკავშირდებოდა. კერის განსაკუთრებული ფუნქცია თვალში საცემია ებრაულ საქორწინო რიტუალში, კერძოდ, ქართული ხალხური ტრადიციისამებრ, ქართველ ებრაელებშიც ოჯახის ახალი წევრის ინკორპორაცია კერის ირგვლივ სამჯერ შემოტარებით ხორციელდებოდა. ეს პროცესი ებრაულ საქორწინო რიტუალში სრულდებოდა დედამთილის უშუალო მონაწილეობითა და წინამძღოლობით[88].

ებრაული ოჯახის სოციალური იერარქიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო გამონათქვამია ფიქსირებული ქუთაისის ებრაელებში:

„პატარძალო პატარაო,
წყალს მოიტან, სხვას არაო,
ჩამოჯდები კერასაო,
ატანტალებ ენასაო,
გამოაცხობ ჭადის კოკორს
დაამწარებ ყველასაო“.[89]

მოცემული ტაეპი მრავალმხრივადაა საინტერესო. მასში მინიშნებულია პატარძლის არა ფიზიკური, არამედ სოციალური

---

[86] *ჩიტაია გ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 147
[87] *ჯინჯიხაშვილი ბ.* ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა (კვების სისტემა), გვ. 87-88.
[88] *იქვე*, გვ. 87-88.
[89] *თაედიშვილი რ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

განსხვავება ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებაში. გაკიცხულია ისეთი პატარძალი, რომელიც მხოლოდ წყალს მოიტანს, მჭადს გამოაცხობს და იმასაც „დაამწარებს“, ანუ დააყვედრის სხვებს. ბუნებრივია, საოჯახო ურთიერთობებში კეთილგანწყობასა და ტკბილმოუბრობას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც ებრაული ოჯახისთვისაც იყო დამახასიათებელი. ლექსში პატარძალთან დაკავშირებული კონკრეტული სოციალური საკითხია წინა პლანზე წამოწეული, მაგრამ შემთხვევითი არაა, რომ იგივე პატარძალი სწორედ კერასთანაა დაკავშირებული, რითაც ხაზგასმულია, რომ ებრაულ საცხოვრებელშიც კერა საქალებო მსარეს ექცეოდა.

სახლეულის წევრთა შორის, ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, კერა ნათესაური ურთიერთობების სიმყარესა და ერთიანობის სიმტკიცესაც უწყობდა ხელს. ადამიანის სამსახურში მყოფი ცეცხლი, უძველესი დროიდანვე, გარკვეული ნიშნით შეკავშირებული სოციუმის მთლიანობის გამომსატველი იყო. საზოგადოებაში ადამიანთა სოციალური თანაცხოვრება და, კერძოდ, ერთი კერის ირგვლივ სახლეულის წევრთა გაერთიანების ფორმები, კაცობრიობის სამეურნეო-ეკონომიკური, ტექნიკური ევოლუციისა და კულტურული განვითარების შესაბამისად იცვლებოდა, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით კერის ფუნქცია უცვლელი რჩებოდა. მის ირგვლივ ყოველთვის ერთიანდებოდა ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც ერთ სახლობად, ერთ ოჯახად ან ოჯახთა ჯგუფებად მოიაზრებოდა. ოთახის შიდა ფართის ზემოთ დასახელებული განაწილება მამაკაცსა და ქალს შორის არსებული განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით იყო გამოწვეული. ყოველივე ეს სახლის შიდა სივრცის მაქსიმალურად ათვისებას, შიდასაოჯახო საქმიანობის ორგანიზაციას ოპტიმალურს ხდიდა და დროის რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლეოდა. საცხოვრებელი ფართის განაწილება, ზემოთ აღნიშნული პრინციპების მიხედვით, შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. რომლის მაჩვენებელი ფაქტები ცნობილია როგორც არქეოლოგიური ისე ეთნოგრაფიული მასალებითაც. სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის, ოჯახის წევრთა შორის შრომის განაწილების სხვაობა და ინტერიერის სივრცობრივი ორგანიზაციის შესაბამისი არქაული სურათი, ქართულ ხალხურ საცხოვრებელში, ღია კერის შემთხვევაში უფ-

რო ნათლად ჩანს.[90]

ებრაელთა მნე-ჩვეულებებისა და საცხოვრებლის აღწერაში მნიშვნელოვანია თვითნასწავლი მსატვრის მ. კობოშვილის შემოქმედება.

• ამულეტებით მოვაჭრე მისიონერი — აღებულია ებრაელთა კვარტალი, რომელშიც ვაჭრობს ებრაელი მისიონერი, ნახატში სავსებით სწორადაა ხაზგასმული ებრაული კვარტალისათვის დამახასიათებელი სიმჭიდროვე;

• ბავშვის დაბადება — ნახატში კარგად ჩანს, თუ როგორაა ოთახი განლაგებული და რა აევჯს იყენებს აღნიშნული ოჯახი: ფარდაგგადაფარებულ ძველებურ ტახტზე გამლილია საწოლი. ტახტის წინ დალაგებულია ბავშვის ტანსაცმელი, კედელზე მიყუდებულია არშიებიანი სართაული[91], ხოლო იატაკზე გამლილია ჭილოფი, მახლობლად დგას ვობი, სპილენძის დოქი, გუგუმი, თაროზე გაწყობილია თეფშები, ბოთლები, იბრიხი[92], განჯინის წინ კედელთან მიდგმულია კიდობანი. განჯინაში ქამანური ჭურჭელი და სხვა წერილმანი მოჩანს;

• ებრაული კვარტალი ახალციხეში — ტილო, თავისი კოლორიტითა და ერთმანეთზე ჯაჭვივით გადაბმული ქოხმახებითა თუ მიწური სახლებით, კარგად მოფიქრებული, საამო და მიმზიდველ ფერებში გამოხატულ სინამდვილეს ასახავს. აულის მსგავს უბანში თავისი სიდიდით და კეთილმოწყობით სინაგოგის მხოლოდ ორი შენობა გამოირჩევა. ამით მხატვარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუმცა ღარიბი ებრაელობა ქოხმახებში ცხოვრობდა, მათი ნაშრომი გროშებით

---

90 *ლორია მ., ტუნაძე თ.* ებრაელთა საცხოვრებელი და საქართველოში მათი ადაპტაციის ზოგიერთი ასპექტი.- დავით ბაბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, V, თბილისი, გვ.150-152 შდრ. *ჩარიოლანი მ.* ქართული ხალხური მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961; *მგელაძე ნ., მასანოვი ნ.* სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები.- კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათუმი, 1996; *Харадзе Р. Л.* Грузинская семейная община, I, Тбилиси, 1960; *მისივე,* Грузинская семейная община, II, Тбилиси, 1961.

91 მუთაქის მაგიერ.

92 ხის ჭურჭელი.

მაინც საუკეთესო სინაგოგები შენდებოდა[93]. ამ ფაქტს აღასტურებს არაერთი ავტორი. ი. დაეიდი აღნიშნავს, რომ „ებრაული მოსახლეობა ახალციხეში ცხოვრობდა მიწისქვეშა ქოხებში, სადაც სინათლე სახურავიდან ჩამოდიოდა“[94]. 1932 წლის საქართველოს ხელისუფლების ეროვნული უმცირესობების კომისიის აღწერის მისედვით, ახალციხის ებრაელთა სახლები იყო ერთსართულიანი, ზოგჯერ ნახევრად მიწური. ძირითადად ეკავათ 2 ოთახი. მდიდრებს ჰქონდათ 3 ოთახი, იშვიათად — 10-12 ოთახი, რომელშიც ცხოვრობდა 60-70 სული. ერთი სახლიდან გადაყრილი ნაგავი იყრებოდა მეორე სახლის სახურავზე. იაგაკი ძირითადად მიწისა იყო, განსაკუთრებით სამშარეულოში, სადაც უმეტეს დროს აგარებდნენ [95]. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი ფ. მახარაძის მიერ 1933 წელს გაგზავნილ ებრაელთა საცხოვრებელთან დაკავშირებულ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია: „სახლები, სადაც ცხოვრობს ებრაული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, წარმოადგენენ ნახევრად დანგრეულ მიწურებს, რომლებიც აუშენებიათ ფიჩხძეძვისაგან. ისინი ნესტიანია, ბნელი, უშუქო და უჰაერო. დაუცველია ქარისაგან, წვიმისაგან და სიცივისაგან. თითქმის მთელს მოსახლეობას ერთ სულზე აქვს ერთობ არასაკმარისი ფართობი — 1 კვ. მ. მრავალწლიანი ოჯახები ცხოვრობენ ერთ ოთახში, რომელთა ფართობი 10-15 კვ.მ-ს არ აღემატება და არა აქვთ არავითარი სათავსოები. სახლები ისე ახლოსაა განლაგებული ერთმანეთთან, რომ მცირედი ხანძრის შემთხვევაშიც კი, ცეცხლი მოიცავს მთელს კვარტალს და ასობით ათასები გახდებიან სტიქიური უბედურების მსხვერპლნი“[96].

ებრაელთა საცხოვრებელი რიგ შემთხვევაში რელიგიურ სტატუსსაც იძენდა. ი. პაპისმედოვი აღნიშნავს: „გორში მცხოვრებ ებრაელთა 16-17 ოჯახი ერთ დიდ, ორსართულიან შენობაში ბინადრობდა. შენობის მეორე სართულის ბოლოს, ერთი

---

93 *პაპისმედოვი ი.* თვითნასწავლი მხატვარი მ. კობიაშვილი და მისი მემოქმედება.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მრომები, II, თბილისი, 1941, გვ. 89, 91, 94.

94 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 27.

95 *აბულაძე ქ* დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

96 *ვადაჭკორია მ.,* ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940), თბილისი, 2005, გვ. 189.

დიდი ოთახი ლოცვას ჰქონდა დათმობილი, ლოცვის ქვეშ პირველი სართულის დაბლა სარდაფში გაკეთებული იყო ერთაუზიანი მიკვე, რომელიც გორელ ებრაელთა მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდა"[97]. აღნიშნულ თემატიკასთანაც დაკავშირებით შ. კობოშვილმა 1938 წელს შექმნა ეთნოგრაფიული ხასიათის სურათი: „ქალების ბანაობა მიკვეში" და „მიკვეში დაავადებული ქალი ექიმბაშთან".

მორწმუნე ებრაელის საცხოვრებელს მიკრული ქონდა „მეზუზა", ანუ მოსეს სუთწიგნეულიდან ციტატებად ამოღებული მცირე სჯულის ფრაგმენტები, რომელიც მოთავსებული იყო ოთხკუთხა თავდასურულ ყუთში და ემაგრებოდა კარებს მარცხენა კუთხეში. სახლიდან გასელისას ოჯახის ყველა წევრი სამჯერ დატრიალდებოდა, მას ხელს შეახებდა და იტყოდა „ღმერთო შენ უშველე ყველა ოჯახს... ა ღმერთო, როგორც მშვიდობით მიგდივარ ისევე მშვიდობით დამაბრუნე და ოჯახი მშვიდობით დამასვეედრე, გამჩენო ცისა და ქვეყნისა", ამის შემდეგ მას ეამბორებოდა. მეზუზას ებრაელები ოჯახის მფარველად მიიჩნევდნენ და თუ ოჯახი საცხოვრებელს გამოიცვლიდა და მას სხვა ებრაელი შეიძენდა, მაშინ ძველი პატრონი არცერთ კარზე მეზუზას არ შეცვლიდა, ისე დატოვებდა. მაგრამ თუ საცხოვრებელს არაებრაელი შეიძენდა, მაშინ ყველა კარზე მეზუზა მოიხსნებოდა[98].

ქართულ-ებრაული ურთიერთობები მრავალმხრივაა საინტერესო, განსაკუთრებით სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ადაპტაციის, ასევე ეთნოკულტურული ღირებულებების ტრანსმისიისა თუ ტრადიციული ყოფის სხვადასხვა სფეროში გამოვლენილი მსგავსება-თანხვედის თვალსაზრისით. ყოველივე უფრო თვალშისაცემია მატერიალურ კულტურში, და ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც საქართველოში დასახლებულმა ებრაელებმა აითვისეს უკვე აპრობირებული ქართული ხალხური საცხოვრებელი და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტი, რომელსაც მხოლოდ დაემატა ებრაელთა საქმიანობისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი ძირითადი ელემენტები.

---

97 *კაპისმეღოეი ი.* ნანახი, მოსმენილი, განცდილი, თელ-აეაეი, 1986, გვ. 156.
98 *იქვე,* გვ. 97.



ამულეტებით მოვაჭრე მისიონერი

ბავშვის დაბადება



ებრაული კვარტალი ახალციხეში



ქალების ბანაობა მიკვეში

თავი მეორე
აჭარაში ებრაელთა დასახლების ისტორია და ეთნორელიგიური მოზაიკა

ჩამოსახლების დრო და პირობები. აჭარა პოლიეთნიკური რეგიონია. აქ ქართველების გვერდით ცხოვრობენ: ბერძნები, ებრაელები, ქურთები, სლავები და კავკასიური მოდგმის ხალხები. აჭარაში მცხოვრებ ებრაელებზე ცნობები მწირია და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი, რაც ზრდის ებრაული დიასპორის შესახებ არსებული სტატისტიკური და დემოგრაფიული ცნობების მიმართ ინტერესს. ამგვარი ცნობები საშუალებას იძლევა, დადგინდეს ებრაული დიასპორის როლი და მნიშვნელობა რეგიონის ეთნიკურ მოზაიკაში. საარქივო, სამეცნიერო ლიტერატურული[99] და საველე-ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერებით ჩანს, რომ ებრაელთა კომპაქტური დასახლება აჭარაში ძირითადად 1878 წლიდან იწყება. მათი გამოჩენა რეგიონში შესაძლებელი გახდა მას შემდგომ, რაც ბერლინის ტრაქტატის შესაბამისად ბათუმი დაუბრუნდა საქართველოს და

---

[99] დაწერ. იხ.: *ბაერელი ს.* არტაანიდან ართვინამდე.- დროება, № 26; *Кавказ, справочная книга*, Тифлис, 1887; *Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия*, Путевые заметки Графини Уваровой, II. Москва. 1891; *Кальфоглу Н.* древнейшая известия о Батум. Известия Кавк. Отд. Русского Геогр. Общества, XVIII, 1905; *გიულდენშტედტი ი.* მოგზაურობა საქართველოში I, თბილისი, 1962; *მურიე ჟ.* ბათუმი და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა იმა ლორთქიფანიძემ, ბათუმი, 1962; *კასტელი ჟ.* ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბილისი, 1977; *გამბა ე.* მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი, 1987; *ეაგნერი მ.* საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 2002; *რაინეგსი ი.* მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბილისი, 2002; *სახოკია ი.* მოგზაურობანი, თბილისი, 1950; *მამისთვალაშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995; *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი, 1990; *ბაქრაძე დ.* არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987; *Френкель А.* Очерки Чурук-су и Батума, Тифл. 1879; *Давид И.* История евреев на Кавказе, I-II. Тель-Авив, 1989.

შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში[100]. აქ ჩამოყალიბდა ძირითადად ორი ებრაული სათეისტომო: „აშქენაზი“ და „ქართველი ებრაელების“, თუმცა „სეფარდი“ ებრაელების მცირეოდენი ჯგუფების არსებობა აჭარაში 1878 წლამდეც დასტურდება, რაზეც მიუთითებს ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე იცხაკ დავითი. იგი აღნიშნავს, რომ შავიზღვისპირა ქალაქ ბათუმით რუსეთთან შეერთების შემდგომ რუსულ ჯართან ერთად ქალაქში შევიდნენ „რუსი ებრაელი“ ხელოსნები, რომლებმაც იქ არსებული სეფარდი და ქართველ ებრაელთა თემების პარალელურად, მალე შექმნეს რუს ებრაელთა თემი[101]. იგი იქვე ამატებს, რომ ბათუმში ყველაზე ძველი ებრაული საფლავის ქვა თარიღდება იმავე, ანუ 1877 წლით[102]. ოსმალური მართველობის პერიოდში ებრაელთა მცირე ჯგუფის არსებობა აჭარაში მართლაც შესაძლებელი იყო. ზ. ჭიჭინაძის თქმით: „საქართველოდან გადასახლებულნი ებრაელნი ოსმალეთშიც არიან“[103]. ოსმალეთში ებრაელთა საქმიანობა ძირითად ვაჭრობას უკავშირდებოდა. ამ მსრივ საინტერესოა ი. პაპისმედოვის ცნობა, რომელიც ეხება ახალციხელი ებრაელების საგარეო ვაჭრობას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ახალციხეში იყვნენ „მესტამბოლეები“, რომლებიც სისტემატურად დადიოდნენ სავაჭროდ სტამბულს. სტამბულისაკენ მიმავალი სახმელეთო გზა ახალციხიდან ტრაპიზონამდე გადიოდა შემდეგი მიმართულებით:სოფ. ბადალა—ყანიფაურის გადასასელელი—არტაანი-ოლთისი—არმრუმი—ქუმიშხანა—ტრაპიზონი. ტრაპიზონიდან—სტამბულამდე ზღვით — იალქნიანი გემით. მეორე გზა მიდიოდა იმავე მიმართულებით არტაანამდე, შემდეგ არტაანი—არტანუჯი—ართვინი—ბათუმი. აგრეთვე ბათუმიდან სტამბულამდე გემით. მესამე გზა:ახალციხე—ბაღდადი—ქუთაისი—ორპირი—ფოთი-სტამბული[104].

---

[100] ლორია მ. ებრაელთა დასახლების ისტორიისათვის სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში.- ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, გვ. 261-262.

[101] ავტორი ზოგჯერ მხოლოდ ებრაულ სათეისტომოს მიუთითებს.

[102] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I-II, გვ. 389, 271.

[103] *ჭიჭინაძე ზ.* ცნობის ფურცელი, № 1971, 1902.

[104] *პაპისმედოვი ი.* საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიიდან.- სემშ, I, თბილისი, 1940, გვ. 17.

საერთოდ, ქართველი ებრაელები, რეგიონის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებამდე აჭარაში დასახლებას ერიდებოდნენ, რაზეც სხვადასხვა აეტორი მიუთითებდა. ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებოა იუდა ჰალიე ჩორნის ცნობა დიგვირელი ებრაელების შესახებ: „როცა რუსები შევიდნენ, თურქ ბატონს იქაური ებრაელების აჭარაში გადაყვანა განუზრახავს, მაგრამ არ წაყოლიან... ებრაელების მიერ დიგვირის მიტოვების მთავარი მიზეზი თურქების მიერ მათი ძალდატანებითი გამაჰმადიანების მცდელობა ყოფილა. განსაცდელს თავი იმით დააღწიეს, რომ სულ ერთიანად ახალციხესა და აწყურში გადასახლდნენ“[105]. ახალციხელები და მათ შორის ებრაელებიც, დიდად იტანჯებოდნენ რუსეთ-თურქეთის განუწყვეტელი ომის ვითარებაში, თურქთაგან წაქეზებული მაჰმადიანთა თავდასხმებისაგან. კავკასიის განსაკუთრებულ კორპუსში 1816-1836 წლებში მომსახურე რუსი ოფიცერი კ. ანდრეევი ამასთან დაკავშირებით იხსენებდა: „ქალაქის მოსახლეობა, მაჰმადიანების თავდასხმების მუდმივი საშიშროების გამო, თავისი ქონებიდან საუკეთესო რაც ჰქონდა, ფლავდა მიწაში ან მალავდა სახლის კედლებში. ერთხელ თურქები, ერთ-ერთი სახლის დარბევისას წააწყდნენ ასეთნაირად გადამალულ დოელათს. ამის შემდეგ მათ ნადავლის მოპოვების მიზნით, დაიწყეს სახლების ნგრევა და მიწის თხრა, ბოლოს, როცა ქრისტიანთა და ებრაელთა კვარტლებში ვეღარაფერს პოულობდნენ, მაშინ მაჰმადიანების აკლებას და ძარცვას მიჰყვეს ხელი“[106]. მაჰმადიანთა სისტემატიური თავდასხმების გამო 27-მა ოჯახმა XIX საუკუნის 40-იან წლებში სამუდამოდ დატოვა აბასთუმანი და ახალციხეში გადასახლდა. ამ მიზეზებით იყო გამოწვეული, რომ ებრაელები შეიარაღებულები დადიოდნენ[107].

1878 წლის შემდგომ აჭარაში ვითარება მკვეთრად იცვლება და იწყება ებრაელთა დასახლება, რაც ძირითადად ქალაქ ბათუმის გეოსტრატეგიულმა მდებარეობამ და ეკონომიკურმა დაწინაურებამ განაპირობა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის

---

105 *ჩორნი ი.* მოგზაურობა იმიერ და ამიერკავკასიაში.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მრომები, III, თბილისი, 1945, გვ. 174.

106 *ბამისთვალიშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ. 94.

107 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 84-412

ომის შემდეგომ ბათუმი მნიშვნელოვან საპორტო-სავაჭრო ქალაქად გადაიქცა. ფრანგი მოგზაური კლოდუ ანე, რომელიც 1900 წელს ბათუმში იმყოფებოდა, აღნიშნავდა, რომ ბათუმის მოსახლეობა იყო მრავალეროვანი. რუსთა მცირეოდენი ჯგუფები, აგრეთვე სომხები, ქართველები, თურქები, ებრაელები, ჩერქეზები... გარკვეული სამუშაოს ნახვის მიზნით სეგიალობდნენ პორტის ახლო შესახვევებში[108]. რუსეთის ხელში ბათუმის გადასვლას მოსახლეობისათვის დიდი სოციალური ცვლილებები მოჰქონდა. ამ ისტორიული ფაქტის გამო იცვლებოდა ბათუმის ეთნიკური მოზაიკა და მოსახლეობის რაოდენობა. ქალაქიდან გარბოდა მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი, რომელმაც ვერ გაუძლო ბათუმში მომხდარ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძვრებს, მაგრამ მათ ენაცვლებოდა მიგრაციის ახალი ტალღა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ებრაელებიც[109]. ბათუმში მიგრირებულთა შორის მრავლად იყვნენ სავაჭრო ეკონომიკურ სფეროში მომუშავე „შუამავლები" და პირველი გილდიის ებრაელი ვაჭრები. 1895 წლის დეკემბერში გაზეთი „Новое время" წერდა: „ბათუმის ოლქი გადაიქცა კარგ მხარედ მარდი სომხებისათვის, ქიდებისათვის"[110]. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი გადაიქცა მესამე განვითარებულ ცენტრად ბაქოსა და თბილისის შემდეგ, ხოლო პორტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პირველობაზე აცხადებდა პრეტენზიას[111].

ბათუმი ამიერკავკასიის ცენტრალურ მაგისტრალს სარკინიგზო ხაზით 1883 წელს დაუკავშირდა, რის გამოც ქალაქის ვაჭრობა და მრეწველობა სწრაფად განვითარდა.[112]

ებრაელთა მიგრაციას ბათუმის მხარეში ხელს უწყობდა, ასევე, სხვადასხვა ისტორიული პროცესი, მათ შორის აღსანიშნავია: კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების დამთავრება;[113]

---

108 *იქვე*, გვ. 272

109 *სიჭინავა ვ.* ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 111; Кавказ, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

110 იგულისხმება ებრაელები - *Давид И.* დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

111 *Шапсович.* „Вес Кавказ", Баку, 1914, გვ. 287; *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი*, საქმე №259, გვ. 1-13.

112 *სიჭინავა ვ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

113 ამ პერიოდში გადმოსახლებული, რუსულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელთა ნაწილი ცარიზმის სამხედრო ნაწილებში მსახურობდა.

რუსეთში მიმდინარე 1904-1905, 1917-1918 წლების მოვლენები; 1921 წლის მოუსაელიანობა და მიმშილობა[114] ეოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და უკრაინის სამხრეთში;[115] რუსეთის იმპერიაში ჩატარებული რეფორმები, რომლებიც საბოლოო ჯამში ებრაულ მოსახლეობას აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა.

ეკატერინე II დროიდან ებრაელები ვალდებულნი იყვნენ ბინადრობის ფარგლებში ეცხოვრათ და მისი ფარგლების დატოვების უფლება არ ჰქონდათ.

მეფე ნიკოლოზ I (1825-1885) ცდილობდა კონტროლი გაეწია იმპერიაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის. მან სერიოზული დარტყმა მიაყენა ებრაულ თემებს, დაშალა ისტორიულად აპრობირებული ებრაული თვითმართველობის ორგანოები – კაჰალები. 1827 წელს გამოიცა ბრძანებულება ებრაელთა სარეკრუტო ვალდებულების შესახებ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არმიაში სამსახური ოცდახუთ წელიწადს გრძელდებოდა. ებრაელებს სამხედრო სამსახურში 12 წლის ასაკიდან იწვევდნენ. ისინი ძალით მიჰყავდათ სახლიდან. არმიაში თავიდანვე ახდენდნენ მათზე ზეწოლას და აიძულებდნენ ქრისტიანობის მიღებას, ხშირად სცემდნენ და აშიმშილებდნენ. ებრაელთა წინააღმდეგ იყო მიმართული ასევე ნიკოლოზ პირველის მიერ სასაზინო სკოლების შემოღება ებრაელებისათვის. სახელმწიფო სკოლებში ებრაელები ეუფლებოდნენ რუსულ ენას და ღებულობდნენ რუსულ განათლებას[116]. ყოველივე ეს მიმართული იყო ებრაელთა გაქრისტიანებისა და მათი საბოლოო ასიმილაციისაკენ.

---

[114] ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების 1899 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამა წლის აპრილში ბათუმში ჩამოვიდა 500 დამშეული პირი სამარისა და უფის გუბერნიებიდან, მათ რიცხვში დიდი რაოდენობით იყო ებრაელებიც - *Баджелидзе А.* Основные вопросы экономики Аджарии (1878-1921), Батуми, 1973, с.119.

[115] ამ მიზეზის გამო თვით უკრაინელების დიდი ნაწილი ტოვებდა მშობლიურ მიწას. დაწერ. იხ.: *Наулко В.* Украинская этническая группа Канады.- Рассы и Народы, №14, 1984; *ფუხარა,* №260, 1926; *Баджелидзе А,* დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[116] *Телушкин Й.* დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

1856 წელს ალექსანდრე II-მ (1855-1881) გააუქმა ბრძანებულება კანტონისტების შესახებ და ებრაელები 1874 წელს რუსეთის იმპერიის სხვა მოქალაქეებს გაუთანაბრა. ახალი წესების მიხედვით, ჯარში ებრაელებს უკვე 20 წლის ასაკიდან იწვევდნენ. ებრაელთა ზოგიერთი ჯგუფისათვის დაშვებული იყო ბინადრობის ფარგლებს გარეთ ცხოვრების უფლება[117]. ებრაელთა ემიგრაციას აჩქარებდა ანტიებრაული დარბევები, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთის იმპერიაში, განსაკუთრებით 1881-1920 წლებში. რუსეთის იმპერიაში ანტიებრაული დარბევები ხშირ შემთხვევაში წინასწარ იყო პროვოცირებული თვით საიმპერატორო კარის მიერ[118]. ალექსანდრე III-ის (1881-1894) გამეფებისთანავე უკრაინაში ადგილი ჰქონდა სასტიკ ანტიებრაულ გამოსვლებს. ებრაელთა დარბევები დაიწყო ელიზავეტაში და კიევამდე მიაღწია, ოდესაში იგი სამ დღეს გრძელდებოდა. 1881 წლის გაზაფხულ-მაფხულში დაზარალდა 100-ზე მეტი ებრაული თემი. ანტისემიტიზმი დამახასიათებელი იყო ევროპის სხვა ქალაქებისთვისაც[119].

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველ ებრაელებში შეიმჩნეოდა სოფლებიდან თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, და სხვა ქალაქებში ვადასახლების ტენდენცია, სადაც იქმნებოდა ებრაელთა კომპაქტური დასასლებები[120]. რუსეთიდან შემოსული ებრაელები სახლობდნენ იქ, სადაც რუსული მმართველობა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთიდან მიგრირებული ებრაელები უპირატესად სახლდებოდნენ განვითარებად ქალაქებში. 1804-1825 წლებში კავკასიაში სულ ჩამოსახლდა 500 ებრაელი. 1852 წელს 26 ოჯახს დართეს კავკასიაში დასახლების ნება, 1869 წელს კი — 266 ოჯახს. მათი რიცხვი იზრდებოდა და თანდათან ებრაელები ქმნიდნენ დიდ დასახლებებს ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გროზნოში, ერევანში. მათგან უმრავლესობა იყო ვაჭარი, ხელოსანი,

---

117 *სამუელი რ.* ებრაელთა ისტორიის გზაზე, თელ-ავივი, 1990, გვ. 298

118 *Кон Н.* Благословение на геноцид, Миф о всемирном заговоре евреев и «протоколах сионистских мудрецов», Москва, с. 71.

119 *ფუხარა,* № 221, 1926; *პურადამვილი ივ.* დარბევა ქუთაისში.- ქართულ — ებრაული ურთიერთობანი, ქუთაისი, 1996, გვ. 32-33, *Телушкин Й.* დასახ. ნაშრომი, გვ. 198,199

120 *მამისთვალიმვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ. 84.

ექიმი და ა.შ.[121]. სხვადასხვა პერიოდში აშქენაზურ და ქართველ ებრაელთა თემებს აჭარაში ხელმძღვანელობდნენ: იაკობ ვარშაესკი, იუდა პეიზელი, არონ შმიდტი, შაბათა მამისთვალოვი, ბინიამინ ბოთერაშვილი და სხვები.

არაქართველი ებრაელები აჭარაში ძირითადად ოდესიდან, კიევიდან, ვარშავიდან, დნეპროპეტროვსკიდან. აგრეთვე იზმაილიდან, ყირიმიდან, სიმფეროპოლიდან, ფეოდოსიიდან, თბილისიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან მოემართებოდნენ. ქართველ ებრაელთა ბათუმში გადმოსახლების შესახებ ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ბათუმში ცხოვრობენ ებრაელები, ეაჭრობისათვის მოსულნი სამცხიდან", ხოლო სურამიდან მოსული ებრაელების შესახებ წერდა: „ვიდრე ბათუმის რკინიგზა სურამზედ გადიოდა, მანამ ებრაელთა აღებ-მიცემაც წინ მიდიოდა"[122]. საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქართველი ებრაელები აჭარაში აგრეთვე სახლდებოდნენ: კულაშიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, თბილისიდან[123].

1872 წლის მონაცემებით, ჯ. პალგრევი ბათუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ბუნდოვან ცნობას იძლევა, სადაც ებრაელები არ მოიხსენიება. მისი ცნობით ბათუმში ცხოვრობდა: 4500 მაჰმადიანი, 120 სომეხი, 350 ბერძენი. აგრეთვე: ქართველები, ჩერქეზები, აფხაზები, თურქები, ზანგები[124].

1882 წლის 19 მარტის აღწერით ბათუმის მოსახლეობამ 8671 სულს მიაღწია. მათ შორის იყო: ქართველი-1156, რუსი-980, თურქი-6037. აფხაზი-377, სომეხი-908, სპარსელი-112, ბერძენი-1106, გერმანელი-145, ფრანგი-24, იტალიელი-13, ინგლისელი-10, ებრაელი-179[125].

---

[121] *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფ.12, აღწ. 9, საქმე №458, გვ. 1-13.

[122] *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქრთველოში, გვ. 61, 66.

[123] *ლორია მ.* ებრაელთა დასახლების ისტორიისათვის სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში, გვ. 263.

[124] *Известия Кавк. Отд. Русского Геогр. Общества*, 1882, დასახ. ნაშრომი, გვ. 115-116; *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდი*, საქმე №489, გვ. 17; *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი*, საქმე №588, გვ. 33.

[125] *სიჭინავა ე.* ბათუმის ისტორიიდან, 1958, გვ. 111-112.

კავკასიაში ებრაელები შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ შემდეგ ქალაქებში: ბაქო, თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

კავკასიის ქალაქების მოსახლეობა 1886 წელს [126]

ქალაქები	მთლიანი მოსახლეობა სულ	ებრაელი (ათასობით)
ბაქო	86,6	0,4
თბილისი	78,4	1,6
ქუთაისი	22,6	2,8
ახალციხე	16,1	2,6

მომდევნო პერიოდში შესამჩნევია ებრაელთა რაოდენობრივი შემცირება, რაც დაკავშირებული იყო ეკონომიკურ საფუძველზე ებრაელთა გაძევების კონკრეტული შემთხვევებით. «The Jewish Chronicle» 21.IX. 1884; «Недельная Хроника востока» 1889, №, 15, 21 ცნობით: „ბათუმში ქალაქის მმართველები მოითხოვდნენ ებრაელებისაგან ხელი მოეწერათ ვალდებულებაზე, რომლის მეხედვითაც ისინი ორი დღის განმავლობაში დატოვებდნენ ქალაქს“[127]. ამასთანავე, კავკასიის ხელისუფლებამაც 1889 წელს დაიწყო იმ ებრაელთა გადასახლება, რომელთაც არ ჰქონდათ ბინადრობის უფლება. ებრაელთა უმრავლესობა კავკასიაში დარჩენის მიზნით ღებულობდა სხვა რელიგიას. ამასთან დაკავშირებით აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში[128] დაცულია ცნობა იმ ებრაელებზე, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანობა[129]. ებრაელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა არ

---

[126] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 409.

[127] იქვე, გვ. 311.

[128] *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფონდი №P-591, საქმე №2.

[129] რუსული ხელისუფლება, როგორც ჩანს, სახელმწიფო სამსახურში მიღების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კანდიდატის აღმსა-

მოსწონდათ ადგილობრივ ბათუმელ ვაჭრებს[130]. ასეთი ფაქტები სხვა ქალაქებშიც იყო დაფიქსირებული. მაგალითად უცხოელი ხელოსნების დასახლება თბილისში ბრდიდა კონკურენციას ადგილობრივებთან მიმართებაში. წინააღმდეგობა ხშირად მწვავე ხასიათს ღებულობდა. თბილისელი თერძების „უსტაბამებმა" - ეგორ მანთაშევმა და შიო ილურიძემ 1836 წ. ბარონ როზენს წარუდგინეს მოთხოვნა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ოთხ წელზე მეტი გავიდა, რაც ქალაქ თბილისში სხვადასხვა გუბერნიიდან დასახლდა მრავალი ებრაელი, ზოგი მთელი ოჯახებითაც კი. ზოგიერთს აქვს სამეკიტნო, დიდი ნაწილი კი მკერავია. უკანასკნელთა შორის არიან სოლომონ სალმანი, მოისეი კრინსკი და მოისეი მოგილევსკი, რომელთაგან პირველ ორს ერთ სახლში ჰყავს 30 მუშა, ხოლო უკანასკნელს ცალკე სახლში ჰყავს 15 მუშა ქრისტიანული აღმსარებლობისა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ ებრაელებთან ერთად. ქრისტიანული აღმსარებლობის ოსტატები ასწავლიან თუ არა შეგირდებს ხელობას, ებრაელები მაშინვე თავისთან გადაიბირებენ და ამით ოსტატებს ხელიდან აცლიან მათი თავისთან დაკავების საშუალებას... ებრაელთა ასეთი დასაგმობი საქციელის გამო ჩვენი ქრისტიანული აღმსარებლობის საზოგადოება თბილისში იმდენად შეეიწროვებულია, რომ დიდი გაჭირვებით იხდის სახელმწიფო გადასახადებს და ყველა სახელმწიფო ვალდებულებას"[131]. ამგვარი ვითარების გამო თუ 1889 წელს ბათუმში იყო 200 ებრაული ოჯახი, 1890 წელს 100 ოჯახი დარჩა[132].

1892 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიამი შედიოდა 7 მაზრა: ქუთაისი, ზუგდიდი, ლეჩხუმი სვანეთთან ერთად, ოზურგეთი, რაჭა, სენაკი, შორაპანი და 3 ოლქი: სოხუმი, ბათუმი და ართვინი. მოსახლეობა სულ 1.048.940 მცხოვრებს შეადგენდა,

---

რებლობას. ებრაელების მიმართ არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა და მოითხოვდა მათ გაქრისტიანებას.

130 *ლორია ბ.* ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ტრადიციები ბათუმში: ებრაელები.- ბათუმის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა შრომები, II, ბათუმი, 2000, გვ. 115.

131 *მამისთვალიშვილი ე.* დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

132 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, II, გვ. 312.

ამათგან რუსები-0,53%, ბერძნები-0,72%, ქართველები-56,55%, ებრაელები-0,76%[133].

1897 წლის 28 ივანვარს ჩატარებული სრულიად რუსეთის მშობლიური ენის აღწერის მასალების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ბათუმში სულ 28 508 მცხოვრები იყო, მათ შორის: ქართველი - 6 087, სომეხი - 6 839, 3. ბერძენი-2 762, თურქი -1 654, პოლონელი-226, გერმანელი-299, ჩერქეზი-65, ებრაელი-1064, ველიკორუსი, ბელორუსი, მალორუსი -7 144[134].

ებრაელთა რაოდენობა 1897 წლის მონაცემებით, კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი №2).[135]

ცხრილი №2

გუბერნია, ოლქი	ებრაული მოსახლეობა სულ			ებრაელთა % თანაფარდობა საერთო მოსახლეობასთან
	მამაკაცი	ქალი	ორივე	
დაღესტანის გუბერნია	5.256	4.594	9.850	1,72
ელიზავეტის გუბერნია	992	1.031	2.023	0,23
ყარსის ოლქი	1,118	90	1,208	0,42
ყუბანის ოლქი	2.453	2.346	4.796	0,25
ქუთაისის გუბერნია	4,703	4,199	8,902	0,84
სტავროპოლის გუბერნია	717	574	1.291	0,15
თბილისის გუბერნია	4.666	3. 838	8.504	0,81
ერევნის გუბერნია	1.197	876	2.073	0,25

[133] *Энцикл. Словарь*, 33, 1896, გვ. 132.

[134] *Первая всеобщая перепись населения Российской империи*, 1897 г., Издание центрального статистического комитета Министерства Внутренних дел, под ред. Н. Троцкого, XVI, Кутаисская губерния, 1905 , с. 1-3.

[135] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 57.

აჭარის მმაჩის არქივის მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ 1890-1897 წლებში ბათუმში ებრაელთა მატება დაკავშირებული იყო მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობასთან.

1904 წლის მონაცემებით ჩანს რომ კავკასიაში ებრაელთა უმრავლესობამ თავი მოიყარა შემდეგ ქალაქებში (იხ. ცხრილი №3).[136]

ცხრილი №3

გუბერნია, ოლქი	ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	მამაკაცი	დედაკაცი	სულ	მამაკაცი	დედაკაცი	სულ
ელიზავეტის	44	49	93	021	872	1893
ყარსის ოლქი	30	21	51	25	12	97
ქუთაისის	2785	2129	4914	737	1425	3162
თბილისის	3093	2194	5287	184	1608	3792
ერევნის	201	162	363	92	65	157
ბათუმის ოლქი	477	365	842	2	0	2
სულ:	12804	9942	22746	6590	5007	11597

ამ პერიოდის აღწერები ურთიერთსაწინააღმდეგოა და აქედან გამომდინარე, ყოველთვის იდენტურ შედეგს არ იძლევა[137]. შესაბამისად, ამ აღწერებთან დაკავშირებით უნდა გამოითქვას შემდეგი შენიშვნები:

ა) მოსასლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც უპირველესი წყაროა ეროვნების დასადგენად, რუსეთში განხორციელ-

---

[136] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 58.

[137] *ლორია ბ.* ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გრადიციები ბათუმში: ებრაელები.- ბათუმის უნივერსიტეტის ასალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა შრომები, II, ბათუმი, 2000, გვ. 116.

და მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულში, თანაც ეთნიკური შემადგენლობის გასარკვევად გამოიყენეს დედაენა და არა ეროვნების ნიშანი;

ბ) უფრო ადრინდელი პერიოდისათვის იყენებდნენ კამერალური აღწერის მასალებს და ხელისუფლების ორგანოების მიერ შეგროვილ პერიოდულ ცნობებს; ეს მონაცემები არ იყო სრული, შეიცავდა ბევრ უზუსტობას, რადგან ეროვნებას ხშირად აიგივებდნენ სარწმუნოებრივ და ეთნოგრაფიულ ნიშნებთან;

გ) მიგრაციული პროცესების ფართო მასშტაბის გამო საკმაოდ დიდი იყო ცელილებანი ეროვნულ შემადგენლობაში როგორც დროში, ისე სივრცეში; ამავე დროს მიმდინარეობდა ასიმილაციის პროცესი; ეს გარემოებანი და ხელისუფლების მოხელეთა ნაკლები კომპეტენტურობა ეთნიკურ საკითხებში ბევრად აფერხებდა სწორი ცნობების შეგროვებას;

დ) არანაკლებ მნივნელოვანია ის გარემოება, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა მხარეებში ეროვნულ-უფლებრივი ინტერესების შელასვას, ათანაბრებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდილობდა დაესაწევრებინა ერთიანი ეროვნული სხეული[138].

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული აღწერების მიხედვით ქალაქ ბათუმში ებრაელთა რაოდენობა ასე გამოიყურებოდა (იხ. ცხრილი №4).

---

[138] დაწერ. *იხ.: ჯაოშვილი ე.* საქართველოს მოსახლეობა, თბილისი, 1996

ცხრილი №4

1922 წლის მონაცემები[139]

ეროვნება	საქართველოში დაბადებული	საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული	სულ
ქართველი	17569	683	18252
სომეხი	4681	10282	14968
რუსი	3033	7687	10720
ბერძენი	2189	5440	7629
ებრაელი	915	2784	3699

1922 წლის აღწერის მასალებით ჩანს, რომ ქალაქი ბათუმი ძირითადად სხვა ქვეყნებიდან შემოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. ქართველების გარდა ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობა დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. ებრაული მოსახლეობის ასეთი სწრაფი მატება უკავშირდება რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და სიონისტურ მოძრაობას.

1926 წლის მონაცემებით კი ეროვნული შემადგენლობა ბათუმში შემდეგია: ქართველი - 17753, სომეხი-10233, ბერძენი 2844, რუსი-8 760, ოსი-95, აფხაზი-423, ებრაელი-1 953, სხვები-3971 [140].

---

139 *ლორთქიფანიძე ვ.* ისტორიული მესსეთი - დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბილისი, 1998, გვ. 198-199.

140 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფონდი №P -4, აღწერა № 1, საქმე №333, გვ. 12-24.

1959-1989 წლებში ბათუმში ცხოვრობდა (იხ. ცხრილი №5).[141]

ცხრილი №5

წლები	1959	1970	1979	1989
მოსახლეობა სულ	82323	100603	122292	136930
ქართველი	40181	53185	73126	90253
რუსი	20855	23527	24781	21112
ებრაელი	1139	1134	917	720

აჭარაში ებრაული დიასპორის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, ამჟამად რეგიონში სამასამდე ებრაელი ცხოვრობს, რომელთა რიცხვი თანდათან კლებულობს.

სიონისტური იდეები ისევე, როგორც საბჭოთა იმპერიის სხვა რეგიონებსა და ქალაქებში, ბათუმშიც ებრაელებს ბიძგს აძლევს ნაციონალური სულის გაღვიძებას და მას შემდგომ, რაც რიგმა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობას მიაღწიეს, იწყეს მასიური ემიგრაცია ისრაელში. რაც დაფიქსირდა კიდევაც ამ პერიოდის აღწერის მასალებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა გარკვეულ კავშირშია ეთნოენობრივ პროცესებთან. ი. დეშერიევის თქმით, ეთნოენობრივი პროცესები განპირობებულია ეთნიკური ერთობის სოციალური განვითარებით[142]. ხოლო გ. გრიგორიევას განმარტებით, ენა არის აუცილებელი პირობა ადამიანთა ერთობის არსებობისა, მათ შორის ეთნიკურისაც. ის იქმნება ამ ერთობის შიგნით და ასახავს მის მდგომარეობას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და აქტიურად ეხმარება მის განვითარებას[143]. და რადგან ცალკეულ შემთხვევებში ენობრივი კუთვნილებით განსაზღვრავენ ეროვნებას და

---

141 *საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა*, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1991, გვ. 8.

142 *Дешериев Ю. Д.* Социальная лингвистика к основам общей теории, Москва, 1997, С. 12-24.

143 *Григориева Г. А.* Этноязыковые процессы в Чувашской АССР.- Рассы и Народы, № 14, Москва, 1984, с. 82.

ეთნიკური კუთვნილების შეუცველელად სხვათა ენას მიიჩნევენ მშობლიურ ენად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მოსახლეობის ეროვნებისა და ენის მიხედვით აღწერის მასალებს.

სანამ შევეხებოდეთ, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ აჭარაში, მანამდე თვალი გადაეაველოთ კავკასიაში მცხოვრებ ებრაელეთა ეთნოლინგვისტურ საკითხებს. ნ. ბაბილიკაშვილი აღნიშნავდა, რომ როგორც დიასპორის სხვადასხვა ადგილებში, კავკასიაშიც ებრაელთა ნაციონალური ტრადიციების ერთმა ნაწილმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ხანგრძლივი კონტაქტების გამო გარკვეული ცვლილებები განიცადა. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სალაპარაკო ენაზე და ამის მიხედვით კავკასიელ ებრაელებს სამ უძველეს თემად ყოფს: ქართველი ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ ქართულ ენაზე; მთიელი რომლებიც ლაპარაკობენ თათურ ენაზე და, ბოლოს, არამეელი ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა არამეულ დიალექტზე. ზემოჩამოთვლილ ებრაელთა სამი უძველესი ჯგუფის გვერდით ნ. ბაბილიკაშვილი არ ივიწყებს XIX საუკუნის დასაწყისიდან კავკასიაში და განსაკუთრებით, საქართველოში შემოსულ ევროპელ ებრაელებს"[144]. ბაბილიკაშვილისეულ ლინგვისტურ დაყოფას კიდევ უფრო აკონკრეტებს ი. დავიდი და გვთავაზობს ოთხ ენობრივ ჯგუფს: საქართველოს ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, აგრეთვე მის დიალექტებზე; ჩრდილოეთ კავკასიის ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ თათურ ენაზე; ურმიდან, სალამასიდან, შირვანიდან, სამხრეთ აზერბაიჯანიდან და ქურთისტანიდან გამოსული ებრაელები, რომლებიც იყენებენ არამეულ ენას; რუსეთიდან, პოლონეთიდან, მალოროსიიდან და სხვა ადგილებიდან მოსული ებრაელები, რომლებიც ლაპარაკობენ „იდიშზე" [145].

პოსტსაბჭოურ სივრცეში მცხოვრები სხვადასხვა ებრაული ჯგუფები: აშქენაზები, სეფარდები, რომელთა სალაპარაკო ენები გახდა მსოფლიოში „იდიში", „ლადინო", — დღესაც ძირითადად რუსულ ენაზე და იმ ხალხების ენებზე მეტყველებენ, რომელთა შორისაც ცხოვრობენ[146].

---

[144] *მამისთვალიშვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, გვ. 48.
[145] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 95.
[146] *Население СССР* (Справочник). Под. ред. А. Боярского, Москва, 1974, с. 77.

1926 და 1989 წლის მონაცემებ აჭარის მოსახლეობა ეროვ-ნებისა და ენის მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად (იხ. ცხრილი №6, №7)

ცხრილი №6

1926 წლის მონაცემები[147]

ებრაელები	მუდმივი მოსახლეობა სულ	თავისი ეროვნების ენას	ქართულ	რუსულს	დანარჩენს
ამქენაზი ებრაელი	1945	611	150	1090	94
ყირიმელი ებრაელი	5	-	-	5	-
მთიელი ებრაელი	2	-	-	2	-
ქართველი ებრაელი	46	-	32	9	5
კარაიმი	2	-	-	2	-

ცხრილი №7

1989 წლის მონაცემები[148]

ეროვნება	მუდმივი მოსახლეობა სულ	თავის ეროვნების ენას	ქართულს	რუსულს	სხვა ენას
ქართველი	90 253	90 102	-	131	20
სომესი	13 394	10 394	30	2350	20
ბერძენი	2 747	2 000	107	630	10
ებრაელი	645	90	49	503	4
ქართველი ებრაელი	135	108	-	27	-

[147] *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი*, ფონდი №P -178, აღწერა 1, საქმე №56, გვ. 25.

[148] *საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა*, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1991. www.adjarastat.com.

ცხრილი №6, №7 ნათლად წარმოაჩენს, რომ აშქენაზი და სეფარდი ებრაელების[149] დიდ ნაწილში გაბატონებულია რუსული ენა, ქართველ ებრაელებში კი ქართული. რუსული ენის გაბატონება დაკავშირებულია საბჭოთა პერიოდში ბოლინგეიზმის, მეორე მშობლიურ ენად რუსულის აღიარების პროპაგანდისა და ზეეროვნული ერთობის ჩამოყალიბების მცდელობასთან, რაც წითელ ზოლად გასდევს იმდროინდელ გამოცემებს „ენობრივი ერთიანობა დამახასიათებელია ყველა ეთნოსისათვის და ყველა ეთნოსი თავისი ჩამოყალიბების პროცესში ჩვეულებრივ იყენებს ერთ ენას, მაგრამ სრულიად არაა აუცილებელი, რომ თავისი შემდგომი არსებობის მთელ მანძილზე ის სარგებლობდეს მხოლოდ ამ ენით"[150]. გ. გრიგორიევა პირდაპირ აღნიშნავდა, რომ: „რუსული ენის შესწავლა და მისი ცოდნის განმტკიცება არის თითოეული ხალხის ობიექტური მოთხოვნა... ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ნაციონალურ-რუსული ორენოვნების გავრცელების ფართო პროცესი პასუხობს სსრკ-ს ყველა ხალხის ინტერესებს"[151].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, საქართველოში ებრაელები უძველეს დროში სახლდებიან. ხოლო აჭარაში ებრაელთა კომპაქტური დიასპორის წარმოქმნა უკავშირდება ოსმალთა ბატონობისაგან ამ კუთხის განთავისუფლებას, კერძოდ, XIX საუკუნის 80-იან წლებს. ებრაული თემები არ იყვნენ ერთგვაროვანნი, აქ ძირითადად აშქენაზი და ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ. ხოლო მათი ცხოვრების აქაური მონაკვეთი XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დღემდე ქართულ-ებრაული ურთიერთობების ერთი საინტერესო და ღირებული ფურცელია.

სინაგოგა და ებრაული თემის ეთნორელიგიური სტრუქტურა. საქართველოს შავიზღვისპირეთში ცხოვრობენ როგორც აშქენაზი, ისე სეფარდი ებრაელები. ზოგადად ებრაელთა ამგვარ დაყოფას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მათ შორის გან-

---

[149] ქართველი ებრაელების გამოკლებით.

[150] *Брамлей Ю. В.* Этнос и Этнография, Москва, 1973, С. 57; *მისივე.* Очерки теории этноса, Москва, 1983 С. 114.

[151] *Григориева Г.* დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

სხვაეება ვლინდება ლოცვის წესებში, სინაგოგის მოწყობაში, ტრადიციული ყოფითი კულტურის სხვა საკითხებში. აშქენაზ ებრაელებს მიეკუთვნებიან ევროპელი ებრაელების დიდი ნაწილი. ისინი ჩამოყალიბდნენ შუა საუკუნეებში, გერმანიაში და გავრცელდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, აგრეთვე ამერიკაში, აფრიკაში, აესტრალიაში. სეფარდი ებრაელები ჩამოყალიბდნენ: ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, თურქეთში, აზიაში, ბალკანეთზე, აფრიკის ნაწილში. ისინი აერთიანებენ იმ ებრაელებსაც, რომლებიც არ არიან აშქენაზები და პირდაპირი კავშირი არ აქვთ სეფარდებთან. მაგალითად, კაეკასიის ებრაელები. ამ სათვისტომოთა სალაპარაკო ენაა — იდიში და ლადინო, რომლებიც თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. ეს ენები ებრაელთა სხვადასხვა ხალხებთან ასიმილაციის პროდუქტს წარმოადგენენ და მსოფლიოს ებრაელთა უმრავლესობამ არ იცის. ამჟამად ისრაელში სახელმწიფო ენაა ივრითი — ძველი ებრაული[152].

კავკასიის ებრაელებში იგულისხმებიან ქართველი და მთის ებრაელები: ქართველი ებრაელები იუდაიზმის მიმდევარნი არიან, მათ გვარები გაფორმებული აქვთ ქართულ ყაიდაზე, მშობლიურ ენად მიიჩნევენ ქართულს. ყველა ამ ფაქტიდან გამომდინარე, ისინი ქართველ ებრაელებად იწოდებიან. მთის ებრაელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს დაღესტანში და აზერბაიჯანში[153]. ძველად ისინი მთებში ცხოვრობდნენ, საიდანაც წარმოსდგება მათი სახელწოდება. XVIII-XIX სს-ში მათ დაიწყეს

---

[152] *ციციამვილი ა., გაბიძამვილი ო.* იუდაიზმი და სიონიზმი, თბილისი, 1982, გვ. 44; *Гителман Ц.* Формирование еврейской культуры и самосознания в СССР: Государство в качестве социального инженера.- СЭ, № I, Москва, 1991, с. 35.

[153] *Крихели А.* Исторический обзор пребывания иногородних (русских европейских) евреев на Кавказе 1804-1855, част I.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, III, თბილისი, გვ. 135; *Членов М.* О современном расселении еврейских этнических групп Кавказа - IV Конгресс этнографов и антропологов России, Тезисы докладов, Москва, 2001, с. 229; *Гилалов З.* Горские Евреи: новый этап развития малочисленного народа.- IV Конгресс этнографов и антропологов России, Тезисы докладов, Москва, 2001, с. 225.

მთებიდან დაბლობში ჩამოსახლება. მათი სალაპარაკო ენაა თათური. ამ ენაზე აქვთ შექმნილი დამწერლობა და კულტურა, ამიტომაც ისინი ცნობილნი არიან როგორც მთის ებრაელების, ასევე თათების სახელწოდებითაც. თათების ქვეშ ძირითადად გულისხმობენ მოსახლეობას, რომლებიც ლაპარაკობენ იგივე ენაზე, მაგრამ განსხვავდებიან მთის ებრაელებისაგან წარმოშობითა და რელიგიით. მთის ებრაელები აღიარებენ იუდაიზმს, სოლო საკუთრივ თათები — ისლამს[154]. ი. ანისიმოვი მიიჩნევდა, რომ ებრაელები ჯერ კიდევ სპარსეთში შეერივნენ ირანულ ტომებს — თათებს, ნაწილმა მიიღო უკანასკნელთა გაბატონებული წარმართული რელიგია, ნაწილმა კი გააერცელა მოსეს რელიგია. ამიტომაც ამ ებრაელთა ენა, პირველ რიგში, განეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს. შემდგომ, შუა საუკუნეებში, თათები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხაზარებს შეერივნენ და ამ პერიოდის ხაზართა მეფეებს საკუთარ მეფეებად მიიჩნევდნენ. ებრაელების უმრავლესობამ კავკასიაში არაბთა შემოსევების შემდეგ მუსლიმანური რელიგია აღიარა და თათებად იწოდა, სოლო ეინც მოსეს რელიგია შეინარჩუნა, მთის ებრაელის სახელი მიიღო[155].

ი. დავიდის თვალსაზრისით, კავკასიის ებრაელები არ არიან არც სეფარდები და არც აშქენაზები, ისინი წარმოადგენენ განსაკუთრებულ უცხო ეთნოსს, წარმოშობილს იბერიულ-კავკასიური გეოპოლიტიკური და პოლიეთნოლინგვისტიკური გარემოს საფუძველზე. მისი ვარაუდით, სამხრეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ ებრაელები, იბერ-ბასკები, ბერბერები და კელტები. იგი უარყოფს ებრაელთა სემიტურ წარმოშობას და მიაჩნია, რომ ებრაელთა წინაპარი — ჰაბირუს ტომების პირვანდელი ფორმირება კავკასიაში მოხდა. მათ განიცადეს სემიტიზაცია, როცა დაიწყეს გადაადგილება ეგვიპტე-პალესტინის მიმართულებით (ძვ. წ. XV ს.), აითვისეს სემიტური ენა, განიცადეს ფიზიკურ-რასობრივი სემიტიზაცია-ქანაანიზაცია. ე. მამისთვალი-

---

154 *Народы Кавказа*. 1961, с. 554; *თოთაძე ა.* საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, 1993, გვ. 272-285.

155 *Народы и Религии Мира*, 1999, Москва, с. 140.

შეილს მიაჩნია, რომ ი. დავიდის ეს მოსაზრებანი გასათვალისწინებელია, ყოველ შემთხვევაში, იგი ქართველების და კავკასიელი ებრაელების ანთროპოლოგიური მონაცემების, ზოგიერთი ტოპონიმისა და ლეგენდის სხვაგვარად გაგებისაკენ გვიბიძგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელი მეცნიერის ფრიდრის კაპნის მისედვით ისტორიული ისრაელის მიწაზე კავკასიის ხალხების დიდი მიგრაციები ხდებოდა, რომლებიც შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. დაახლოებით ასეთივე მოსაზრება გერმანიაში უფრო აღრე გამოთქვა ს. ვაინსებერგმა. მისი შეხედულებით, კავკასიაში ცხოვრობდა ენითა და წეს-ჩვეულებებით განსხვავებულ ებრაელთა ორი შტო: ქართველი და მთიელი ებრაელები. ს. ვაინსებერგს ჩაუწერია ცნობა ორივე შტოს საერთო წარმომავლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქართველი ებრაელები მიჩნეულნი არიან სუფთა შტოდ, რომელიც არ შერეულა არც თათებთან და არც ხაზარებთან და რომ კავკასიელი ებრაელები წარმოშობილან პალესტინიდან წასული ათი ტომისაგან[156]. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ ერთი ერის ორი შტო საუკუნეების სიღრმიდან მოდის. საქართველოში ქართველმა ებრაელებმა გარკვეულწილად შემოინახეს ის სულიერი და იდეური სიძლიერე, რომელიც ეხმარებოდა მათ ეროვნული მეობის გადარჩენაში. ეს პროცესი ამავე დროს მიმდინარეობდა ქართულ ყოფასთან და კულტურასთან მჭიდრო კავშირში. საყურადღებოა ისიც, რომ ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში 100-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, მაგრამ მათ აღსანიშნავად არავინ იყენებს ორმაგ ეთნონიმს, მაგალითად: ქართველი რუსი, ქართველი სომეხი, ქართველი აზერბაიჯანელი და ა.შ. ქართველი ებრაელის, როგორც სახელწოდების არსებობა არა მარტო ამ ორი ხალხის ისტორიული თანაარსებობის, არამედ ებრაელთა მიერ ქართული ენის მშობლიურ ენად გათავისებისა და ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მყარად შემოსვლის შედეგია.

---

[156] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 29; *მამისთვალიშვილი ე.* დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

აღნიშნულთან ერთად რეგიონში გესხედებიან ყირიმელი ებრაელები: ისინი იყოფიან „იუდეველებად“ და „კარაიმებად“: VIII საუკუნეებში თავი იჩინა რელიგიურმა გაღახრამ, რომლიც ცნობილია კარაიმების სახელწოდებით, ისინი თალმუდს[157] არ ცნობდნენ და მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. სახელწოდება კარაიმი მომდინარეობს „კარაიმ ბენ მიკრადან“ – წმინდა წიგნის შვილები ანუ მასწავლებლები[158].

საქართველოში არმეულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელების, ანუ „ლახლუხების“ დასახლებას შეეხო ქუთაისელი რაბინი იაკობ დავარაშვილი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ებრაელები, სპარსეთის ქვეშევრდომები იყვნენ. სომხეთის გაელით ისინი დასახლდნენ თბილისში და შემდეგ აჭარაში. მათ შორის ბევრი ყოფილა ხასამი და რაბინი, კერძოდ, გამოჩენილი რაბინი მიხაილ მიზრახი და მისი შვილი იცხაკ მიზრახი, რომელთაც პყავდათ ბევრი მოსწავლე ქართველ ებრაელთა შორის მთელ საქართველოში: ქუთაისში, ფოთში და სხვა ქალაქებში[159]. ლახლუხებს კავკასიაში უწოდებენ ქურთისტანის ებრაელებს, რომლებიც უძველეს პერიოდში ცხოვრობდნენ ირანის, ერაყისა და თრუქეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე[160].

რეგიონში სხვადასხვა ებრაული ჯგუფების არსებობას ადასტურებს ჩვენს მიერ ფიქსირებული ებრაული გვარები. გვარები (საგვაროენო სახელები, გვარსახელები) იგიეე საკუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომელთა შექმნა გარკვეულმა პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა. საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანთა კოლექტივში საკმარისი არ აღმოჩნდა პიროვნების მხოლოდ სახელით მოხსენიება, აუცილებელი გახდა იმის მითითებაც, თუ რომელ გენეალოგიურ შტოს მიეკუთვნებოდა კერძო სახელის მქონე ინდივიდი, ვისი შთამომავალი იყო, ან რომელი ოჯახის

---

157 ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული.

158 *ბათოშვილი ა.* ებრაელთა ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991, გვ. 188-190.

159 *Давид И.* დასახ. ნაშრომი. I, გვ. 68.

160 *Крупник И.* დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

წარმომადგენელი. გვაროვნული წარმომაელობის სახელდებას საგვაროვნო კრებულის ან სხვა წყვრების ამა თუ იმ ნიშან-თვისების აღნიშვნა ედებოდა საფუძველად, აგრეთვე ჩვეულება, რწმენა, სადაურობა, გამოჩენილი ადამიანის სახელი, წინაპრის საქმიანობა, თანამდებობა, ზოგჯერ ტომებზე, მითურ ამბებსა და პერსონაჟებზე, თეონიმებზე (ღვთაებათა სახელებზე) მითი-თება და, ყველაზე მეტად, წინაპრის საკუთარი სახელი - ეპონიმი[161].

აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა გვარობრივი სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ა მ ქ ე ნ ა ზ ე ბ ი

XVII ს-მდე მცირეოდენი გამონაკლისების გარდა ევროპელ ებრაელებს არ ჰქონდათ გვარები. გვარის მაგივრად იხმარე-ბოდა ტერმინები: ბენ – ძე, ბატ – ასული. მაგალითად მოსე იაკობ ბენ ანუ მოსე იაკობის ძე, სარა სოლომონ ბატ ანუ სა-რა სოლომონის ასული[162].

• აბრამოვიჩი, ანგერკმანი, ანისიმი, ანუკაევი, აპტიეკარმანი, არანოვიჩი, არნოლდი, ანჯელო, ამქენაზი, აფუსი ასეტინსკი[163].

---

161 იხ.: *მაისურაძე ი.* ქართული გვარსახელები, თბილისი, 1981; *ჭუმბურიძე ზ.* რა ვქვია შენ?, თბილისი, 1992; *ღლონტი ალ.* ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1986; *თოფჩიმეილი რ.* როდის წარმოიქმნა ქართუ-ლი გვარსახელები, თბილისი, 1997; *სილაგაძე ა., თოთაძე ა.* გვარსახე-ლები საქართველოში, თბილისი, 1997; Системы личных имен у народов мира, Москва, 1989.

162 Родник, №4, 1989.

163 *აჭარის არ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი.* ა) ქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი-1925-68 წლები; ბ)განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი-1925-68 წლე-ბი, გ) Еврейская синагога-с1900г до 1910 года; Еврейская синагога- книга за-писи умерших 1900-05 гг, Арх. №6; Еврейская синагога- книга записи умерших 1906-12 гг, Арх. №7; Еврейская синагога- книга записи умерших 1913-21 гг, Арх. №8; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи родившихся 1901-1911 гг; Батумская Еврейская синагога – Метричес-кая книга для записи разводившихся 1901-1911 гг, №13; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи разводившихся 1911-1921 гг, №14; Батумская Еврейская синагога-Алфавит на родившихся евреев, №18; Батум-ская Еврейская синагога-Алфавит на умершихся евреев, №19; Батумская Ев-

• ბაქმი, ბერკოვიჩი, ბერგანი ბერესტეცსკი, ბელმესი, ბეკკერი, ბეხერი, ბირმანი, ბრაგენსკი, ბრანიატოვსკი, ბუდნიკი, ბარსკი, ბრუხე, ბროდსკაია, ბორუსოვი, ბიხოვსკი, ბალახოვსკი, ბარდაკოვიჩი, ბოროხოვიჩი, ბროდსკი, ბოქროვსკი, ბერმმანი, ბერმანი, ბერშინი, ბუხბინდერი[164], ბირსოვიჩი, ბინდერი, ბარსუკოვი, ბეივინი, ბრომბერგი, ბლიუმმი, ბედნიაკი, ბროინშტეინი, ბუდგარი, ბერლინი, ბერეგოვოი, ბარონი, ბრანტი, ბერკოვიჩი, ბორნე.

• გაბაი, გერმანი, გელბეკი, გერშენგორი, გელბლუმი, გოლდინი, გოლოსოვსკი, გომანი გოხთეინი, გრიმკოვიჩი, გურმანი, გურინშტეინი[165], გუტმანი, გურდვიჩი, გეკენდკო, გრინი, გოლდი, გერშკოვიჩი, გოგიელოვი, გერმკოვი, გურევიჩი, გერმფელდი, გუტკოვსკი, გენდელი, გუსევი, გინდზბერგი, გამბურგი, გინდელმანი, გეცუკი, გოროდოცკი, გელერი, გრიდნიცკი, გრეონკო, გარლამანიკოვი, გრინბურგი, გოფმანი, გოტლერი, გინი, გლუხოვსკი.

• დობრუსინი, დოკტორმანი, დავიდოვიჩი, დოქტორსკი, დანიელი, დრამთალი, დვარეცკი, დიკერმანი.

• ეგელსონი[166], ენკილევიჩი, ერლიხმანი, ელევიჩი, ენდერი, ეკატერინესლავსკი, ეჩესი, ედიდკინი, ეგუტინი.

• ვაკიე, ვაიმფალდი, ვაინერი, ვინკილშტეინი, ვარიხი, ვოლოხი, ვარშავსკი, ვერხოვსკი, ვოლშტეინი, ვინნისი, ვენცაიმერი, ვატნიკი, ვაიმანი, ვიზელი, ვერცი, ვიხნენკო, ვოლკოვი, ვერასუკი.

рейская синагога-Алфавит на бракосочетаевшихся евреев, №20; *ბათუმის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილება*: ა) ქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი-1968-2005 წლები, ბ) განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი-1968-2005 წლები.

164 ი. დავიდი აღნიშნავს, რომ რუსი ებრაელები ანუ ამქენაზები იმდენად დაუახლოვდნენ ქართველ ებრაელებს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, რომ აღნიშნული ქართველი ებრაელების ოჯახებმა მიიღეს ამქენაზური გვარების დაბოლოება. მაგ.:ბუხბინდერი, შესტერი, ზლატკინი, კეცმანი და სხვა.

165 რადგან წინათ გერმანიაში სახლებს ნომრები არა ჰქონდათ, მათ ეძლეოდათ სახელწოდებები, რაც სურათებად იყო წარმოდგენილი კარებზე. ამრიგად შეიქმნა ასეთი გვარები: **Baum** (ხე), **Stein** (ქვა), **Berg** (მთა) – იხ.: *კოეგლერი კ.* გერმანული ენის მესაგალი, თბილისი, 1989.

166 პირველი ნაბიჯი გერმანიაში ორსახელიანობისაკენ იყო საკუთარი სახელის მევსება მამის სახელით, რის საფუძველზეც მიეიღეთ **Sonn** (ვაეი. შვილი) დაბოლოების გვარები.

• ზეიფი, ზილბერგი, ზონსონი, ზონდი, ზარუხოვი, ზუნდელი, ზემლინსკი, ზელიკოვა, ზლოტნოვი, ზაკმანი, ზევინი, ზეიგერმანი.

• თანდიტა.

• იაკობსონი, იგუდინი, იდელოვიჩი, იურესალიმსკი[167], ინგერმანი, იანკელი, იანკელევიჩი, იაფე, ირქევსკი, იუდიკი, იზრაელიანი, იოხოლსონი.

• კონტაროვიჩი, კალაჩევსკი, კაზანსკი, კაცი, კაენი, კაპლანი, კოგანი, კოსი, კრასენბაუმი, კრაფტი, კრუპნიკი, კრევორუკი, კრეიდენკო, კურცერი, კუშნერი, კარავაევი, კლეპმალი, კოტლიარი, კლემანი, კონელოვსკი, კაპიროვსკი, კრილიჩევსკი, კრასნიკი, კრემერი, კუკოლი, კარნოვსკი, კამენცერი, კლიგერი, კორშონი, კოსი, კოლოვოი, კონფინო, კესელმანი, კრეინინი, კაზინეც, კარლინსკი, კამენცერი, კურიელოვი, კალმანი, კაცენბოგენი, კინსასი.

• ლევინი, ლიბერმანი, ლიეშიცი, ლურიე, ლევინსონი, ლეიდისინი, ლიხტერმანი, ლენზაროვიჩი, ლიხტერი, ლეისინი, ლევინტოვი, ლიტოვსკი, ლევბერგი, ლიუბრანსკი, ლისი, ლანცბერგი, ლეპმანი, ლენსკი, ლევი.

• მაცი, მენიე, მენხინი, მონოზონსონი, მამელიაკი, მარმილოვი, მეშერსკი, მეტერსკი, მინკინი, მიზრახი, მარკუშევიჩი, მანუშევიჩი, მასკალიუკი, მიშკინი, მემონი, მენდელბლაუმი, მარტილოვი, მოსკოვიჩი, მედნიაკოვი, მიხაელოვი, მენშოვი, მეიროვიჩი, მენდელსონი, მიგდალი, მუროხი, მოგილევსკი, მორკოვი, მონდი.

• ნახანოვიჩი, ნედელი, ნორდშტეინი, ნუსელმანი, ნურიელოვი, ნიხიმა, ნუზი.

• ოსეტინსკი, ოსიატინსკი, ობერმპსტერი, ოსტროვსკი, ოდერი.

• პაპლოვიჩი, პასექი, პაშკევიჩი, პეიზელი, პინუსი, პოდოლსკი, პომერანცი, პოლიაკინი, პლიტნიკი, პასეცკი, პოზნიაკი, პესიკოვი, პალერი, პლუზნიკოვი, პლეენიკოვი, პინხოსი, პავლოვიჩი, პოგრედეცკი, პინსერი, პოგორელსკი, პოლონსკი, პრესმანი, პიასტრო, პლუჩნიკი, პურინი.

• ქივოვი.

---

[167] რუსი ებრაელების ისტორია იწყება XI საუკუნის დასასრულიდან, როდესაც პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა აიძულა ბევრი გერმანელი ებრაელი გადასულიყო მეზობელ პოლონეთში და სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში.

• რაბინოვიჩი, როზი, როზენბერგი, როზენბაუმი, რუბინშტეინი, როზენფელდი, როტელმანი, რუდოი, რუბინსკი, რევინსკი, რიალკო, როზინშტეინი, რასკინი, რიტმანი, რეველკო, რიკლის.

• სლაუცკი, სალმონოი, სიმხოვიჩი, სლადკევიჩი, სოლომონოვი, სორინი, სიმოინოვიჩი, სირმანი, სედლერი, სალმანი, სტახანოვიჩი.

• ტარჩანსკი, ტეიფი, ტრეგუბოვი, ტანდეიტი, ტარტაკოვსკი, ტოპოლინსკი, ტროიდი, ტოკარი, ტულჩინსკი, ტერკო ტაბანი, ტაბანოვი.

• ფარბერი, ფერდმანი, ფიშმანი, ფილიპოვი, ფუქსი, ფინკელი, ფლემი, ფიალკო, ფლემმე, ფრიდმანი, ფაიეროვიჩი, ფიტერმანი, ფრახტერმანი, ფალკნერი.

• ხანინი.

• შაცი, შეტმანი, შვარცი, შვარცმანი, შიპრინი, შიფრისი, შრეიდლერი, შისი, შონუსი, შტეინბერგი, შტრამალი, შუკისი, შური, შაუხოცი, შღიჩი, შენელევი, შიტნიცკი, შელოვიუკი, შულცი, შუსტერი, შამეენი, შლუგერი, შევცოვი, შირმანი, შური, შამესი, შიხმანი, შეგელი, შილანსკი, შმუშკოვიჩი, შაინშეირი, შკოლნიკი, შჩერბაკოვი, შაპირო, შალომი.

• ჩერნოვი, ჩერტკოვი, ჩეგატარი, ჩერნიხოვი, ჩოგლანსკი, ჩულოკი, ჩუბარი.

• ციბერმანი, ცუკერი, ციტრინი, ცეკომოვსკი, ცალკოვსკი, ციმბუროვი, ცაპი.

• ხაზანოვი, ხასიდოვი, ხულდოვსკი, ხალვინი, ხაზაილოვი, ხანანოვიჩი.

ქართველი ებრაელები

ქართველ ებრაელებში გვხვდება გვარები ოთხი ონომასტიკური დაბოლოებით:

1. „შვილი“. ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ასალციხეში დაფიქსირებულია XVIII – საუკუნის მეორე ნახევრიდან. მაგ.: ნანაკაშვილი, ჯანაშვილი.

2. „ძე“. გავრცელების არეალი ძირითადად დასავლეთ საქართველოა – ბერიძე, ფიჩხაძე.

3. მესამე დაბოლოება გვხვდება ინფექსის სახით „ელ.“ აღნიშნავს წარმომავლობას ან ამა თუ იმ ადგილისადმი მიკუთვნებას.

გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთ ქართლში გეოგრაფიული სახელების შესაბამისად – ცხინვალი, კრიხი, ხოტევი.... XVIII საუკუნის ბოლოდან დაფიქსირებულია გვარები: კრიხელი, ხოტოველი...

4. გვხვდება აგრეთვე რუსულის გაელენით მიღებული „ოვ" დაბოლოების გვარები. გავრცელებულია ზემო და ქვემო ქართლში: ცხინვალში, სურამში, გორში... მაგ.: მენაშეროვი, მიროლოვი, გაგულოვი, დანიელოვი, ათანელოვი, პაპისმედოვი, მამისთვალოვი, ზიზოვი[168].

• ათანელოვი, აჯიაშვილი, აბრამიშვილი, არონაშვილი, აჩკინაძე, ალალამვილი, ალიმაყამვილი.

• ბარდანაშვილი, ბენიამვილი, ბოთერამვილი, ბოჩაკამვილი, ბუხარამვილი, ბალუამვილი, ბაჩანამვილი, ბაბალიკაშვილი, ბებერამვილი, ბინიაურიშვილი, ბაჩიკამვილი, ბარამვილი, ბატამვილი, ბუზიამვილი.

• გაგოლამვილი, გაგულამვილი, გორელამვილი, გერემამვილი, გუნდიამვილი, გურიელამვილი.

• დავითამვილი, დაშამვილი, დიგვარელი, დავარამვილი, დუგირემვილი, დიგვირელიმვილი.

• ელიამვილი, ელუამვილი, ელიმაყამვილი, ელამვილი.

• ვოტკინიძე.

• თეთრუამვილი, თავდიშვილი, თარონიშვილი, თაულიამვილი, თეთრამვილი.

• იაკობამვილი, იაკობიშვილი, იუდამვილი, იზრაელიმვილი.

• კერკეზიშვილი, კაკოშვილი, კაკიაშვილი, კაკუამვილი, კარელამვილი, კრიხელი, კოჟიამვილი, კიკაჩეიმვილი, კიკოზამვილი.

---

[168] დაწერ.: იხ.: *შამელამვილი რ.* ებრაელთა ქართული გვარსახელები.- წიგნში „არ გავცელი სალსა კლდეებსა", თბილისი, 1982; *მისივე,* ებრაელი.- ქუთაისი, №202, 1989; *მამისთვალიმვილი ე.* ქართველ ებრაელთა ისტორია, 1995; *გაგულამვილი ი.* ებრაულ საკუთარ სახელთა მცირე ლექსიკონი, 1998; *მისივე,* ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი, 1998. *Исход Горских Евреев*: разрушение гармонии миров, Составитель С. Данилова, Нальчик, 2000.

• მიხელამეილი, მონამეროეი, მოსეშეილი, მომიაშეილი, მაცო-იაშეილი, მამისთეალოეი, მოძღერიშეილი, მამუჩამეილი, მარდახია-შეილი, მეგრელიშეილი.

• ნამთელაშვილი, ნეგედაშვილი, ნანიაშვილი, ნამთალამეილი, ნასხლეტამეილი, ნაგებამეილი, ნანიკამეილი.

• პაპიამეილი, პერაშეილი, პამაშეილი.

• რიეინამეილი, როკეტაშეილი.

• სეფიაშეილი, სარიაშეილი, სალხომეილი.

• ტურიაშეილი, ტალამეილი.

• ურიშეილი.

• ფიჩხაძე.

• ქოენიშეილი, ქამთალამეილი.

• მალუამეილი, მალოლამეილი, მალიკამეილი, მამუამეილი, მოთამეილი, მამუამეილი, მათარამეილი, შიმმილაშეილი.

• ჩაჩამეილი, ჩიკოკამეილი, ჩერემამეილი, ჩლაკიმეილი, ჩუ-ტეარამეილი, ჩიკეამეილი.

• ციციამეილი, ცხვირამეილი.

• წაგებამეილი.

• ხახანამეილი, ხუხამეილი, ხანიკამეილი, ხასიდამეილი, ხან-დიამეილი, ხანუკამეილი, ხელდიამეილი, ხოტოეელი.

• ჯანამეილი, ჯინჯიხამეილი.

ეს გვარები ისე ორგანულად არის შეზრდილი ქართულ, რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა სამყაროსთან, რომ მათი გამოცალკევება რაიმე ნიშნით ვერც კი ხერხდება, მათგან ზოგი საზიაროა, ზოგიც მარტო ებრაელთა წრეშია შექმნილი. მხოლოდ კონკრეტული კვლევა-ძიების შე-დეგად არის შესაძლებელი მსჯელობა და მათი წარმოშობის ახსნა[169].

---

[169] *ლორია მ.* ბათუმელ ებრაელთა გვარობრივი შემადგენლობა.- ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მრომები, I, ბათუმი, 1999, გვ. 122.

ს ი ნ ა გ ო გ ა. ყოველი მორწმუნე ებრაელისათვის — არ აქვს მნიშვნელობა სეფარდი იქნება თუ აშქენაზი — რელიგია ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს ებრაელთა თვითშეგნების საქმეში. სინაგოგა მორწმუნე ებრაელებისათვის წარმოადგენდა სოციალური და სულიერი ცხოვრების წესის დაცვის თავისებურ გარანტს[170]. ებრაელთა სამლოცველო სახლი იყო და ყოველთვის იქნება სინაგოგა[171]. ებრაელთა თორაში სწერია: „და ისინი ამიშენებენ მე სახლს სალოცავს, რომ მე შეეძლო ვიყო მათთან ერთად"[172]. მას სხვაგვარად შეკრების სახლს — „ბეით-ქნესეთს" ეძახიან. სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ სინაგოგის ფუნქცია უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ სალოცავი სახლისა. იგი აგრეთვე რელიგიური განათლების ცენტრს — „ბეით-მიდრაშს" წარმოადგენდა. სინაგოგა მოითხოვდა განსაზღვრული ქცევის ნორმების დაცვას, მაგალითად: სინაგოგაში ბავშვის წაყვანა, რომელმაც ლოცვა არ იცის, სავალდებულო არ იყო, სინაგოგაში მლოცველი ყოველთვის ერთ ადგილს იკავებდა, სინაგოგაში ორჯერ ლოცულობდნენ, დილით და საღამოს.

ებრაული კულტურის შემსწავლელი მეცნიერების — იუდაიკის მიხედვით, ებრაული სალოცავების გენეზისი ბაბილონელთა მიერ პირველი ტაძრის დანგრევას უკავშირდებოდა. პირველი ტაძარი ებრაელთა მეფეს სოლომონს აუშენებია სიონის მთაზე. ებრაელი ხალხის ცნობიერებაში სიონის მთა ღმერთის მთას განასახიერებს, ხოლო ტაძარი - ღმერთის სახლს. საქართველოში ებრაული სალოცავების ისტორია მიახლოებით პირველი სალოცავების თანადროულია და 26 საუკუნეს ითვლის. მორწმუნე ებრაელები სალოცავს ყოველთვის მთავარ სახლად თვლიდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა ებრაული სალოცავის სტატუსს ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში. სალოცავის საშუალებით ორგანიზაცია უკეთდებოდა სამადლო საქმეებსა და ქველმოქმედებას. ღარიბები და გა-

---

170 *Baazova L.* Georgian Jews in the Era of Perestroika.- Soviet Jewish Affairs, 1990. C. 45: Daragan N. დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

171 *გელოვანი ა.* რწმენა, ღმერთები, ადამიანები, რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 1990, გვ. 173

172 *Тора,* Иерусалим, 1992: шмот-25:8.

ჭირვებულნი ლოცვის დროს პირდაპირ მიმართავდნენ ჯამაათს, უმთავრესად შაბათს და სხვა დღესასწაულებში. ამ დროს მლოცველები აცხადებდნენ შეწირულ თანხას, რომელსაც სალოცავის გაბაი[173] დღესასწაულისა და შაბათის გასვლისას აგროვებდა. იყო შემთხვევები, როდესაც თორის კითხვას აყოვნებდნენ მანამ, სანამ ყველა მდიდარი არ გამოაცხადებდა თავის შენაწირს და ა.შ. საქართველოში არსებული სალოცავები პალესტინის და ასევე დიასპორის სალოცავთა უძველესი ტრადიციების გამგრძელებელია. სალოცავები ძირითადად შემოსასელელიდან „არონ-ჰაკოდეშის" მიმართულებით იერუშალიმისკენაა ორიენტირებული. სალოცავები ებრაელთა უბნის ცენტრში თავსდებოდა და თავისი სიდიდითა და ბრწყინვალებით გამოირჩეოდა. კომუნისტური იდეოლოგიის მეგავლენით საქართველოში თითქმის არ შემორჩა უძველესი სალოცავები. დღესდღეობით არსებული შენობების უმრავლესობა XIX საუკუნის დასაწყისში ან მოგვიანებითაა აშენებული. უძველესი სალოცავი, რომელიც დღეს ახალციხეში მოქმედებს, 1741 წლითაა დათარიღებული. XIX საუკუნეში, როგორც ჩანს, სალოცავების უმრავლესობა ხით ან მდინარის რიყის გაუთლელი ქვით იყო აშენებული. ებრაელების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთანავე კეთილმოწყობილი, აგურისა და ქვითკირის შენობები აიგო. ხშირ შემთხვევაში სალოცავი წარმოადგენდა ნაგებობათა კომპლექსს, შემდეგი შემადგენლობით: ერთი ან რამდენიმე სალოცავი დარბაზი, მაცის[174] საცხობი, ქათმის და პირუტყვის საკლავი, მიკვე, სამეურნეო სათავსები, დარაჯის ოთახი და ეზო[175]. უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში ფიქსირდება სამი ტიპის ებრაული სალოცავი: ოფიციალურად რეგისტრირებული სინაგოგა; არაოფიციალურად არსებული სალოცავი

---

173 ადმინისტრაციული დირექტორი, იგი აკონტროლებს სინაგოგის ფინანსურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას.

174 უმარილო სმიადი, რომელსაც ებრაელები რელიგიური ჩვეულების მიხედვით აცხობენ სააღდგომოდ — *ქართველ ებრაელთა სამშარეული*, მასალები შეკრიბა, დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ილია ეაგულამეილმა, თბილისი 1998, გვ. 85.

175 დაწერ. იხ.: *ბოსტანამეილი მ.* ებრაული სალოცავებისა და სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში.- სელოვნება, № 1-2, 1991.

სახლები, რომლებიც მოქმედებდა მანამ, სანამ ხელისუფლება არ დაიწყებდა ანტირელიგიურ კამპანიას. ეგრეთ წოდებული მინიამი (ქვორუმი), რომელიც კერძო სახლში ისსნებოდა. ჩვეულებრივ, მათი არსებობა ხელისუფლებამ იცოდა[176].

სამივე დასახელებული ტიპი დამახასიათებელი იყო აჭარაში დასახლებული აშქენაზი და ქართველი ებრაელებისათვის, რომელთაც სინაგოგები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ებრაელების მსგავსად, ცალკე ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე გაზეთ დროებაში წერდა: „ევროპის ურიების თორაში საქართველოს ურიები არ შევლენ და არც მათში ესენი, მთელი წელიწადი ულოცველადაც რომ დარჩნენ"[177]. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კავკასიის ებრაელები რელიგიური თვალსაზრისით და ტრადიციის მიხედვითაც უფრო მეტად ძველი წეს-ჩვეულებების ერთგულნი იყვნენ[178]. რუსეთიდან გამოსულ ებრაელებთან დაკავშირებით აქ მოვიშეელიებთ ი. დავითს: „საჯაროდ ისმის ხმები, რომლებიც იუწყებიან რუსეთში ებრაელთა ასიმილაციას[179].

საველე-ეთნოგრაფიული მონაცემებით, ევროპელმა ებრაელებმა ბათუმში დამკვიდრებისთანავე არალეგალურად დააარსეს სალოცავი სახლი. დაჟინებითი მოთხოვნა მათთვის სინაგოგის გახსნის თაობაზე 3-ჯერ გადაიდო მთავრობის მიერ. მათ სთავაზობდნენ, რომ დახმარებისათვის ქუთაისის რაბინისათვის მიემართათ. მამინ შეპალევის[180] ქუჩაზე, 10 წლის იჯარით აიღეს თურქი მოქალაქის ძველი, ერთსართულიანი ხის სახლი, რომელსაც დიდი ეზო ჰქონდა. ყველა მლოცველი ამ სახლში ვერ უტეოდა. არადა, მდიდარი ებრაელები მზად იყვნენ, აეშენებინათ დიდი სინაგოგა. ე. რიკლინის ცნობით, ბათუმელმა ებრაელებმა 1890 წელს მიმართეს კავკასიის მმართველს მერემეტევს, სინაგოგის ოფიციალურად გახსნის თაობაზე. თანხმობის

---

176 *Rothenberg J.* დასახ. ნაშრომი, გვ. 47-50; Altsbuler M. დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
177 *ჭიჭინაძე ზ.* ურიების თორა და მათი დღესასწაული.- დროება, № 103.
178 *იბერია*, № 143, 1902; ცნობის ფურცელი, № 1783, 1902.
179 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 486-572.
180 დღეს ვაჟა-ფშაველას ქუჩა.

ნაცვლად 1890 წელს ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით დაისურა არალეგალურად დაარსებული სალოცავი სახლი. სინაგოგის მოწყობილობები, თორის გრაგნილები, გადატანილი იქნა საცხოვრებელ სასლებში. ამასთან დაკავშირებით „Недельная хроника востока“ №33, 1890 წელს იტყობინებოდა, რომ ამაში ნაწილობრივ დამნაშავენი იყვნენ თვით ებრაელები, რომელთაც 13 წლის განმავლობაში ვერ შესძლეს ჩამოეყალიბებინათ ძლიერი სათვისტომო საქველმოქმედო ორგანიზაციები და სხვა. ყველა ცხოვრობდა თავისთვის. თუმცა სათქმელია ისიც, რომ „ქართველ ებრაელებს ჯაფითა და შრომით უწევდათ ლუკმა პურის მოძიება თავისთვის და თავისი ოჯახისათვის“. განათლებულმა აშქენაზმა ებრაელებმა სინაგოგის გახსნის თაობაზე კვლავ მიმართეს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორს, რომელიც, თავის მხრივ, 1895 წლის 21 ივლისს აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებ, რომ ბათუმში დიდი რაოდენობით ცხოვრობს ებრაელები... ებრაელების დიდი სურვილია, რომ ქალაქში ჰქონდეთ მათ სალოცავი სახლი, აქეთკენ არის მიმართული მათი საქმიანობა. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემთან იმყოფებოდნენ 10 ებრაელი ბათუმიდან და მათ მომიტანეს სინაგოგის პროექტი. ისინი მზად არიან დიდძალი თანხა გადაიხადონ, ოღონდაც ეს საქმე ბოლომდე მიიყვანონ“[181]. შემდგომ, როგორც ებრაულ მოსახლეობაში გადმოცემითაა დაცული, აღნიშნულის თაობაზე მიმართეს უშუალოდ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. თხოვნას ხელს აწერდნენ: უმაღლესი გილდიის ვაჭარი ისაია დავითის ძე კალაჩევსკი, იოსებ პეიზელი-ებრაელთა სათვისტომოს თავმჯდომარე, მაისეი პოპლოვიჩი, იზრაილ რაბინოვიჩი, ალექსანდრე გოროდეცკი. „თქვენო აღმატებულებავ, ნათქვამია მიმართვაში,— ჩვენ, ბათუმელი ებრაელები გთხოვთ ნება დაგვრთოთ სინაგოგის ასაშენებლად. ეს საჭიროა ერთი ღმერთისათვის სალოცავად, რათა მან მოგცეთ შთამომავალი-ძე, რამეთუ თქვენ ქალიშვილები გყავთ“. დოკუმენტი გაფორმებული იყო ყველა საჭირო

---

[181] *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფ. 64, აღწ.1, საქმე № 101, გვ.18.

წესის დაცვით. მთხრობელთა გადმოცემით, მეფე ნიკოლოზი დათანხმებულა და მხოლოდ ამის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრს დაუწერია ოფიციალური ბრძანება 1899 წელს სინაგოგის გახსნის ნებართვის შესახებ[182]. ბათუმის ევროპელმა ებრაელობამ თურქი მოქალაქისაგან 2000 მანეთად შეისყიდა მანამდე ნაქირავები შენობა. დაუმთავრებელ სინაგოგაში პირველი ლოცვა 1904 წელს აღეელინა, იმპერატორის მემკვიდრის დაბადებასთან დაკავშირებით. სინაგოგა საარქივო მასალების მიხედვით 1912 წლისთვისაც კი არ იყო დამთავრებული[183]. სინაგოგის არქიტექტორი გახლდათ ლევ სიმონის ძე ვოლკოვიჩი.[184]

სინაგოგაში მსახურობდნენ რაბინები: დიმიტრი კუშიატინი, 1900-1903 წლებში; დიმიტრი გიიდბურგი, 1903-1905 წლებში; მაისეი ტოკარი, 1906-1910 წლებში; მიხეილ ფუქსი, 1910-1921 წლებში;[185] მისეილ ჰეიფიცი, ბენსიონ ლევინი, იაკობ კურცევი.

აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 28 მარტის სხდომის №42 ოქმში ნათქვამია: „ებრაელთა სინაგოგა (იგულისხმება აშქენაზური სინაგოგა), მდებარე შეპალევის ქუჩაზე, ჩამორთმეულ იქნას, წინადადება მიეცეს შინაგან საქსახკომს, მიიღოს შესაფერი ზომები. აღნიშნული შენობა ჩარიცხულ იქნას კომინალურ სასლთა რიცხვში და გადაცემულ იქნას აჭარისტანის ახალგაზრდა კომკავშირის განკარგულებაში“[186]. სინაგოგის დახურვისას სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად დაიკარგა ვერცხლის თასი.[187] წლების მანძილზე ამ შენობაში არსებობდა სპორტული ორგანიზაციები „შევარდენი“ და „სპარტაკი“[188], ხოლო 1998 წლამდე ფუნქციონირებდა კულტუ-

---

182 *Еврейская энциклопедия*, III, Санкт-Петербург, გვ. 931.

183 *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფ. 13, აღწერა 11, საქმე №76, გვ. 9.

184 1937 წელს ის რეპრესირებული იქნა.

185 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი*, ფონდი И-4, აღწერა №1, საქმე №132, გვ. 1-2.

186 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი*, ფონდი №Р-4, აღწერა №1, საქმე №35, გვ. 324-325.

187 თასზე ამოტვიფრული ყოფილა იმ ებრაელთა ინიციალები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სინაგოგის მშენებლობის დაფინანსებაში.

188 *ლორია მ., ტეიფი ო.* აშქენაზური სინაგოგა ბათუმში, გვ. 52.

რული ცენტრი „ქართველთა და ებრაელთა ურთიერთკავშირი.“ 1998 წლის ნოემბრიდან შენობამ კელავ დაიბრუნა რელიგიური სტატუსი[189].

1908 წლის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემით ქალაქ ბათუმში იყო ორი სინაგოგა: 1. რუსებისათვის 2. კავკასიელებისათვის[190]. კავკასიელ ებრაელთა ეს სინაგოგა ჩვენამდე მოღწეული არაა.

მაშიას ჯანაშვილმა, აბრამ ხუხაშვილმა, არონ აშურმა მოქალაქე სიმონ ენუქიძისაგან 1920 წელს შეისყიდეს კერძო სახლი, რომელიც საჩუქრად გადასცეს ქართველ ებრაელთა თემს, რათა ამ სახლში ქართველ ებრაელთა სინაგოგა გახსნილიყო. აღნიშნული პერიოდიდან ეს სახლი სინაგოგის მოვალეობას 9 მარტის ქუჩაზე ასრულებდა 2000 წლამდე[191]. ებრაული თემის წევრების თქმით, აქ მოღვაწეობდნენ რაბინები — იაკობ ბაბალიკაშვილი და შალომ ელიგულაშვილი[192].

აშქენაზურ და ქართველ ებრაელთა სინაგოგებში სკამები დალაგებლია გრძივი კედლების გასწვრივ და შუაში. იერუსალიმისკენაა ორიენტირებული არონ ჰაკოდეში - წმინდა კიდობანი. რომელიც ყველა სინაგოგაში ან სამლოცველო სახლში თორის შესანახი ადგილია. არონ ჰაკოდეში ფარდით არის დაფარული — პარახეტ. მასზე ამოქარგულია „დავითის ფარი“. სალოცავის შუაგულში დგას თება, საჯამაათო მლოცველთათვის განკუთვნილი. წმინდა კიდობანის წინ აგრეთვე დგას ნერ-ტამუდი ანუ მარადიული ცეცხლი, ლამპა, რომელიც უნდა იყოს მარად ანთებული. ორივე სინაგოგაში გეხვდება ქალთა გალერეა — აგარა. ქართველ ებრაელთა სინაგოგასთან არის ნაგებობათა კომპლექსი შემდეგი შემადგენლობით: ქათმის და პი-

---

189 *ლორია მ.* ებრაული სინაგოგა ბათუმში.- ჭოროხი, II, ბათუმი, 1998 გვ. 140.

190 *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი,* ფ. 13, აღწ.3, საქმე № 1423 გვ. 3.

191 2000 წელს ხანძრის გამო შენობა დაზიანდა.

192 *ლორია მ.* ებრაული სინაგოგა ბათუმში, გვ. 140.

რუტყვის საკლავი, მიკვე, სამეურნეო სათავსოები, დარაჯის ოთახი.

ამდენად, აჭარაში გვხდება ორი – ქართველი და აშქენაზი ებრაელების სინაგოგა. ეს ებრაელები სალოცავად ცალ-ცალკე, თავიანთ სინაგოგებში დადიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იუდაიზმი ორივესათვის საერთო იყო. ამგვარი განცალკევება მათ შორის არსებული ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სხვაობით უნდა აიხსნას. ქართველი ებრაელობა საკუთრივ ქართველებთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენდა, ვიდრე მის თანატომელ აშქენაზ ებრაელებთან.



ბათუმის აშქენაზური
სინაგოგა

ბათუმის აშქენაზური სინაგოგა რეკონსტრუქციამდე

ქართველ ებრაელთა სინაგოგა ბათუმში



თეგა ქართველ ებრაელთა სინაგოგაში



აშქენაზურ სინაგოგაში ქალთა გალერეა - აზარა

ქართველ ებრაელთა სინაგოგაში ქალთა გალერეა - აზარა



თორა



არონ ჰაკოდეში

საქმიანობის ისტორიიდან. ზ. ჭიჭინაძე 1904 წელს ასე ახასიათებდა ქართველ და ევროპელ ებრაელებს: „ურიანი არიან კაცნი გულწრფელნი, კეთილის გულის, შრომის მოყვარენი, კაცნი მოდრეკილნი სარწმუნოებაზედ, საკუთარი საქმე კაცებისა არის ვაჭრობა, ზოგიერთი იმათგანი კიდეც დადიან საზღვარს გარეთ საქონლის მოსატანად... ევროპის ებრაელნი უმეტესად გერმანული კილო-კაეის ენით ლაპარაკობენ... იგინი მიზდევენ უმეტეს მესაათეობას, ოქრომჭედლობას და ვაჭრობას... მათში განათლებულთ რიცხვი დიდია... თფილისში მათ აქეთ თითქმის ყველა დარგის ქარხნები და სავაჭრო მაღაზიები, მოქალაქე ებრაელთა გარდა არიან ჯარისკაცნი... უმეტეს იგინი მუსიკას მიზდევენ"[193]. ზ. ჭიჭინაძის ეს დახასიათება გამოდგება აჭარაში მცხოვრებ ებრაელთა საქმიანობის განსასაზღვრადაც.

ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებ, რომ ბათუმში დიდი რაოდენობით ცხოვრობს ებრაელები. ისინი დასახლებულნი არიან ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. მათი უმრავლესობა ეწევა კომერციულ საქმიანობას. უნდა მოვახსენოთ ისიც, რომ ბათუმში არსებულ ფაბრიკა-ქარხნების აღმინისტრაციის ძირითად ნაწილს სწორედ ისინი შეადგენენ. მათ ეკუთვნით მაღაზიების უმრავლესობა და ფლობენ დიდ აქციებს ბათუმის ბანკებში. ამ რამდენიმე ხნის წინ ბათუმში ჩამოეიდოდნენ ებრაელნი ცენტრალური რუსეთის გუბერნიებიდან. ნაწილი ჩამოსულთაგან დასახლდა ზღვის სანაპიროსთან. მათ დახმარებას უწევენ ბათუმელი ებრაელები. ბათუმში აგრეთვე არსებობს ებრაელთა კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და შემოსული თანხით ეხმარებიან ხელმოკლე ებრაელებს, თანხებს აბანდებდნენ სხვადასხვა საქმეებში". აგრეთვე საარქივო დოკუმენტს თან ახლავს საქველმოქმედო ორგანიზაციის წესდება და დამფუძნებელთა სია:

- საქველმოქმედო ორგანიზაციის მოღვაწეობის არეალი არის ქალაქი ბათუმი.
- ორგანიზაციის მიზანია, ბათუმში მცხოვრებ გაჭირვებულ ებრაელებზე ფულადი დახმარება.

---

193 *ჭიჭინაძე ზ.* ქართველი ებრაელები საქართველოში, გვ. 69.

• ავამდყოფ ებრაელებზე მედიკამენტებით დახმარება და მათი საავამდყოფოში დაწვენა საზოგადოების ხარჯზე. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ იყო, რამეთუ ბათუმი იყო მალარიის ბუდე.

• მათ შემოსავალს წარმოადგენდა საწევრო შესატანი და დამფუძნებელთა შემოწირულობანი.

დამფუძნებელნი:

• იურისტი მიხეილ არონისძე ფუქსი.

• ექიმი დავით მიხეილისძე კუზიატინი.

• პოლიგრაფსერვისის მფლობელი ხაიმ მოსეს ძე შმაევსკი.

• ბათუმელი ვაჭარი იუდა მოსკოვის ძე ჩერტკოვი.

• ბუღალტერი მოსე ისაკის ძე შელოვიცკი.

• საღებავის ქარხნის მფლობელი აბრამ საულის ძე ბერტმანი[194].

ბათუმში დასახლებულ ებრაელებს, ვაჭრობის ნებართვის ასაღებად, როგორც ჩანს, პოლიციის დეპარტამენში თხოვდნენ ხელწერილს იმის შესახებ, რომ ისინი არ გაასაჩივრებდნენ და პრეტენზიას არ გამოთქვამდნენ იმ შემთხვევაში, თუ მხარის ხელისუფლების მიერ მიღებული იქნებოდა დადგენილება ებრაელთა ვაჭრობის აკრძალვის თაობაზე[195]. ასეთი დადგენილება არაერთხელ იქნა მიღებული, რასაც შედეგად ებრაელთა კავკასიიდან გაძევება მოყვა[196].

ივ. მესხი 1925 წელს წერდა: „ერთი სიტყვით ბათუმი შემოერთების შემდეგ, რომელიც უწინ მეთევზეთა დიდ სოფელს წარმოადგენდა... გაიზარდა, სავაჭრო, სამრეწველო ქალაქად იქცა“[197]. ამ პროცესში დიდია ებრაელთა წვლილი. ებრაელები საქალაქო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში იყვნენ ჩაბ-

---

194 *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფ.13, აღწ. 3, საქმე №198; აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, საქმე №278, №1805.

195 *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფ. 4, აღწ. 2, საქმე №2495, გვ. 141; ფ. 254, აღწ. 3, საქმე № 648, გვ. 19.

196 *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი*, ფ. 7, აღწ. 1, საქმე № 2518, გვ. 1-21; ფ. 17, აღწ. 1, საქმე № 9139, გვ.1-2.

197 *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი*, საქმე №447, გვ. 5.

მულნი. ებრაელთა ენციკლოპედიის მიხედვით, XIX ს-ის ბოლოსათვის ბათუმში ოფიციალური მონაცემების მიხედვით ცხოვრობდა 31 ებრაული ოჯახი. ისინი ვაჭრობდნენ და საქმიანობდნენ სხვადასხვა პროფესიის მიხედვით[198].

დ. კლდიაშვილის თქმით, „ყველაზე მეტი შემოსევა განიცადა ბათუმმა, რადგან არსად არ ჰქონდა გასავალი მუშა-ხელს, როგორც აქაურ ქარხნებში; ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა"[199]. 1883 წელს ამასთან დაკავშირებით ინგლისელი მოგზაური ჩარლზ მერვინი აღნიშნავდა: „ბათუმში პოლიცია და ქალაქის მმართველობა აძალებდნენ ებრაელებს დაეტოვებინათ ქალაქი ორი კვირის განმავლობაში... აგრეთვე ამატებს, 80-იან წლებში ბათუმმა სწრაფი ტემპებით დაიწყო განვითარება. ქალაქში შემოდიოდა საზღვარგარეთის და რუსეთის კაპიტალი, რის გამოც რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან თავი მოიყარა ბევრმა ებრაელმა:ოდესიდან, ნიკოლაევიდან, კრემენჩუგიდან, ისინი წარმოადგენდნენ მსხვილ საწარმოო და მანუფაქტურულ ფირმებს და კანტორებს, განსაკუთრებით სანავთობო დარგში "[200].

1856 წელს ბათუმში გაიხსნა რუსეთის საკონსულო. ვიცეკონსულად დაინიშნა ებრაელი პეტრე ნიკოლოზის-ძე ჯუდიჩი. მას ბათუმში გაუშენებია კერძო პარკის ტიპის ბაღი. ჯუდიჩი ყოფილა მცენარეების დიდი მოყვარული. თავისი ბაღისათვის საზღვარგარეთიდან და სხვა ადგილებიდან გამოუწერია იშვიათი ჯიშების ეგზოტიკური და დეკორაციული მცენარეები. შემდეგ ამ ბაღიდან ბევრი იშვიათი მცენარე გადაურგავთ ქალაქის პარკში[201].

1885 წელს პორტო-ფრანკო გაუქმდა. რკინიგზის ნაპირებზე, ქალაქის მახლობლად, იწყება ავარაკების შენება, რათა დიდი ფული შეეძინათ. აუარებელ ფულს ყრიდნენ ამ ადგილებში. მუჰაჯირებისაგან შეისყიდეს დიდძალი ადგილები. მათ შორის იყო ბათუმის ნოტარიუსი, ებრაელი გერენშტეინი. ბათუმის შემოერთების შემდეგ ნაესადგურის უფროსად დაინიშნა კონტრ-ადმი-

---

198 *Еврейская енциклопедия*, III, დასახ. ნაშრომი, გვ. 831.

199 *კლდიაშვილი* დ. ჩემი ცხოვრების გზაზე, ქართული პროზა, XVI, თბილისი, 1988, გვ. 429.

200 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 429.

201 *Батуми и его окрестности*, 1906, С. 637.

რალი გრეეე, რომელიც ოკრუგის შტაბის უფროსთან ერთად აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო საზღვაო ბაზად და ნავსადგურად გადაქცევისათვის.[202]

ქუთაისის გუბერნატორის – გენერალ გერშელმანის წარდგინებით 1888 წელს ბათუმში პოლიციის მმართველობა გაუქმებულ იქნა, და მართვა ქალაქის თვითმმართველობას გადაეცა.[203] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო თვითმმართველობები ქალაქების მიხედვით საქართველოში შემოღებული იქნა: 1874 წელს - თბილისში, 1875 წელს -ქუთაისში, 1876 წელს - ახალციხესა და გორში, 1882 წელს - ფოთში. ებრაელთა მონაწილეობა საქალაქო თვითმმართველობაში 1870 წლის 15 ივნისიდან განისაზღვრებოდა შემდეგნაირად:

Ст. 35. «В гласные городской думы может быть избираем каждый, имеющий право голоса на выборах, считая в том числе и лиц, которые получили право по доверности. Число гласных из нехристиан не должно превыщат одной трети общего числа гласных».

Ст. 88. «Евреи не могут быть избраны в городские головы, ни исправлять их должность »[204].

ბათუმის პირველი არჩევნების საბჭოს სათათბიროში შევიდნენ ეროვნების მიხედვით: რუსი-8, ქართველი-11, სომეხი-10, ბერძენი-2, ებრაელი-4[205], (პასეკი ნ.ბ., ციბერმანი ა.ფ., ვარშავსკი ი.მ., ვანშეიდტი ა.ბ.), პოლონელი-2, გერმანელი-1[206]. 1906 წელს – ფეოდორ ბარახოვსკი [207], 1918 წელს – კრასევიჩი ი.ტ., კუზიატინი ვ.დ., კუზიატინი ვ.ე., ლევინი ა.კ., მატიევიჩი ე.ა., ფონშტეინი ი.ვ., ფონშტეინი პ.ა., ფუქსი მ.ა.[208], 1919 წელს – პა-

---

202 *სიჭინავა ვ.* ბათუმის ისტორიიდან, 1958, გვ. 78.

203 *ელდიამეილი დ.* დასახ. ნაშრომიბ გვ, 426.

204 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, გვ. I, 451.

205 ხ. ახელედიანი მიუთითებს ორ ებრაელს - *ახელედიანი ხ.* ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978, გვ. 207.

206 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-6, აღწ. 1, საქმე № 10, ფურც. 3; И-7, აღწ. 1, საქმე № 26, გვ. 3-4.

207 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-7, აღწ. 1, საქმე № 413, გვ. 2.

208 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-7, აღწ. 1, საქმე №687, გვ. 2-3.

სეკი ნ.ბ., რადზიშევსკი ი., ეოლფენზონი მ., პანასეეიჩი ი.ვ.[209], 1920 წლის მუნიციპალიტეტში შეეიდნენ 36 ხმოსანიდან: ქართველი-20, რუსი-2, სომეხი-4, ებრაელი-2, ბერძენი-8[210].

ბათუმში მომრავლდნენ სხვადასხვა გილდიის ვაჭრენი: პირველი გილდიის 15 კაციდან 5 ებრაელი იყო, მეორე გილდიაში – 180-დან 22 ებრაელი, მესამეში – 540-დან 51 ებრაელი. ბათუმში დასახლებული ებრაელები მუშაობდნენ როტშილდისა და მანთაშევის ქარხნებში[211].

კვერცხის ექსპორტზე ბათუმიდან საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნ. წერეთელი. მისი თქმით, „ეს ექსპორტი ძირითადად დაიწყო 1897 წლიდან, და პირველი, ვინც ამ საქმეს ხელი მოკიდა, ეასილ გილეოკი იყო. ბათუმის პორტით ეს საქონელი იგზავნება ოდესაში, ქერჩში, სევასტოპოლში, იალტაში, პეტერბურგში. საზღვარგარეთ კი – ჰამბურგში, ნაკლებად – მარსელსა და ლონდონში. ეაჭარი ებრაელები, ქართველები, სომხები ყიდულობენ კვერცხებს გლეხებისაგან და რკინიგზის მეშვეობით შემოჰქონდათ ბათუმში. ებრაელები, საქონელს იძენდნენ და ძირითადად შემოჰქონდათ ქუთაისის ოლქის სოფლებიდან[212].

ნ. ელიამვილის თქმით, პირველი მსოფლიო ომის დროს ებრაელი ვაჭრები გამოცოცხლდნენ, მოძლიერდნენ. ქუთაისში, თბილისსა და ბათუმში ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი მდიდრები – «герои одной ночи», «богачи войны». მათ შეიძინეს სახლები და ავარაკები [213].

თუნუქის ქარხნის დამაარსებელი იყო „სააქციო საზოგადოება შილინგოვსკი და კომპანია“, რომელიც დაარსდა 1910 წელს. ამ საწარმომ 1918 წელს შეიცვალა სახელი და იწოდე-

---

209 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-7, აღწ. 1, საქმე №728, საქმე-732, გვ. 3-4-5.

210 *სურგულაძე ა. სიორიძე მ.* პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996, გვ. 74.

211 *აჭარის სახელმწიფო მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდი,* საქმე №16, №227, №233.

212 *Церетели А.* დასახ. ნაშრომი, გვ. 405-406.

213 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, II, გვ. 537.

ბოდა „პლასტინად“. მისი დირექტორი იყო შილინგოვსკი იგნატი იოსების ძე[214].

სააქციო საზოგადოება „შილინგოვსკი და კომპანიას“ ჰყავდა 25 აქციონერი: ი. შილინგოვსკი, იერუსალიმსკი, ნ. გლუდეშენკო, ე. იაროცკი, პ. შუტცი, ვ. კაპლანი, ს. დუნინი, ს. ლეიბმანი, ე. არვინატიდი, კ. რეკე, მ. ლებედევი, პ. ხადკაპულო, კ. კაპიტანიდი, დ. მარგატილისი, მ. პორეშანცი, კ. კოსტანკი, ა ბასენკი, ფ. გერასიმოვი, ა. გოლოხოვსკი, გ. ბუჩუკური, ვ. სემიონიდი, პ. ტელეგინი, ს. საგიდი, ა. დრაგულასი, ი. მაჩაიძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, 1921 წლის აპრილში გაუქმდა ზემოთ დასახელებული სააქციო საზოგადოება[215].

რეგიონში მოღვაწე ებრაელთაგან აღსანიშნავია აგრეთვე: კაპლანი გოლფი გერშოვიჩი — მექანიკური თუჯჩამოსასხმელი და საქვაბე ქარხნის მფლობელი. უშვებდნენ თუჯისა და სპილენძის ფილებს, მექანიკურ და საქვაბე მოწყობილობებს, ასევე აწარმოებდნენ ორთქლის მანქანებისა და ძრავების რემონტს. კომპანია „ბერგმანი და კარპოვსკი“ საღებავების ქარხანა, მდებარეობდა პუშკინის პროსპექტზე №6. უშვებდნენ — ბარიტს, ოხრას და ზეთის საღებავებს. ხ.მ. შმაევსკი — პოლიგრაფსერვისის მფლობელი, მიხაილოვსკის №6. ა. ჩერტკოვი — სათამაშოების მაღაზიის მფლობელი. ჩერტკოვი — საკანცელარიო ნივთების მაღაზიის მფლობელი[216]. კასრის დამამზადებელი საამქრო ჰქონდა ნავთის ტარის მსხვილ მეწარმეს რ. შუტცს[217]. ი. იაკობსონს ჰბონდა ორი კინოთეატრი „პალასი“. კინო-სეანსების დაწყებამდე აქ გამოდიოდნენ სამღერად კრასენბაუმების ოჯახი. მარინეს ქუჩაზე,[218] №3-ში განლაგებული იყო დ. კაპელის

---

214 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი*, ფონდი И-21, საქმე № 19, გვ.1; ფონდი И -21, საქმე № 17, გვ. 3.

215 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი*, ფონდი И-21, საქმე № 5, გვ. 3; აჭარის სახელმწიფო მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდი, საქმე №218.

216 *Шапсович И.* დასახ. ნაშრომი, გვ. 271-278.

217 *სიორიძე მ.* ბათუმის როლი მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1916 წწ.).- ბათუმის უნივერსიტეტის შრომები, პუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, I, ბათუმი, 1995, გვ. 81.

218 მემედ აბაშიძის ბამზირი.

სგამბა. აქვე მდებარეობდა მ. ბორმანის ორი მუსიკალური მაღაზია[219]. ასევე, აქვე იყო საათის შემკეთებელი საამქროები: დ. ეოლხოვის, ჯ. სიმხოვიჩის, ე. ენკილევიჩის.

ბათუმელი ებრაელების ნაწილი კუსტარულ საქმიანობას მისდევდა, სახელოსნოებს ხსნიდა და თაობიდან თაობას გადასცემდა მემკვიდრეულ საიდუმლოებას. ასე იხსნებოდა ქუდების, საათის შემკეთებელი სახელოსნოები, სამკერვალოები, მრაველდებოდა სავაჭრო ჯიხურები. ძველ ბათუმელებს ახსოვთ მკერავები: ა. კლეიმინოვი, ჯ. ლევინგოვი, რ. ვაგანსკი, დ. ბერშათსკი, მ. გაბაი. მექუდეები — ბენო და აბრამ ბარდანაშვილები (მამა-შვილი), დავით იაკობაშვილი. გაზიანი წყლებით მოვაჭრენი — ძმები კრუპნიკები[220].

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ებრაელები თანასწორუფლებიან მოქალაქეებად გამოცხადდნენ, ხოლო ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსელის შემდეგ რკპ (ბ)-ში გაჩნდნენ ებრაული კომუნისტური სექციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ებრაულთა მოზიდვას. ამ პროცესების პარალელურად გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელების ასიმილაცია აღგილობრივ მოსახლეობასთან, ებრაული კულტურიდან სხვადასხვა ნაციონალურ კულტურაზე გადახრა. ებრაული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოფილი მეწარმეები, წერილი ვაჭრები, კულტმსახურნი და სხვანი გამოცხადნენ „არაშრომით ელემენტებად", მათ ჩამოერთვათ ხმის უფლება, ნაციონალიზმის გამო შეზღუდეს მათი სამსახურში და საშუალო პროფესიულ სასწავლებელში მიღება. ამ შეზღუდვებმა იმდენად შეამცირა ებრაული მოსახლეობის რიცხვი, რომ საბჭოთა წყობილება იძულებული გახდა თავიდან განეხილა ეს საკითხი. ერთადერთი გამოსავალი მათი სოფლის მეურნეობაზე ორინტაცია იყო. 1924 წლის 29 აგვისტოს სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საგანგებო კომიტეტის დაარსების შესახებ[221].

---

219 *Шапсович' И.* დასახ. ნაშრომი, გვ. 283.
220 *ბარდანაშვილი ს.* ბათუმელი ებრაელები, ავტორის პირადი არქივი.
221 *აჭარა*, № 182, 1998.

1927 წლის 5 მარტს თბილისში იქმნება მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება — მემსი, რომელსაც უნდა უზრუნველყო ებრაელების სოფლის მეურნეობაში ჩაბმა[222].

საქართველოს ხელისუფლება უმიწო გლეხებს აკმაყოფილებდა აღგილობრივი ან რესპუბლიკის გარეთ არსებული მიწის ფონდებით. ქართველი ებრაელები თავს იკავებდნენ საქართველოს გარეთ გადასახლებაზე. მაგალითად, ებრაელებით კომპაქტურად დასახლებული 9 მაზრის (გორი, ახალციხე, სიღნაღი, რაჭა-ლეჩხუმი, შორაპანი, ფოთი, ბორჩალო, თბილისი) სოფლის მეურნეობაზე გადასვლის 288 მსურველი კომლიდან, მხოლოდ 21-მა ითხოვა ყირიმსა და სოჭში გადასახლება. კოლმეურნეობების შექმნის დროს ირღვეოდა ნებაყოფლობითი პრინციპი, მოსახლეობას აშინებდნენ კულაკებად გამოცხადებით და სოციალურ-ეკონომიკური ზეწოლის პირობებში ებრაელობაც თანდათან ებმებოდა კოლექტიურ ცხოვრებაში.

1928 წელს შეიქმნა ქართველ ებრაელთა ორი კოლმეურნეობა — „პირველი დასაწყისი", და „წითელი გორა", რომელშიც გაერთიანებული იყო 392 სული. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმ პერიოდში საქართველოში ცხოვრობდა 20600 ქართველი ებრაელი და მემს-ში გაერთიანებულნი იყვნენ აგრეთვე, სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, მაშინ 392 ძალზედ მცირე ციფრია. 1928-1937 წლებში შეიქმნა 15-მდე ებრაელთა კოლმეურნეობა: სურამის, ქარელის, ვანის „პირველი ნაბიჯი", კულაშის „ვ. სტურუას", საჩხერის „მშრომელი ებრაელი", ონის, ტირიფონის, ახალციხის „მეგობრობა", მუხრანის „ მე-3 ინტერნაციონალი", სუჯუნას „ვ. კახიანის", ქობულეთის „აჭარობეტი", საგარეჯოს „ახალი ცხოვრება", ბანძის, ხობის „კოლხეთი", წითელი გორა (სიღნაღთან), რომელშიც გაერთიანებული იყო მხოლოდ 574 კომლი ებრაელი. კოლმეურნე გლეხობის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა კოლმეურნეობის წევრთა საარსებო მინიმუმს, განსაკუთრებით პირველ წლებში. გამოუცდელი და აუთვისებელ მიწაზე გადასახლებულნი ებრაელები განიცდიდნენ შრომის იარაღების, საცხოვრებელი სახლების, სასმელი წყლის უქონლობას, ხშირად

---

222 *კალინინი მ.* მიწის მუშა-ებრაელები სსრ ერთა კავშირში, ტფილისი, 1928, გვ. 7-8.

შიმშილობდნენ, აძლევდნენ მათ უვარგისს მიწებს (გაუვალი ტყე და ჭაობი ტირიფონში, „კოლსეთსა“ და „წითელ გორაში“). მოსახლეობას აქ აკავებდა ხელისუფლების იძულება და არა მიწის სიყვარული და ენთუზიაზმი[223].

საქართველოს მემსის თავმჯდომარე იყო შ. ელიგულა-შვილი, ხოლო აჭარის — მ. შანგაიგი (1932-1933 წლები). 1934 წელს ა. ლორთქიფანიძე, 1934 წლის 22 ნოემბრიდან მ. დიკერ-მანი[224]. მემსი მდებარეობდა ქ. ბათუმში ორჯონიკიძის ქ. № 23. იგი ხელმძღვანელობას უწევდა ქობულეთის „აჭაროზეტის“ სა-ხელობის კოლმეურნეობას: კოლმეურნეობაში ებრაელთა მიზი-დვას, მათ დასაქმებას როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე სხვა სფეროებში.

მემსის წევრობის მსურველები ავსებდნენ ანკეტას: ოჯახის წევრების რაოდენობის, ქონების აღწერის, საქონლის სულა-დობის სრული ჩამოთვლით. მათ ეძლეოდათ საწევრო ბილეთი, რომელიც შევსებული იყო ქართულ, რუსულ, ებრაულ (იდიში) ენებზე.

მემსის წევრობის უფლება ჰქონდა ყველა ეროვნების წარ-მომადგენელს, რომელსაც გააჩნდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება[225]. უნდა შექმნილიყო მემსის უჯრედები რომლის მეშ-ვეობითაც ხდებოდა შემსვლელთა მიღება. შესაგანი არ უნდა ყოფილიყო 10 კაპიკზე ნაკლები, ხოლო შესელის დროს 25 კა-პიკზე ნაკლები. თუმცა შეიძლებოდა თანსა შემცირებულიყო მხოლოდ მასზე, ვინც სწავლობდა. შესაგანი თანხები აკრებილი უნდა ყოფილიყო დელეგატების ან მემსის უჯრედის წევრების მიერ [226].

---

223 *ნომაძე შ.* ეროვნული უმცირესობანი საქართველოში და ღონისძიებები მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის (1921-1937).- საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქ.ეოლოგიის, ეთნოგრა-ფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, 1982, გვ. 78-79.

224 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფონდი P-117, საქმე № 7, № 46, გვ. 10-11.

225 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფონდი P-117, საქმე №7, გვ. 2,6; საქმე №2, გვ. 2,7.

226 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფონდი P-117, საქმე №7, გვ. 21.

პროპაგანდისათვის გამოწერილი და გაყიდული უნდა ყოფილიყო ჟურნალი: „Трибуна Еврейской Советской общественности". ჟურნალისათვის სტატიები მოწმდებოდა მემსის უჯრედის ბიუროს მიერ.

1933 წლის აღრიცხვის მიხედვით, რომელიც ჩატარდა მემსის მე-4 კონფერენციისათვის, ჩანს: სულ მემსში გაერთიანებული იყო 2600 კაცი, მუშათა რაოდენობა შეადგენდა 942-ს, მოსამსახურეთა-175-ს, მეწერილმანენი-30-ს, მოსწავლეები 846-ს, ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი ებრაელი-33 კაცი, რუსი ებრაელი-139, ქართველი-850, სომეხი-747, დანარჩენები-ბერძნები, თურქები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. 1936 წლის მონაცემებით კი მემს-ში გაერთიანებული იყო 6000 კაცი. მუშა 3199, მოსამსახურე 1722, კოლმეურნე 32, სამხედრო 68. ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი ებრაელი-188, რუსი ებრაელი-417, ქართველი-1951, რუსი 1412, სომეხი-701...

აჭარის მემსის ორგანიზაცია თავის წევრებს ეხმარებოდა არა მარტო შრომით დასაქმებაში, არამედ სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრაშიც, რამაც გამოიწვია შემდგომ პერიოდში ებრაელთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდა.

მემსის ქონებას და ფინანსებს შეადგენდა: შესასელელი და ყოველთვიური გადასახადი, შემოწირულობა თითოეული მოქალაქისა, დაწესებულებისა, თამაშდებოდა ლატარეა, რომლითაც ეხმარებოდნენ ხელმოკლე ებრაელებს.

აჭარმემსში დაფიქსირებულია ებრაელთა სპეციალური ანკეტები მათ ავტონომიურ ოლქში გამგზავრებაზე, რომელთა შორის თითქმის არ არის ქართველი ებრაელი[227].

ამგვარი ანკეტების არსებობა დასტურია იმისა, რომ კოლმეურნეობის შექმნის მთავარი მიზეზი გახლდათ არა მარტო ებრაელთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით საქმიანობაში ჩართვა, არამედ, ძირითადად მაინც, ებრაელთა გადასახლება მათთვის შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ ავტონომიურ ოლქში.

---

227 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფონდი P-117, აღწერა 1, საქმე № 265, გვ. 72-73-74.

განხილული მასალები ნათლად ადასტურებს, რომ ებრაელები აჭარაში საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში იყვნენ ჩაბმულნი, კერძოდ, ეაჭრობდნენ, იხდიდნენ სამხედრო სამსახურს, იყვნენ კულტურისა და განათლების, ჯანდაცვის მუშაკები... მათ დიდი წელილი შეიტანეს რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევის საქმეში.

თავი მესამე
ებრაელთა ტრადიციული ყოფა

ოჯახი და საოჯახო ყოფა. ოჯახი ადამიანთა ურთიერთობის პირველადი უჯრედია, ყოველმხრივ მოხერხებული, ისტორიულად გამოცდილი და სოციალურად აპრობირებული. მისი ფუნქციები სხვადასხვანაირია, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: ოჯახის სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა, მომავალ თაობათა სოციალიზაცია, ბიოლოგიური კელავწარმოება და მემკვიდრეობის უფლებების რეგულირება, რელიგიური დოგმების დაცვა-შენახვა და ა.შ.[228].

როგორც შულხან ყარუხი გადმოგვცემს, კაცი ვალდებულია შეირთოს ცოლი, რათა განაყოფიერდეს და გამრავლდეს. თუ მათ შეეძინათ ვაჟიშვილი და ქალიშვილი, მაშინ შესრულებული არის თორის ძირითადი დავალება[229]. საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საოჯახო ტრადიციები ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის პარალელურად უნდა იყოს განხილული, რამეთუ ქართული ოჯახის ზოგადი მოდელი თითქმის მიესადაგება ქართველი ებრაელის ოჯახს. ამასთან დაკავშირებით საესებით მართებულად აღნიშნავდა ც. მესხიშვილი, რომელიც ქართულ და ებრაულ ოჯახებს შორის უფრო მეტ მსგავსებაზე მიუთითებდა, ვიდრე განმასხვავებელ ნიშნებზე, ზოგიერთი ნიუანსის გამოკ-

---

[228] დაწერ. იხ.: *ხარაძე რ.* დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფილისი, 1939; *ითონიშვილი ე.* ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960; *მისივე,* ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969; *ბექია მ.* ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, თბილისი, 1988, *აბუგბა თ.* ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, 1990; *მგელაძე ნ.* სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები.-კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996; *Beck R.* Theology for the Healthy Family - Woman, Abuse and the Bible, Cumbria UK, 1996; *Kroeger C.* God's Purposes in the Midst of Human sin. – Woman, Abuse and the Bible, paternoster press, Cumbria UK, 1996.

[229] იხ. *შულხან ყარუხი,* გამოსაცემად მოამზადა რაბი აარონ ელაშვილმა, მახარონ ასაფერ, იერუსალიმი, 2000.

ლებით[230]. ქართველი სალხის მსგავსად, კავკასიის ებრაელებშიც XX საუკუნის 30-იან წლებამდე ძირითადად ოჯახის ორი სახე – დიდი და პატარა ოჯახი გვხვდებოდა[231]. საქართველოში ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან, კერძოდ, V საუკუნიდან არსებობდა ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც ფეოდალური საზოგადოების პირობებში იქცა ოჯახის ძირითად ფორმად, ხოლო მის პარალელურად არსებობდა საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმა – დიდი ოჯახი. IX-X საუკუნეების საქართველოშიც „სახლობა მრავალრიცხოვანი და პატარა ყოფილა...“[232]. დიდი ოჯახის არსებობა სოფლად მცხოვრები ებრაელების ყოფაში უფროა დამოწმებული, სადაც ისინი მრავალდარგობრივი მეურნეობით იყვნენ დაკავებულნი. თავისთავად მეურნეობის ფართო მასშტაბი მრავალი სულის ერთად ცხოვრებას მოითხოვდა. მაგალითად, აწყურში ლევიშვილების დიდი ოჯახი, რომელიც სამი თაობისაგან შედგებოდა, ცხოვრობდა ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელში. ოჯახს ჰქონდა 10 ჰექტარი სახნავ-სათესი, ჰყავდა 4 ულელი ხარი, 6 მეწველი ძროსა, ცხვარი, ვენახი და ყოველგვარი სამეურნეო იარაღი – გუთანი, კავი, ურემი და ასე შემდეგ. ასეთი ოჯახის ძირითად საქმიანობას მამაპაპური მეურნეობა წარმოადგენდა[233]. ებრაელთა დიდი ოჯახი 3-4 თაობიანი იყო. იგი სამი სახით ელინდებოდა. ესენი იყო სამამო, საძმო და საბიძაშვილო. ეს ფორმა ახლოს იდგა აჭარაში დაფიქსირებულ დიდ ოჯახთან[234]. ებრაული ოჯახის დაშორება სოფლის მეურნეობისაგან, კერძოდ, მიწათმოქმედებისაგან, განაპირობებდა დიდი ოჯახის დაშლას უფრო წერილ სეგმენტებად. ამას ხელს უწყობდა ქვეყანაში შექმნილი სოციალ-ეკონო-

---

230 *მესხიშვილი ც.* ასალციხელ ებრაელთა ტრადიციული ყოფა, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 1998, გვ. 41.

231 *Ихилов М.* დასახ. ნაშრომი, გვ. 188

232 *ჯაფარიძეული ივ.* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფილისი, 1929, გვ. 372; *ითონიშვილი ვ.* კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბილისი, 1977, გვ. 12.

233 მესხიშვილი *ც.*, დასახ. ნაშრომი, გვ. 45

234 დაწვ. იხ.: *Мгеладзе Н.* Система кровного родства в Аджарии (историко-этнографическое исследование), Батуми, 1988; *მისივე,* აჭარული ნოყრო და გვარი, ბათუმი, 2005; *აბუკა თ.* ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, 1990.

მიკური მდგომარეობა და რუსეთის ცარიზმის მიერ მიღებული ანტისემიტური კანონები, კერძოდ, 1835 წლის კანონი ებრაელთა შესახებ, რომელმაც საქართველოს ერთ დროს დამჯდარ ქართველ მეურნე ებრაელს მეწვრილმანე ვაჭრობისაკენ უბიძგა[235].

ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება ორი და სამი თაობისაგან შემდგარი პატარა ოჯახი. ამათგან, ქართველ ებრაელთა ოჯახი უმთავრესად სამ, ხოლო აშქენაზ ებრაელთა ოჯახები — ორ თაობას აერთიანებდა, რამდენადაც აშქენაზებში ქორწინების შემდგომ ახალი ოჯახის ცალკე ცხოვრების ტენდენცია უფრო მკვეთრი იყო.

ქართველ ებრაელებში ჩვენს მიერ დაფიქსირდა კროს-კუზენური ქორწინებები, რომელიც განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ კომპაქტურად დასახლებულ ებრაელთა უმრავლესობა ერთმანეთის ნათესავი იყო. ყოველივე ეს განსაზღვრავდა მათი საოჯახო ყოფის ერთგვაროვნებასაც. იმყოფებოდნენ რა ახლო ნათესაურ ურთიერთობაში, მათ ყოველთვის გააჩნდათ მჭიდრო კავშირი არა მარტო თავისი ოჯახის წევრებთან, არამედ მონათესავე ოჯახებთანაც.

ებრაული ოჯახის უფროსი დიდი უფლებებითა და პატივისცემით სარგებლობდა. ტრადიციულად იგი ასაკით უფროსი მამაკაცი იყო, რომელიც არეგულირებდა ოჯახში მამაკაცთა საქმიანობას, ყიდვა-გაყიდვის საქმეს, ოჯახის წევრთა ქორწინების საკითხებს და საოჯახო ყოფის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებისას სარგებლობდა გადამწყვეტი ხმის უფლებით. მის ამგვარ უფლებებს გარკვეულწილად თორაც განსაზღვრავდა, სადაც წერია: „პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე..."[236].

საველე მასალებით ირკვევა, რომ ოჯახის უფროსის რიგ ფუნქციას ზოგ შემთხვევაში ქალი ითავსებდა. მაგალითად, ბათუმში ჯანაშვილების ოჯახში უფროსი მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დარჩა დაქორწინებული შვილი და წესით იგი მოიაზრებოდა ოჯახის მეთაურად, დედა წარმოადგენდა მთავარ ფიგურას. მას ებარა ოჯახის დოვლათი და მთელ კაპიტალსაც იგი განკარგავდა. ამასთანავე,

---

235 *ბერძენიშვილი ნ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

236 *Тора*, Иерусалим, 1992 - Вайикра, 19:3.

საოჯახო სამუშაოების შესრულების პროცესში მას ყველა ქალი ემორჩილებოდა.

ებრაულ ოჯახში ქალის საკმაოდ დიდ უფლებებზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ადრეული ხანიდანვე ბავშვის ეროვნება განისაზღვრებოდა არა მამის, არამედ დედის ეროვნული კუთვნილების მიხედვით. ბავშვს დედა თუ ებრაელი ჰყავდა, მამა კი სხვა ეროვნების, იგი გვარს მამისას აგარებდა, ეროვნებით კი ებრაელი იყო. ალბათ სწორედ ამიტომ საქართველოში დღესაც საკმაოდ ხშირია ერთი გვარის წარმომადგენლები, ეროვნებით ზოგი ებრაელია, ზოგი კი – ქართველი[237].

ებრაულ ოჯახში მამაკაცები ძირითადად ფულის შოვნით იყვნენ დაკავებულნი. მამაკაცი მისდევდა ვაჭრობას, ხელოსნობას, ასევე, ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქალები უმეტესწილად შიდასაოჯახო საქმიანობას ეწეოდნენ. უვლიდნენ ბავშვებს, საცხოვრებელსა და კარმიდამოს. მათვე ევალებოდათ ბაზარში სურსათ-სანოვაგის ყიდვა, საჭმლის მომზადება, რელიგიური დღესასწაულების წესების მკაცრი დაცვა და შიდასაოჯახო წვრილმანი საქმეები. ებრაულ ოჯახში ქალის შრომა დამოკიდებული იყო ოჯახის შემადგენლობაზე. პატარა, ორთაობიან ოჯახში ქალის საქმეს ძირითადად დედა ასრულებდა. მას შვილებიც ეხმარებოდნენ. რაც შეეხება სამთაობიან ოჯახს, აქ საოჯახო სამუშაოები ნაწილდებოდა დედამთილსა და რძალს შორის. ჩვენი საველე მასალების მიხედვით, ოჯახის უფროსი ქალი უმთავრესად სამზარეულოთი იყო დაკავებული, ხოლო რძალი - პროდუქტების შეძენით.

ქართველ ებრაელთა ოჯახი ხასიათდებოდა ოჯახის ახალი წევრის, რძლის ახალ სოციალურ გარემოში ინტეგრაციის რიგი თავისებურებით. დედამთილი თვალყურს ადევნებდა რძლის მიერ ბაზარში ნაყიდი პროდუქტისა და საბაზრო ღირებულების ბალანსს. შესაბამისად შესყიდული საქონლის სიმცირისათვის დედამთილი რძალს საყვედურსაც ეუბნებოდა. ქართველ ებრაელთა ოჯახში ფულის კონტროლის აღნიშნულმა თავისებურებამ სათავე დაუდო ურთიერთდახმარების განსაზღვრულ ფორმას. იგი გულისხმობდა მშობლების მიერ გათხოვილი ქალიშვილის

---

[237] *იველაშვილი თ.* ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ქართველ ებრაელებში.- ანალები, I, თბილისი, 2001, გვ. 68.

დახმარებას კვირაში ერთხელ ან ორჯერ სტუმრობით, რომლის დროსაც მათ თან მიჰქონდათ პროდუქტები.

შრომის სქესობრივი განაწილება ქართველი ებრაელების ოჯახებში მკაცრად იყო დაცული. რაც შეეხება აშქენაზ ებრაელებს, მათში ქალსა და მამაკაცს შორის შრომა მკაცრად არ იყო დიფერენცირებული. მამაკაცი შეიძლება დახმარებოდა ქალს საჭმლის მომზადებაში, რეცხვაში, ბავშვის მოვლაში...

ებრაულ ოჯახში ქალის ქონებრივ მდგომარეობას უმთავრესად ქმნიდა მზითვი – ქეთუბა. იგი საქორწინო ხელშეკრულების საჯაროდ გაფორმებული აქტი იყო. მას წერილობითი სახე ჰქონდა და შეიცავდა ერთმანეთის მიმართ ნეფე-დედოფლის, როგორც ებრაელები ეძახიან – ხათან-ქალას ვალდებულებებს. ქეთუბა ყოველთვის ქალს რჩებოდა და ინახავდა სიცოცხლის მანძილზე. ქალიშვილის მშობლები, თუ შესაძლებლობა ჰქონდათ, ახალდაქორწინებულებისათვის ყიდულობდნენ სახლს ან ბინას, ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ ოჯახის დაშლის შემთხვევაში, ქალს საცხოვრებელი ჰქონოდა. ქალიშვილის მზითვის შეგროვებას მშობლები იწყებდნენ ბავშვის დაბადებიდან, ხოლო თუ რამდენიმე ასული ჰყავდათ, მაშინ ყიდულობდნენ ერთნაირ ნივთებს იმის გათვლით, რომ შემდგომში დებს შორის არ წარმოშობილიყო კონფლიქტი.

ვაჟის მშობლები იძენდნენ საჭირო ძვირფასეულობას რძლისთვის. ჭურჭელს და სხვა ნივთებს ახალდაქორწინებულები საკუთარი შესაძლებლობებით ყიდულობდნენ იმ შემთხვევაში, თუ ცალკე იცხოვრებდნენ, თუმცა, თუ ოჯახი ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო, მაშინ ახალდაქორწინებულები შედიოდნენ ისეთ სახლში, სადაც ყველაფერი იყო, ავეჯი, ჭურჭელი... და იწყებდნენ მასში ცხოვრებას[238].

ებრაული ტრადიციით არაებრაელზე თვითნებურად დაქორწინებული ქალი ან ვაჟი ოჯახიდან არაფერს არ ღებულობდა. ნათესაობა მათ ზურგს აქცევდა და ასეთი ოჯახი ნათესაობაში კარგავდა უფლებრივ მდგომარეობას ნათესაურ ურთიერთობათა რიგ სფეროში, მათ შორის მორალურ მხარდაჭერასაც. ასეთ

---

238 *დემეტრეა ლ.* ქ. ბათუმის ეროვნულ უმცირესობათა ოჯახი და საოჯახო ყოფა.- ხელნაწერი იხ.: ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, აღწერა №3, საქმე №733, ბათუმი, გვ. 21.

შემთხვევაში მშობლებსა და ასალგაზრდებს შორის ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. მაგალითად, ბოთერაშვილის ოჯახის ერთი ასული გაჰყვა ებრაელს და ისინი ისრაელში გადასახლდნენ, ხოლო მეორე ასული მშობლების თანხმობის გარეშე ქართველზე გათხოვდა. ოჯახისათვის ეს იყო არასასიამოვნო მოულოდნელობა, რადგან ქალიშვილს ბავშვობიდან უნერგავდნენ და არიგებდნენ, რომ იგი აუცილებლად უნდა გაჰყოლოდა თავის თანაგომელს. როგორც ოჯახმა, ისე მთელმა ნათესაობამ შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა მათთან. იმავე ოჯახში ვაჟმა ცოლად მოიყვანა სოფელ კულამის მკვიდრი ებრაელი ქალი და მათთან გადავიდა საცხოვრებლად. რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახში გარდაიცვალა დედა. მამა დარჩა მარტო, ხოლო ურჩ ქალიშვილს ეყოლა შვილები, რის გამოც მამა მას შეურიგდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა მემკვიდრეობის ნაწილი.

როგორც ჩანს, ებრაელებს კარგად აქვთ გააზრებული ის ფაქტი, რომ ბიეთნიკურ ოჯახში დაბადებული ბავშვი, ირჩევს რა ერთ-ერთი მშობლის ეროვნებას, ამით მეორე მშობლის ეთნიკურ ხაზს წყვეტს. თანაც ასეთი ქორწინების რაოდენობრივი თანაფარდობა დიდი და მცირერიცხოვანი ეთნოსებისათვის სხვადასხვა პროცენტს შეადგენს. მცირერიცხოვანი ეთნოსისათვის იგი პროცენტულად უფრო დიდი გამოდის, ზემოქმედების ძალაც მეტი აქვს, ამიტომ მცირერიცხოვანი დიასპორა უფრო სწრაფად განიცდის ასიმილაციას[239].

ბავშვის დაბადება. ოჯახის ერთ-ერთ ძირითად და მარადიულ ფუნქციას ბიოლოგიური კვლავწარმოება შეადგენს. ოჯახსა და საზოგადოებას შობადობის ინტენსიობის მნიშვნელობა მთელი სიგრძე სიგანით აღრეული ხანიდანვე ჰქონდა გააზრებული. ისე, როგორც მრავალ ხალხში, ებრაელებშიც ფეხმძიმობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო მთელი რიგი სავალდებულო რწმენა-წარმოდგენათა და წეს-ჩვეულებათა შესრულება. მათგან გარკვეული ნაწილი რაციონალურ ხასიათს ატარებდა. ეს ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა ფეხმძიმე თუ

---

239 *ბექაია მ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 53.

მშობიარე ქალის დაცვას მავნე და აეი სულების უარყოფითი ზემოქმედებისაგან[240].

ებრაელთა ოჯახში ქალის უპირველესი მოვალეობა შიდასაოჯახო საქმეებთან ერთად ბავშვის მოვლა-აღზრდაა. მათი წარმოდგენით მშობლებს, რომლებიც სიცოცხლეს აძლევენ ბავშვს, ეს პასუხისმგებლობა შეგნებული უნდა ჰქონდეთ და მათი მოვალეობაა არა მარტო თვალყური აღევნონ და აღზარდონ სიყვარულით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მათში უნდა გააღვივონ ეროვნული ტრადიციები. ახალშობილი არ ატარებს არავითარ ცოდვას, ამასთან დაკავშირებით ყოველდღიურ დილის ლოცვაში ებრაელები ამბობენ: „ღმერთო ჩემო, გონება რომელიც მომანიჭე მე სუფთაა...“[241].

ებრაელებში უძველესი პერიოდიდან უშვილობა დიდ უბედურებას წარმოადგენდა, რადგან ოჯახი უმემკვიდრეოდ რჩებოდა. ქალისათვის ეს ყველაზე დიდ ტრაგედიად და ნაკლად ითვლებოდა. ამას ისინი მიაწერდნენ ბოროტ სულებს და მტრებს. უშვილო ოჯახის ხვედრი მეტად მძიმე და სამწუხარო იყო. უშვილო ქალს ოჯახში ჩამორთმეული ჰქონდა მრავალი უფლება. ამის გამო იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა შვილი შესძენოდა. თუ ქალი დაფეხმძიმდებოდა, გარკვეული აკრძალვები უნდა დაეცვა საკვების მიღების დროს. მისთვის ზოგიერთი საკვების მიღება მეტად სასარგებლო იყო, ზოგიერთისა კი — მავნე.

ფეხმძიმობისას ქართველი ებრაელები ისე, როგორც ბელორუსიისა და უკრაინის ებრაელები, მიმართავდნენ მარჩიელს, იცოდნენ დაცდა, რომელიც ახლოს დგას ქართულ სინამდვილესთანაც. ფეხმძიმე ქალის მუცელში ძლიერი მოძრაობა, პირველ თვეს სისუსტის შეგრძნება, სიზმარში მგლის ნახვა იმის მიმანიშნებელი იყო, რომ მას ვაჟი ეყოლებოდა, ხოლო თუ სიზმრად ბაყაყს ნახავდა, მაშინ მას გოგო შეეძინებოდა. ებრაული ტრადიციით ახალშობილი დაბადებიდან მერვე დღეს უნდა მონათლულიყო.

---

240 იხ.: *თაედიშვილი რ.* ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, 1940; *Донин Х.* Быть евреем, 1990; *ბელაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ.* გვიხმობს მამული მამა-პაპათა, 1995.

241 *Тора*, Иерусалим, 1992 - дварим, 28: 6.

ვაჟის შობიდან 40 დღის, ხოლო ქალის შობიდან 60 დღის განმავლობაში, ქალი უწმინდურად ითელებოდა და მას არ ჰქონდა ქმართან ურთიერთობის უფლება. ამ ხნის გასვლის შემდეგ ქალი ასრულებდა მიკვეს რიტუალს - ახდენდა განწმენდას[242].

სახელის დარქმევა. ებრაელებში ახალშობილი ბავშვისათვის სახელის დარქმევას ჯერ კიდევ ბიბლიური პერიოდიდან ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა. ებრაული ტრადიციის თანახმად, სახელის ამორჩევა დაკავშირებული იყო ცხოვრების რომელიმე მნიშვნელოვან მომენტთან. ადამიანი და მისი სახელი ერთმანეთისაგან განუყრელი იყო. საკმარისია, ვთქვათ, რომ ღმერთმა ებრაელები გამოიყვანა ეგვიპტიდან იმ მიზეზის გამოც, რათა მათ შეენარჩუნებინათ ძველი ებრაული სახელები. ეგვიპტელთა მონობაში მათ დაკარგეს ბევრი სულიერი ღირსება, მაგრამ არ რცხვენოდათ ებრაული სახელებისა და ამ კუთხით იყენენ გადარჩენილნი[243].

ებრაელთა გადმოცემით, იერუსალიმის პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ, ძვ. წ. VI საუკუნეში წარმოიშვა წეს-ჩვეულება, რომლის თანახმადაც ვაჟიშვილებისა და ქალიშვილებისათვის დაერქვათ ახლო ნათესავების სახელები: მამის, დედის, დიდედის და ასე შემდეგ. ქართველი ებრალებისაგან განსხვავებით, აშქენაზი ებრალები ბავშვებს მხოლოდ გარდაცვლილის სახელებს არქმევდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ არ შეიძლებოდა ბავშვს დარქმეოდა ცოცხალი ნათესავის სახელი, რადგან ეს გარემოება ბავშვს უბედურებას მოუტანდა. ქართველი ებრალები კი უპირატესობას ანიჭებდნენ მშობლების, და ცოცხალი, ძველი თაობის წარმომადგენლების სახელებს. მათთან ეს წეს-ჩვეულება გამოხატავდა პატივისცემასა და დაფასებას უფროსი თაობისადმი. ხშირად ახალშობილს არქმევდნენ ისტორიული პიროვნების სახელს. მიაჩნდათ, რომ მათი დამსახურება და პატიოსნება ესმარება იმ პიროვნებას, ვინც მათ სახელს ატარებს.

---

242 *შულხან ყარუხი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 336-339.

243 დაწერ.: იხ.: *Мацнер-Бекерман Ш.* Еврейский ребенок: Иудаизм о воспитании детей, Иерусалим, 1994; *Вагшал Ш.* Еврейское воспитание. Иерусалим, 1990; *Дичер Г.*, Пастернак Ш. Бар-Мицва, Иерусалим, 1994.

ეს უბიძგებს იაროს სწორი გზით. ხშირად მამა შვილს არქმევდა იმ პირის სახელს, ვინაც მას თორა ასწავლა.

ეაეს უპირატესად ნათლობის დროს არქმევდნენ სახელს, ხოლო ქალს – სინაგოგაში, დაბადებიდან პირველ შაბათს. ამასთანავე არ იყო მიღებული ახალშობილის სახელის წარმოთქმა მანამ, სანამ ეს ცერემონია ფორმალურად არ ჩატარდებოდა. ამიტომ არ იყო მიღებული კითხვის დასმა – „რას დაარქმევთ ბავშვს?" და თუ ეს კითხვა მაინც დაისმებოდა, მშობლები უმრავლეს შემთხვევაში შემდეგნაირად უპასუხებდნენ „ჩვენ ჯერ არ გადაგვიწყვეტია"[244].

ნათლობა. ახალშობილთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია ნათლობის რიტუალი. თორის მიხედვით, „დაბადებიდან მერვე დღეს, მონათლული იყოს ყოველი ახალშობილი მამრობითი სქესისა[245].

ყოველი მორწმუნე ებრაელი მამა ვალდებული იყო შეესრულებინა თორის ეს მითითებები და შვილის დაბადებიდან მერვე დღეს წინდაცვეთის რიტუალი ჩაეტარებინა. ეს რიტუალი ივრითზე იწოდება – ბრიტ-მალა, რაც წინდაცვეთის აღთქმას ნიშნავს, ხოლო ვინც ამ წესს უშუალოდ ასრულებს, მას მოგელი ეწოდება.

რელიგიური თვალთახედვით სასტიკად იკრძალებოდა წინდაცვეთისათვის ქირურგის მოწვევა, თუნდაც რაბინის თანდასწრებით. მთხრობელთა გადმოცემით, ექიმს შეეძლო უმაღლეს დონეზე კვალიფიციურად ჩაეტარებინა ეს ოპერაცია, მაგრამ იგი არ იყო უფლებამოსილი შეესრულებინა წინადცვეთის აღთქმა, რამდენადაც წინდაცვეთის რელიგიური მნიშვნელობა განისაზღვრებოდა არა მარგო ლოცვების კითხვით, არამედ თორის მითითებების მკაცრი დაცვითაც.

წინდაცვეთა იყო არა უფროსი თაობის მონაგონისადმი ხარკის გადახდა, არამედ კანონი, რომელსაც ებრაელები ასრულებდნენ ათასწლეულების მანძილზე. ეს რიტუალი ჰიგიენური და სამედიცინო უსაფრთხოების თვალსაზრისითაც სასარგებლოდ ითვლებოდა, თუმცა იგი უპირველეს ყოველისა ებრაელი

---

244 *ლორია მ.* ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები და აუდიო-ვიზუალური არქივი, 1997-2005.

245 *Тора*, Иерусалим, 1992 - Врейшит, 17:10-14.

ხალხის ღმერთთან მუღმიეი კავშირის გამომხატველი იყო და ამიტომაც მკაცრად იცავდნენ მისი შესრულების ყველა პირობას. ხალხური განმარტებით, მხოლოდ ღირსეული მოგელის მიერ შესრულებული რიტუალი ინარჩუნებდა თავის არსს.

წინდაცვეთას ასრულებდნენ დაბადებიდან მერვე დღეს, მიუხედავად იმისა რა იქნებოდა ეს დღე — შაბათი, საახალწლო დღესასწაული - იომ-ქიფური თუ სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღი. ორშაბათს დაბადებულ ბავშვს წინდაცვეთას უსრულებდნენ შემდეგ ორშაბათს, თუ ბავშვი მოეელინებოდა ქვეყანას შაბათს, მაშინ რიტუალი უნდა შესრულებულიყო შემდეგ შაბათს.

წინდაცვეთის გადადება შეიძლებოდა მხოლოდ ბავშვის ავადმყოფობისას, სუსტად ყოფნისას, ნაადრევი მშობიარობის და იმ შემთხვევაში, თუ ექიმის რჩევით წინდაცვეთა ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნიდა.

პირს, რომელსაც წინდაცვეთის დროს ახალშობილი ეჭირა ხელში, სანდაკი ეწოდებოდა. სანდაკის ფუნქცია საპატიო მოვალეობად ითვლებოდა.

სასურველი იყო, მაგრამ არა აუცილებელი, რომ წინდაცვეთას დასწრებოდა 10 მლოცველი მამაკაცი - მინიანი. სხვა სასიხარულო ამბების მსგავსად, ნათლობა აუცილებელად აღინიშნებოდა სადღესასწაულო სუფრით, რომელიც ამ შემთხვევაში ღებულობდა რელიგიური დღესასწაულის „სეუდაგმიცვას“ ხასიათს.

ბარ-მიცვა და ბატ-მიცვა: ვაჟი აღწევს რელიგიურ სრულასაკოვნებას ცამეტი წლის, გოგონა კი თორმეტი წლის ასაკში. მათ შესაბამისად უწოდებდნენ „ბარ-მიცვას“[246] და „ბატ-მიცვას“[247]. ამ დროიდან ისინი ზრდასრულებად ითელებოდნენ და თვითონ აგებდნენ პასუხს საკუთარ ქმედებებზე.

მოზარდს ამ მნიშვნელოვანი მომენტის აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, საშუალება ეძლეოდა ხალხის თანდასწრებით შეესრულებინა მიცვა — აღქმა. ამ რიტუალის შესრულებისაგან ვაჟი ცამეტ წლამდე თავისუფალი იყო. ბარ-მიცვას რიტუალისათვის ვაჟს იძახებდნენ თორასთან და სინაგოგაში იგი კითხულობდა

---

[246] აღთქმის ვაჟი.
[247] აღთქმის ასული.

წინასწარ მომზადებულ დრაშას - ლექციას რელიგიურ თემაზე. ეს ქორწინების, შვილის დაბადების, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების ტოლფას ფაქტად ითვლებოდა. ამ მომენტიდან ვაჟი სარგებლობდა იგივე უფლებებით, როგორითაც ნებისმიერი მორწმუნე ებრაელი.

რამდენადაც ქალები არ მონაწილეობდნენ საზოგადო ლოცვაში მამაკაცებთან ერთად, ამიტომ არაეითარი ოფიციალური ცერემონია გოგონას ბატ-მიცვას ასაკში შესელასთან დაკავშირებით არ სრულდებოდა. თუმცა, ჩვენს დროში ზოგიერთი ოჯახი ცდილობს, როგორმე აღნიშნოს ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. ასეთი სიახლეების წინააღმდეგ ებრაელები არ ილაშქრებენ, თუ, რა თქმა უნდა, ამით არ ირღვევა თორის კანონები.

ღღესასწაულის მასშტაბი დამოკიდებული იყო პირად გემოვნებაზე და ოჯახის საშუალებაზე, მაგრამ, სუფრას არ უნდა დაეჩრდილა ჩვეულება, არ უნდა დაეფარა ღღესასწაულის ებრაული ხასიათი. მოზარდს საშუალება უნდა მიცემოდა, რომ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა ეგრძნო, რაც წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების დაცვაში, საკუთარი მოვალეობის შესრულებასა და ღვთის წინაშე სხვა ვალდებულებებში გამოიხატებოდა.

ამდენად, განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ებრაული ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობები ყალიბდებოდა პატრიარქალური წყობით. უმცროსები ექვემდებარებოდნენ უფროსებს, უმცროსი ძმა - უფროსს. ოჯახის უფროსისადმი ყველა პატივისცემით იყო გამსჭვალული. საოჯახო ყოფაში ბავშვის დაბადება, ნათლობა, სახელის შერქმევა თუ სხვა რიტული მიმართული იყო ებრაული ოჯახის თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ.

საქორწინო წეს-ჩვეულებები. ებრაულ საქორწინო ტრადიციებში შეინიშნება ბიბლიური ეპოქის დანაშრევები, რითაც დასტურდება ტრადიციული კულტურის ამ სფეროს კონსერვატიულობა. მეორე მხრივ, ქართველ ხალხთან ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად საქართველოში მცხოვრებ ებრაელებში, განსაკუთრებით კი ქართველ ებრაელებში, დასტურდება ქართველი ხალხისათვის ნიშანდობლივი საქორწინო ჩვეევები. ამ საკითხების გარკეევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ი. ჭყო-

ნიას[248]; თ. ოჩიაურის[249]; თ. იველაშვილის[250]; მ. ბექაიას[251]; ნ. მაჩაბლის[252]; ლ. მელიქიშვილის[253] და სხვათა ნაშრომები.

ქართველ ებრაელებში ისე, როგორც მთლიანად პოსტსაბჭოურ სივრცეში მცხოვრებ ებრაელებში, ოჯახების დამოყვრება-დანათესაურებისათვის რამდენიმე საფეხური იყო გასაველელი: ხელის დაკვრა – ნიშნობის პირველი საფეხური; სიტყვის გატანა უბანში – რაც გულისხმობდა დამოყვრების სანათესაოში გახმაურებას; გარიგება – როცა ოჯახები ეკონომიურ მომენტებზე თანხმდებოდნენ; დაბევება – რაიმე ნიშნის, ბეჭდის ან ფულის გაცელა; ნიშნობა და ქორწილი. ზოგჯერ ნიშნობასა და ქორწილს აერთიანებდნენ, რაც იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობდნენ ოჯახები ერთმანეთს[254].

აჭარაში მცხოვრებ როგორც ქართველ, ისე აშქენაზ ებრაელებში ეს საფეხურები გამარტივებული იყო და საქორწინო ცერემონია გულისხმობდა მხოლოდ გარიგებას, ნიშნობას – „კიდუშინს“ და ქორწილს – „ნისუინს“. საინტერესოა, რომ დასაქორწინებელი ქალ-ვაჟის ოჯახების ახლო ნაცნობობის მიუხედავად, მაინც საჭირო იყო საქმის მოსაგვარებლად მათ შორის მაჭანკლის – „მაშელის“ დახმარება. მაშელის საქმიანობა დაფიქსირებულია როგორც ქართველ, ისე აშქენაზ ებრაელებში, ოღონდ მცირეოდენი განსხვავებით. ევროპელ ებ-

---

248 *ჭყონია ი.* ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, 1955.

249 *ოჩიაური თ.* წყლის კულტის ელემენტები საქორწინო რიტუალში, მსე, თბილისი, 1975.

250 *იველაშვილი თ.* საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბილისი, 1999.

251 *ბექაია მ.* ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.

252 *მაჩაბელი ნ.* ქართველი ხალხის საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბილისი, 1976.

253 *მელიქიშვილი ლ.* ტრადიციული და საქორწინო წესჩვეულების სტრუქტურული ანალიზი და ინოვაცია, თბილისი, 1986.

254 *მაგალ-მაღალაშვილი,* დასახ. ნაშრომი, გვ. 62; *Микдаш-Шамшова Л.* Некоторые особенности свадьбы у горских евреев. – Международная научная конференция «Археология и етногрфия кавказа», Баку, 2000. с. 204-205; *Емельяненко Т.* К Истории сложения свадебной обрядности у среднеазиатских (Бухарских) Евреев.– IV Конгресс этнографов и антропологов России, Тезисы докладов, 2001, с. 286.

რაელებში 1918 წლამდე არსებობდა სპეციალურად ამ მიზნით მოსაქმე პროფესიონალი მაჭანკალი. მისთვის ეს პროფესია იყო და ამით ირჩენდა თავს. აჭარაში ამქენამი მაშელის საქმიანობა მხოლოდ მითითებული რეგიონით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება ქართველ ებრაელებს, ისინი მაშვალს საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ. მაშელად შეიძლება მოწვეული ყოფილიყო თემში დაფასებული ან დაინტერესებული მსარის რომელიმე ებრაელი ნათესავი, რომლის საქმიანობა უკვე აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აჭარის რეგიონით. იგი მთელ საქართველოს მოიცავდა. მაშვალი ადგენდა ქალ-ვაჟის ეროვნულ კუთვნილებასა და სარწმუნოებას. ებრაელებს თავისი ეროვნების გაღარჩენის ინსტინქტმა გამოუმუშავა ამ საკითხისადმი თავისებური მიდგომა. მათთვის აუცილებელი პირობა იყო ებრაელის ებრაელად დარჩენა, მომავალი თაობების ებრაული სულით აღზრდა და თავისივე ეროვნების ადამიანზე დაქორწინება. პარალელურად მაშვალი არკვევდა ოჯახის რეპუტაციასა და ეკონომიკურ მდგომარეობას. ქალ-ვაჟის შეუღლებაზე ფიქრი იწყებოდა მას შემდეგ, როდესაც ისინი მიაღწევდნენ საქორწინო ასაკს. საველე მონაცემებით, ქალების უმრავლესობა თხოვდებოდა ძირითადად 16 წლიდან, ხოლო ვაჟების დაოჯახება 18 წლიდან ხდებოდა. როგორც უკვე ითქვა, ებრაული კანონის თანახმად, რელიგიურად ვაჟი სრულწლოვანი 13 წლის ასაკში ხდება, ქალი კი 12 წლისა და უკვე ამ დროიდან მათ შეუძლიათ დაოჯახება. ქუთაისელ ებრაელებში ცნობილი იყო გამონათქვამი: „13 წლის ქალი ან ქვის ქვეშ ან ქმრის ხელში“[255].

საქართველოს ებრაელებში დაფიქსირებულია ბავშვთა მცირეწლოვან ასაკში დანიშვნის შემთხვევები. ასეთ დროს ვაჟის პატრონი ქალის მშობლებს მისცემდა ფულს — „ქესუმს“, ან რაიმე ნივთს, ხოლო ქალის მსარე ფიცს — „კინიანს“ დებდა და სტუმრებს გაკვანძულ ცხვირსახოცს გადასცემდა, რომლის მიხედვითაც იგი ღებულობდა პასუხისმგებლობას, რომ შვილს სხვას აღარ მიათხოვებდა[256]. თუმცა ასეთი ფაქტები ჩვენს საკვ-

---

255 *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 586.

256 დაწერ. იხ.: *თაედიშვილი რ.* ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1940.

ლევ რეგიონში მცხოვრებ ებრაელებში საველე მასალებით არ დასტურდება. საქორწინო წყვილის შერჩევით დაინტერესებული იყო როგორც დასაქორწინებელი წყვილის ოჯახი, ისე ადგილობრივი ებრაული სათვისტომოს წევრები, რომლებიც ყოველივეს თვალყურს ადევნებდნენ. ქალის საქორწინო ასაკის შესრულების შემდეგ სათვისტომო ვაჟის ოჯახის წევრებს ესმარებოდა, რაც ვაჟის სხვადასხვა სახის დღესასწაულებზე დასწრების ხელსშეწყობაში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს საქორწინო წყვილთა გაცნობის მიზნით ხდებოდა. თავშეყრის ადგილი შეიძლება ყოფილიყო რომელიმე ახლობლის დაბადების დღე, რელიგიური და საერო დღესასწაული, განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შაბათის დღესასწაული. თორის მიხედვით შაბათი უფლის დღედ არის გამოცხადებული: „ექვსი დღე აკეთე საქმე. მეშვიდე დღე კი დასვენების შაბათია“[257]. შაბათი იწყება პარასკევს, მზის ჩასვლისას და ოჯახის დიასახლისი იწყებს საშაბათო მზადებას, ამზადებს რელიგიურ კერძებს, ალაგებს სახლს. დიასახლისს ყოველივე ეს შაბათის დადგომამდე უნდა დაემთავრებინა. ამ შეხვედრაზე მომავალი საპატარძლო ცდილობდა, გამოევლინა კარგი თვისებები, ხასიათი, საოჯახო საქმიანობაში მოსერხებულობა, სტუმართმოყვარეობა. ებრაელებში სარძლოს შერჩევის დროს დიდი ყურადღება ენიჭებოდა პატიოსნებას, თავმდაბლობას, შრომისმოყვარეობას, რადგან ებრაული ოჯახის სიწმინდის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენახვა და დაცვა ძირითადად ქალს ევალებოდა. ამ თვისებების დაუბუსტებლად ვაჟის ოჯახი ქალის მშობლებთან მაშვალს არ გააგზავნიდა. შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ ებრაელები შაბათს ეძახდნენ დედოფლის დღეს[258]. ასეთ შეხვედრებზე ახალგაზრდა წყვილები ერთმანეთს ეჩვეოდნენ. ქალ-ვაჟის შეუღლების საქმეში გარკვეულ როლს თამამობდა მშობლების ეკონომიური მდგომარეობა. წელში გამართული ოჯახი ყოველთვის ცდილობდა შეძლებულ ოჯახთან დამოყვრებას. ებრაული ტრადიციითა და რელიგიური ნორმებით დაშვებული იყო დეიდამვილ-მამიდაშვილებს, ასევე, ბიძაშვილებს შორის ქორწინება.

---

257 *Тора*. Иерусалим. 1992 - Шмот, 20:9-11.

258 *ლორია ბ.* ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები და აუდიო-ვიზუალური არქივი, 1997-2005.

ასეთი ფაქტები დაფიქსირებულია ჩვენს საკვლევ რეგიონშიც. მაგალითად: ჯანაშვილების ორი ოჯახი ხუთი შთამომავლობის მანძილზე არიან ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ეს თავისებურებანი რადიკალურად განსხვავდება ქართული ტრადიციისაგან. წესისამებრ, საქართველოს მოსახლეობაში ნათესავთა როგორც პირდაპირი, ისე გვერდითი ხაზით დაქორწინება შვიდი თაობის გასვლამდე დაუშვებელი იყო. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ამ მხრივ გარკვეული თავისებურებები ახასიათებდა აჭარის მოსახლეობას, სადაც იშვიათად ადგილი ჰქონდა კუზენურ და კროსკუზენურ ქორწინებებს[259]. აჭარის მოსახლეობის ეს თავისებურება გამოწვეული იყო იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, რომელშიც ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა. ებრაელთა გვარის ტიპის სოციალური ორგანიზაციის ფარგლებში, უფრო კონკრეტულად, ახლო ნათესავებში ენდოგამიური მოვლენები იუდაიზმის ნორმებმა და, რაც მნიშვნელოვანია, ადაპტაციური პროცესებისათვის დამახასიათებელმა ინსტიქტებმა გამოიწვია. აჭარაში მცხოვრებ ებრაულ მოსახლეობაში ამდაგვარი ქორწინებები მასობრივ ხასიათს არ ატარებდა. ებრაელთა საქორწინო წესჩვეულებებში აშკარად იკვეთება ებრაელად დარჩენის სურვილი, რაც თავისთავად თავის რჯულზე დარჩენას განაპირობებდა, მაგრამ ამავე დროს შეთვისებული ჰქონდათ ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის მრავალი ელემენტი. სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს ქართველი ებრაელების ერთ-ერთ სპეციფიკას, რაზედაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ქართველ ხალხთან მათ ეკონომიკურ, კულტურულ და საერთოდ ყოველდღიური ცხოვრების მჭიდრო ურთიერთობას. ქართველი ებრაელის ფენომენის, როგორც ცალკე ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთეულის შესწავლა-ახსნისას ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული[260].

მას შემდგომ, რაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა ვაჟის მშობლებთან შეთანხმდებოდა, ქალის ოჯახში მოსალაპარაკებლად მივიდოდა მაჭანკალი, რადგან ისე, როგორც ქარ-

---

259 *ბექაია მ.* ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები (განქორწინების ისტორიულ-სოციალური კვლევის საკითხები), თბილისი, 1980.
260 *მაგალ-მაღალაშვილი,* დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

თეელ ხალხში, ებრაელებშიც ქალ-ვაჟის დაქორწინების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა მათ მშობლებს ეკუთვნოდა[261]. მოლაპარაკებები შედეგიანად თუ დასრულდებოდა, მაშინ შეთანხმდებოდნენ ნიშნობაზეც. თუ გარიგება მიუღებელი აღმოჩნდებოდა ქალის ოჯახისათვის, მაშინ ეს მხარე, იმ მიზნით, რომ ვაჟის ოჯახი და სათვისტომო არ განაწყენებულიყო, მოიმიზეზებდა: ეოგოს ჯერ არ სურს გათხოვება, ან მისთვის ჯერ ადრეაო...

ნიშნობა. საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგების სფეროში ერთ-ერთ ძირითად და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ საფეხურს ნიშნობა წარმოადგენდა, რითაც მთავრდებოდა ქალ-ვაჟის ოჯახების დამოყვრების პროცესი. ნიშნობის დღე წინასწარ იყო შეთანხმებული, განსაზღვრული იყო მოწვეულ სტუმართა რაოდენობა. ნიშნობაში ოჯახის ახლობლები და ნათესავები, ზოგ შემთხვევაში კი სათვისტომოს წევრებიც მონაწილეობდნენ. ქართველ ებრაელთა ოჯახში ძირითადად მიდიოდნენ ქართველი ებრაელები, ხოლო ევროპელ ებრაელებში — ძირითადად აშქენაზები. ფაქტიურად, ნათესავებისა და სათვისტომოს მიერ ნიშნობა იყო ამ ურთიერთობების აღიარება.

ნიშნობაზე სიძეს მიჰქონდა სხვადასხვა საჩუქარი — საყურე, ოქროს ძეწკვი, დასანიშნი ბეჭედი. საჩუქრების რაოდენობა და მრავალფეროვნება დამოკიდებული იყო სასიძოს ოჯახის შესაძლებლობებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ნიშნობის ბეჭედს. იგი წესისამებრ მრგვალი ფორმის, სუფთა ოქრო ან ვერცხლი უნდა ყოფილიყო. მასზე სხვა რაიმე ნიშანი, მათ შორის ძვირფასი თვლები არ უნდა ყოფილიყო. არ შეიძლებოდა სხვისაგან ნათხოვები ან ნაქირავები ბეჭდის მიტანა. თუ ვაჟს სურდა ნიშნობის ცერემონიისათვის გამოეყენებინა საგვარეულო ბეჭედი და ძვირფასეულობა, მაშინ მას ეს ბეჭედი უნდა შეეძინა, ან საჩუქრად მიეღო მფლობელისაგან. ამ ცერემონიალის დროს სიძე დედოფალს თითზე ბეჭედს უკეთებდა და ამბობდა: „ამ ბეჭდით შენ ხდები ჩემი ცოლი, მოსესა და ისრაე-

---

261 დაწვრ. იხ.: *მგელაძე ელ.* შრომის ორგანიზაცია და მმართველობის ფორმები აჭარელთა ოჯახში ძველად.- აჭარის მოსახლეობის ყოფა და კულტურა, თბილისი, 1967; *მისივე,* ზემო აჭარის სოფელი ძველად, ბათუმი, 1973; *მისივე,* ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში.- კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996.

ლის კანონით". აუცილებელი პირობა იყო აგრეთვე „ბეს" – მონეტის გაცელა. ბეს სიცოცხლის ბოლომდე ინახავდნენ. ებრაელთა აზრით, ვერცხლის ფული ბედნიერების მომტანი იყო[262]. ნიშნობისას ვაჟის ოჯახს ქალის მამისეულ სახლში აუცილებლად მიჰქონდა სხვადასხვა ტკბილეული, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი – ფუან ნამცხვარია. მისი რაოდენობა უნდა კენტი ყოფილიყო.

ქორწილი. ნიშნობის ცერემონიის შემდეგ იწყებოდა ქორწილისათვის მზადება. სხვადასხვა ხალხში ქორწილის რიტუალისათვის წელიწადის სხვადასხვა პერიოდი იყო შერჩეული. ქართველ ხალხში ყველაზე სასურველ დროდ ითვლებოდა შემოდგომა – ოქტომბერი და ნოემბერი. სომხეთის მოსახლეობაში ქორწილთა დიდი რაოდენობა პროცენტულად დეკემბერ-იანვარსა და თებერვალზე მოდიოდა. აღმოსავლეთ სლავებში გაზაფხულზე, რუსეთის მოსახლეობაში კი ზამთარში – იანვრის დასასრულსა და თებერვლის დასაწყისში. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხებში დაწინდვისა და ქორწილისათვის ხელსაყრელ დროდ შემოდგომა ითვლებოდა, გამონაკლისს წარმოადგენდნენ მაკედონიის ბულგარელები[263]. საქართველოს ებრაელებში საქორწინო რიტუალი უკავშირდებოდა შემოდგომა-ზამთრის პირს და გაზაფხულს. ქორწილი წლის ამ პერიოდებში, განსაკუთრებით კი შემოდგომაზე, ებრაული კალენდრით ახალი წლის ციკლი ბიბლიური ცნობებითაც დასტურდება. მოსავლის აღების, სუქოთის დღესასწაულზე რთველის მიმდინარეობისა და დამთავრების ზეიმს თან ერთვოდა საქორწილო ცერემონიალი. გაზაფხულზე კი მას ბუნების განახლებას, აღორძინებას, პირველ მოსავალს უკავშირებდნენ. ძველი აღმოსავლური ღვთაებების ქორწინებაც ხომ ამ პერიოდს უკავშირდებოდა[264].

---

262 *ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი*, შემდგენელები: ელგუჯა დადუნაშვილი, სოლომონ ტაბოცაძე, ნინო დოლიძე, თბილის,1999, გვ. 66.

263 *იველაშვილი თ.* საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბილისი, 1999, გვ. 130.

264 *ჩოხელი ს.* საქორწინო პოეზიის ერთი ასპექტისათვის.- ცისკარი, №2, თბილისი, 1986, გვ. 118-119; *ჯინჯიხაშვილი ზ.* პატარძლის წყალთან ზიარება ქართველ ებრაელთა საქორწინო რიტუალში.- მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბილისი, 1987, გვ. 115-118.

ქორწილისათვის აუცილებელი იყო სიძეს დედოფლისათვის შეეძინა სადედოფლო კაბა, ფეხსაცმელი, თავის მსრივ, პაგარძლის ოჯახი ყიდულობდა პერანგს, კოსტიუმს, ფეხსაცმელს და მომავალი სასიძოს ოჯახს გააცნობდა მზითვს. მზითვში შედიოდა: საწოლი – ზეწრით, გადასაფარებლით და სხვა მოწყობილობით; ჭურჭლეულობა, რგოლის ბეჭედი, მაგენ-დავიდი – კულონი, ციციტი, ვერცხლის თასი და სხვა. ახალდაქორწინებულებს ვაჟი რომ შეეძინებოდათ, მისი დალოცვა მზითვში არსებული ვერცხლის თასით ხდებოდა[265]. მზითვის წიგნის შედგენა ქართულ საქორწინო ტრადიციებშიც არის დაფიქსირებული, მაგრამ, ებრაულისაგან განსხვავებით, იგი ორ პირად იწერებოდა. მისი ერთი პირი ქალს მიჰქონდა ქმრის ოჯახში, მეორე კი მშობლებთან რჩებოდა. გათხოვილი ქალის ნაადრევად უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში ქალის მშობლებს ამ მზითვის წიგნის მეშვეობით შეეძლოთ კანონიერად შედავებოდნენ სიძეს და მზითვი უკან დაებრუნებინათ[266]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დედოფალს დაახლოების მიზნით ქორწილამდე შეეძლო მისულიყო საქმროს ოჯახში და ღამეც კი გაეთია. ოღონდ საბედოები წესის მიხედვით ცალ-ცალკე წვებოდნენ. სტუმრად მისულ ქალს აწვენდენ სადედამთილოსთან[267].

მთხრობელთა გადმოცემით, ქორწილის წინა დღეს ებრაელი ქალი განწმენდის რიტუალის ჩასატარებლად „მიკვეში" მიჰყავდათ, რომელიც სინაგოგაში ინახებოდა. მიკვე წვიმის წყლით სავსე აუზი იყო. მასში წყალს წვიმიდან წვიმამდე არ ცვლიდნენ. აუზში სამჯერ ჩაყვინთვის შემდეგ საპატარძლო ტანსაცმელს შეუმშრალებლად იცვამდა. ყოველივე ეს, მათი წარმოდგენით, გამრავლებას, ნაყოფიერებას უკავშირდებოდა. რიტუალის საშუალებით პატარძალი წყლის გამანაყოფიერებელი ძალის თანაზიარი ხდებოდა და შვილიერების უნარს იძენდა. წყლის გამანაყოფიერებელი ძალა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თ. ოჩიაური ერწოში ჩაწერილ მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავდა: „მზის გადახრის

---

265 *ლორია მ.* ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები და აუდიო-ვიზუალური არქივი, 1997-2005.
266 *მაჩაბელი ნ.* დასახ. ნამრომი, გვ. 109.
267 *დემეროვა ლ..* დასახ. ნამრომი, გვ. 23.

ეამს, პატარძალს ხელს მოპკიდებდა მდადე ან ამ სოფლის რძალი (ადგილობრივი ქალი არ შეიძლებოდა), შეიყვანდა მდინარეში და სათანადო ლოცვას წარმოთქვამდა. შემდეგ სამჯერ შემოატრიალებდა და შიგ წყალში ჩააწვენდა. მთხრობლის თქმით, დალოცვის ფორმულა ისეთივე იყო, როგორც ქორწილის დროს: „იხვირეო, იბედნიერეო, ქალიანი და ვაჟიანი იყავიო.“ როდესაც პატარძალი წყლიდან ამოვიდოდა, არ შეიძლებოდა ხატისაკენ პირი მიებრუნებინა, არც ტანისამოსის გაწურვის უფლება ჰქონდა, არც ცეცხლთან მისელისა — ისევე სველს უნდა დაეძინა“[268]. აგრეთვე, სამცხესა და აჭარაში შუა მაფხულში იმართებოდა დიდი ღღესასწაული. ზემო აჭარაში ამ დროს უშვილო ქალები შვილიერების მინიჭების მიზნით ტბის წყალში ბანაობდნენ. ასეთი ძალა მიეწერებოდა ჭინჭაოს ტბას, სადაც გადმოცემით წყლის ხარი ბუდობდა[269]. ქორწილის წინ მდინარეზე გასვლა მთის ებრაელი მამაკაცისთვისაც იყო დამახასიათებელი. თ. სასოკია წერდა: „ქორწილის წინ მომავალი ცოლ-ქმარი მარხულობს, სანამ ნეფე თავს იპარსავს, ასალგაზრდა ყმაწვილები ჯირითს მართავენ, რომელთაც შემდეგ სასიძოც უერთდება, სოფლის ქალები ნეფეს ფქვილს აყრიან, რის შემდეგაც იგი მდინარეზე მიდის. ყმაწვილები საქორწინო ტანისამოსს აცმევენ, უგალობენ დავითის 137 ფსალმუნს და იერუსალიმის გლოვის ნიშნად თავზე ნაცარს აყრიან[270].

რიტუალური განბანვა ებრაელი ქალისთვის აუცილებელი იყო და იგი ამას სხვა შემთხვევებშიც ასრულებდა, მაგალითად, მენსტრუაციის დამთავრებისას. სიმბოლური განწმენდის გარეშე მას ეკრძალებოდა ქმართან ახლოს მისელა და სარეცლის გაზიარება[271].

---

268 *ოჩიაური თ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 164-165.

269 *მაკალათია მ.* მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი).- მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1972, გვ. 61. მდრ. *მამილაძე ვ.* ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბილისი, 1969; *მგელაძე ნ.* ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში.- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VII, თბილისი, 1984; *თანდილავა მ.* წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1996.

270 *სასოკია თ.* კავკასიის ებრაელნი.- ცნობის ფურცელი, № 1783, 1902.

271 *პაპისმედოვი ი.* ნანახი, მოსმენილი, განცდილი, თელ-ავივი, გვ.156.

როგორს ქართულ, ისე ებრაულ ყოფაში დამოწმებული პატარძლის წყალთან ბიარების რიტუალი გარკვეულად უკავშირდება ახლო აღმოსავლეთში მეტ-ნაკლებად გავრცელებულ აბანოს რიტუალს. სპარსული წარმოშობის სიტყვა — აბანო, რომელიც წყლებს ნიშნავს და წყლის ღვთაებასთან, წყლის კულტთან, წყლის დღესასწაულთან არის დაკავშირებული, მოგვიანებით ღებულობს იმ მნიშვნელობას, რომელიც ოდითგან მღინარეებსა და ტბებს ან წყლის მოსაგროვებელ დიდ ჭურჭელს (ნიკბე) მიეწერებოდა[272].

ებრაელები ქორწილისათვის სამშაბათსა და ხუთშაბათს ირჩევდნენ. ქორწილს შეძლებისდაგვარად ქალის ოჯახიც იხდიდა. როგორც ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, აჭარაში ებრაელთა საქორწინო სუფრა ქართულისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. საპატარძლოს სახლში ძირითადად იმლებოდა ე.წ. „ტკბილი სუფრა“, რომლის დალოცვის შემდეგ უნდა შესრულებულიყო ქეთუბის რიტუალი. ქეთუბას კითხულობდა სასულიერო პირი — რაბინი. ეს რიტუალი ტარდებოდა საგანგებოდ გაკეთებულ „ხუფაში“, რაც საქორწინო ქოხს ნიშნავს. ხუფას კონსტრუქცია ასეთი იყო: ხის 4 სვეტს ზემოდან გადაკრული ჰქონდა ფარჩა, კარვის მსგავსად. ხუფას ბიბლიური დროიდან მოყოლებული ჰქონდა საქორწინო სარეცლის ფუნქცია. ქორწილის შემდეგ სიძე-პატარძალს, ანუ „ხათან-ქალას“ აქ უნდა გაეტარებინა პირველი და მომდევნო ღამეები შვიდი დღის განმავლობაში[273]. ხუფას ქვევით დებდნენ დიდ ბალიშს, რომელზეც ხათან-ქალა უნდა ასულიყო. ბალიშზე მდგარ ხათან-ქალას მარჯვნივ ედგა შომპანი — ვაჟის მეჯვარე, ხოლო მარცხნივ დადე — ქალის მეჯვარე. შომპანი და დადე აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ უახლოესი მეგობრები, თანაც დაქორწინებული და ამ ქორწინებით ბედნიერი. მეჯვარისადმი ანალოგიურ მოთხოვნებს ითვალისწინებდა აჭარული ქორწილიც. რაბინი ქეთუბას, ანუ სიძე-დედოფლის ერთმანეთის მიმართ საქორწინო ვალდებულებებს, წაკითხვამდე გაშლიდა. მის ორ კუთხეზე

---

272 *ჯინჯიხამეილი ბ.* პატარძლის წყალთან ბიარება ქართველ ებრაელთა საქორწინო რიტუალში, გვ. 118.

273 *ჯინჯიხამეილი ბ.* ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა (კვების სისტემა), გვ. 130.

ხათან-ქალა ჩაჭიდებდა ხელს, ხოლო მესამე და მეოთხე კუთ-ხეებზე შოშპანი და დადე. რაბინი ქეთუბას ყველას გასაგონად ჯერ ებრაულად, შემდეგ კი ქართულად წაიკითხავდა. ქეთუბას პატარძალი სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.

ქეთუბის რიტუალის დასრულების შემდეგ ხდებოდა ბეჭდე-ბის გაცელა და ღვინის კურთხევა. ნაკურთხ ღვინოს ჯერ სასუ-ლიერო პირი მოსვამდა, შემდეგ ხათან-ქალა, მეჯუარეები, მშობლები და იქ მყოფი ყველა დამსწრე. ცოტაოდენ ღვინოს ჭიქაში ჩატოვებდნენ და იატაკზე დაასხამდნენ, შემდეგ ჭიქას ქაღალდში გაახვევდნენ და სიძე მას იატაკზე დარტყმით ამსხვ-რევდა. საველე მასალებით ირკვევა, რომ ჭიქის დამსხვრევის რიტუალი იყო ხსოვნა, არდავიწყება იერუსალიმის ტაძრის დანგრევისა. ყოველივე ამის შემდეგ იწყებოდა მოლხენა. რო-გორც ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, ებრაელები ქალები-სათვის და კაცებისათვის სუფრას ცალკე შლიდნენ. ცხელი კერ-ძების მიტანამდე სუფრაზე ცივი საუზმე ელაგა - თევზი, მო-ხარშული ქათამი, ხენაგი. ცხელი კერძებიდან ჭარბობდა ყალია, მეავიანი, ბრინჯი კუპატთან, ძეხვთან და ინდაურის ხორცთან ერთად. სასმელებიდან უფრო წითელ ღვინოსა და არაყს ეტანე-ბოდნენ. ქალების სუფრას ქალები ემსახურებოდნენ, კაცებისას კი — მამაკაცები. ქორწილში ნეფე-დედოფალი არაფერს ჭამდა. ამ დღეს ისინი მარხულობდნენ. საქორწინო მარხვის არსი მდ-გომარეობდა შემდეგში: ხათან-ქალას რაიმე შეცოდება თუ ჰქონდა, იგი ამ მარხვით უნდა გამოესყიდა. ზოგიერთი მთხრო-ბელის ცნობით, ამავე მიზეზით მარხულობდნენ მშობლებიც. ქორწილში თამადის მოვალეობას აუცილებლად ვაჟის მეჯვარე შოშპანი ასრულებდა. პირველი საღღეგრძელო მაღალი ღმერ-თის დიდება, მეორე — ხათან-ქალის, მესამე — მშობლების იყო. ებრაულ ქორწილში აკრძალული იყო ფულის დაწერა. ქორ-წილში ებრაულს, ქართულს, მათ შორის განდაგანას ცეკვავ-დნენ.

მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე ეროვნებათშორისი ქორ-წინების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო. ქორწინება ეთნოსში ეთნიკური ელემენტების ჩართვისას გამოდის თვისებ-რივად ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ გზად. ჩვეულებრივ, პირველი თაობა, დასახლებული სხვა ეთნიკურ გარემოში, მთე-ლი ცხოვრების განმავლობაში ინარჩუნებდა წინა ეთნიკურ

კუთვნილებას. მსოლოდ მათი შვილებს და შვილიშვილებს, განსაკუთრებით შერეული ქორწინებიდან შობილთ, ასასიათებდათ ჩქარი და სრული ადაპტაცია[274]. ებრაელებში მიუღებელი იყო შერეული ქორწინებები და მას გამუდმებით ებრძოდნენ. იცხაკ დავიდის თქმით, რომელიმე ქართველ ებრაელს უბრალოდ რომ გაეცლო ქართველთან ერთად, ეს ეცოდინებოდა მთელ ებრაულ თემს და ამის გამო ეს ებრაელი გაილანძღებოდა არა მარტო მშობლების მიერ, არამედ ნაცნობი თუ უცნობი ებრაელის მხრიდანაც[275]. მიუხედავად ამისა, ჩვენს საკვლევ რეგიონში ბიეთნიკური ქორწინების არა ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ამ საკითხის ზუსტად დადგენაში მნიშვნელოვანია საველე ეთნოგრაფიული მასალის და სტატისტიკური მონაცემების შეჯერება. იმის გამო, რომ 1921 წლამდე დაქორწინებულთა, დაბადებულთა და გარდაცვლილთა აღრიცხვას სინაგოგის მსახურნი აწარმოებდნენ, შეუძლებელია დავადგინოთ აღნიშნულ პერიოდამდე შერეული ქორწინებების რაოდენობა, რამეთუ ებრაელისა და არაებრაელის ქორწილი კანონიერად არ ითვლებოდა. და შესაბამისად იგი სინაგოგის ჩანაწერებშიც არ გვხვდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქორწინება სამოქალაქო აქტით ოფიციალურად იქსებოდა აღიარებული, ასეთი ქორწინებით შეუღლებული მამაკაცი რელიგიურად უცოლოდ ითვლებოდა. ბავშის სტატუსი დამოკიდებული იყო დედის ეროვნებაზე. თუ დედა ებრაელი იყო, ბავშვიც ებრაელი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ებრაელისა და არაებრაელის ქორწილი სინაგოგაში არ აღირიცხებოდა. ამის დაფიქსირება დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, როცა შეიქმნა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროები[276]. ამ მიზეზების გამო 1921 წლამდე ნაჩვენებია წმინდა ებრაულ ქორწინებათა რაოდენობა, ხოლო მომდევნო პერიოდში ბიეთნიკური ქორწინებები.

---

[274] *Бромлей Ю. В.* Очерки теории этноса, Москва, с. 204.

[275] *Давид И.* დასახ. ნაშრომი, I, გვ. 580.

[276] *Трофимова А.* Материалы отделов загс о браках как этнографический источник.- СЭ, № 5, Москва, 1965, с. 121; ჯაოშვილი ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 25-26.

სტატისტიკური თვალსაზრისით წმინდა ებრაულ ქორწინებათა თანაფარდობა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

1901 წელს–5; 1902 წელს–9; 1903 წელს–9; 1904 წელს–14; 1905 წელს–8; 1906 წელს–18; 1907 წელს–7; 1908 წელს–16; 1909 წელს–8; 1910 წელს–10; 1911 წელს–11; 1912 წელს–13; 1913 წელს–6; 1914 წელს–6; 1915 წელს–2; 1916 წელს–6; 1917 წელს–8; 1918 წელს–12; 1919 წელს–19; 1920 წელს–35; 1921 წელს სულ–233[277].

1925–2008 წლებში ბიეთნიკური ქორწინებების ზოგადი სურათი აჭარაში მცხოვრებ ებრაელებში შემდეგნაირი იყო: 1925–1930 წლებში: ებრაული–78, შერეული–56; 1930–1935 წლებში: ებრაული–71, შერეული–134; 1935–1940 წლებში: ებრაული–48, შერეული–97; 1940–1945 წლებში: ებრაული–55, შერეული–130; 1945–1950 წლებში: ებრაული–61, შერეული–100; 1950–1955 წლებში: ებრაული–54, შერეული–56; 1955–1960 წლებში: ებრაული–70, შერეული–63; 1960–1965 წლებში: ებრაული–39, შერეული–46; 1965–1970 წლებში: ებრაული–41, შერეული–46; 1970–1975 წლებში: ებრაული–35, შერეული–38; 1975–1980 წლებში: ებრაული–14, შერეული–34; 1980–1985 წლებში: ებრაული–8, შერეული–28; 1985–1990 წლებში: ებრაული–13, შერეული–29; 1990–2008 წლებში: ებრაული–30, შერეული–59. სულ: ებრაული–620, შერეული–915. განქორწინებულთა სტატისტიკა ასეთნა-

---

[277] *აჭარის არ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი:* Еврейская синагога-с1900г до 1910 года; Еврейская синагога- книга записи умерших 1900-05 гг, Арх. №6; Еврейская синагога- книга записи умерших 1906-12 гг, Арх. №7; Еврейская синагога- книга записи умерших 1913-21 гг, Арх. №8; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи родившихся 1901-1911 гг.; Батумская Еврейская синагога – Метрическая книга для записи разводившихся 1901-1911 гг, №13; Батумская Еврейская синагога - Метрическая книга для записи разводившихся 1911-1921 гг, №14; Батумская Еврейская синагога-Алфавит на родившихся евреев, №18; Батумская Еврейская синагога-Алфавит на умершихся евреев, №19; Батумская Еврейская синагога-Алфавит на бракосочетаевшихся евреев, №20.

ირად წარმოეჩინდება: ებრაულ ოჯახებში-165, ბიეთნიკურ ოჯახებში-283[278].

შერეული ქორწინებები ხშირი იყო ევროპელ ებრაელებსა და აჭარაში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, განსაკუთრებით კი — რუსებს შორის. ქართველ ებრაელებში შერეულ ქორწინებათა რაოდენობა შედარებით მცირე იყო. მაჭანკლობის ინსტიტუტი ქართველ ებრაელებს საშუალებას აძლევდა დაკავშირებოდნენ საქართველოს სხვა კუთხეთა ებრაულ სათვისტომოებს, რაც მნიშვნელოვნად მღუდავდა მათში ბიეთნიკური ქორწინების შემთხვევებს. ამას მოკლებულნი იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ებრაელები, თუმცა რუსებთან მათი ქორწინების შედარებით სიჭარბე იმპერიული ასიმილატორული პოლიტიკის პირობებში განსაზღვრული მოტივებით უნდა აიხსნას[279]. ანალოგიური მდგომარეობა იყო ქალაქ ქუთაისში და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ებრაელებშიც[280].

ამრიგად, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო მონაცემებისა და საველე ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერებით გამოიკვეთა, რომ, ზოგადად, ებრაული საქორწინო ტრადიციების საბოლოო იერსახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იუდაიზმმა. ებრაელთა ისტორიული სამშობლოდან იძულებითმა მიგრაციამ და უცხო ეთნიკურ გარემოში ადაპტაციის თავისებურებებმა განაპირობა საქორწინო წეს-ჩვეულებების გარკვეული მოდიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ებრაელთა საქორწინო ტრადიცი-

---

278 *აჭარის არ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივი:* ა)ქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი—1925-68 წლები; ბ)განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი—1925-68 წლები; ბათუმის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილება: ა)ქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი—1968-2008 წლები; ბ) განქორწინების რეგისტრაციის აქტების ჩაწერის წიგნი-1968-2008 წლები.

279 *Лория М.* Биэтнические браки среди Батумских евреев. – IV конгресс этнографов и антропологов России, Москва, 2001, с. 289.

280 *ფუტკარაძე ი.* ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში, ბათუმი, 1998, გვ. 51-53; *აბესაძე ნ.* ეთნიკური პროცესები ქ. ქუთაისში.- ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი ,II, თბილისი, 2000, გვ. 27.

ებში შეინიშნება ქართული გარემოს გავლენა, მათ აშქენაზი ებრაელებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად შესძლეს საქორწინო წეს-ჩვეულებათა თავდაპირველი იერსახის შენარჩუნება და მაჭანკლობის ინსტიტუტის როლის გაფართოებით ბიეთნიკური ქორწინებისაგან დამცავი მოდელის შემუშავება.

მიცვალებულის კულტი. საქართველოს ებრაელებში თორა და მოსეს კანონები განსაზღვრავდა მათი ცხოვრების წესსა და ეროვნულ ხასიათს. იუდაიზმის გავლენა ღრმად ეტყობა ებრაელთა საზოგადოებრივ აზრს და კულტურის თითქმის ყველა სფეროს. განსაკუთრებით მიცვალებულის დატირება-დაკრძალვისა და გლოვის – აბელობის რიტუალს. ნაშრომის აღნიშნული მონაკვეთის მიზანს სწორედ ამ თავისებურებების ზუსტად და თანმიმდევრულად განხილვა წარმოადგენს.

გარდაცვალების წინ, ვიდრე მომაკვდავს ლაპარაკი შეეძლო, მასთან მიდიოდა სასულიერო პირი – რაბინი ან ხახამი, რომელსაც აჭარაში სპეციალურად ქუთაისიდან იწვევდნენ. ავამდყოფს ანდერძის სახით რაიმეს დაბარება - ნედერი თუ დარჩებოდა შესასრულებელი, მაშინ მას რელიგიური პირების თანდასწრებით შენდობას – ალალას ეტყოდნენ. მომაკვდავი სიკვდილის წინ იტყოდა ლოცვას – ვიდუის. რომლის დროსაც იგი აღიარებდა სიცოცხლეში ჩადენილ ცოდვებს და ღმერთს შესთხოვდა პატიებას. ამის შემდეგ, ხალსური წარმოდგენით, ღმერთი გარდაცვლილს ყველაფერს შეუნდობდა. ავადმყოფი ისე თუ წავიდოდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერ მოახერხებდა ცოდვების მონანიებას, მაშინ ვიდ'უის სასულიერო პირი ათქმევინებდა გარდაცვლილის ცოლ-შვილს ან პირიქით – ქმარ-შვილს. აღნიშნული წესი საერთოა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მცხოვრები ებრაელებისათვის[281]. ისლამის მიხედვითაც აჭარაში სულთმობრძავ ადამიანს იაასინის საკითხავად სასულიერო პირს ხოჯას მიუყვანდნენ. უხოჯოდ და ყ'ურანის უკითხავად სიკვდილი ცოდვად ითვლებოდა[282].

---

281 *თაედიშვილი რ.*, დასახ. ნაშრომი, გვ. 68; შომიაშვილი ქ. მიცვალებულის დატირება-დაკრძალვის რიტუალი ქართველ ებრაელებში (რაჭის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბილისი, 1996, გვ. 55-56.

282 *მგელაძე ნ.* მიცვალებულის კულტი და სამგლოვიარო რიტუალი აჭარაში.- ბათუმის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ მცნიერებათა სერია, IV, ბათუმი, გვ. 243.

საველე მასალების მიხედვით, გარდაცვალების წინ – სულის მიცემისას მომაკვდავთან ყოფნა უმაღლესი პატივისცემის გამოხატულებად ითვლებოდა და ამიტომაც მასთან ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები სიცოცხლის ბოლო წუთებამდე რჩებოდნენ.

როცა დარწმუნდებოდნენ ადამიანის გარდაცვალებაში, აღებდნენ ფანჯრებს. ამ დროს მიცვალებულის თვალები და პირი მის შვილებს ან მეგობრებს უნდა დაეხურა. მიცვალებულს დაუფარავდნენ სახეს თეთრი ქსოვილით და საწოლზე ნახევარი საათით ასე დატოვებდნენ, ტანსაცმლის გახდის შემდეგ სახიდან ფეხებამდე დააფარებდნენ საფარს და კარების საპირისპიროდ ფეხებით გასასვლელისაკენ ტახტზე დააწვენდნენ. მას უსწორებდნენ სხეულს, ხელებს, ფეხებს. მისი სხეულის ირგვლივ ანთებდნენ სანთლებს. გვამს იცავდნენ გარდაცვალებიდან დასაფლავებამდე, დგებოდნენ მის ირგვლივ და კითხულობდნენ „ტეგილიმს“, რითაც გამოხატავდნენ მიცვალებულისადმი პატივისცემასა და დაფასებას. ადამიანის გარდაცვალების შემდგომ ებრაელებში მიღებული იყო მის სახლში დარჩენილი ყველა ჭურჭლიდან წყლის გადასხმა.

საერთოდ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ებრაელებში რეგიონების მიხედვით მეტნაკლებლად მცირეოდენი განსხვავება შეინიშნებოდა, მაგრამ მთლიანობაში დაკრძალვისა და გლოვის წესები ერთნაირი იყო, ამ მხრივ არც აჭარის ებრაელობა გამოირჩეოდა. მიცვალებულის გაპატიოსნებასა და დაკრძალვაში არა მხოლოდ ნათესავ-ახლობლები, არამედ მთელი სათვისტომო იღებდა მონაწილეობას.

ჭირისუფალი, ვისაც მიცვალებულის დატირება ევალებოდა, სრულ აბელობას (გლოვას) იწყებდა მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ. გარდაცვალებიდან დასაფლავებამდე მას ონენი - მძიმედ დამწუხრებული ერქვა. ამ პერიოდში იგი ვალდებული იყო ეზრუნა მიცვალებულის დაკრძალვაზე. ეკრძალებოდა ხორცის ჭამა, ღვინის დალევა, დაბანა, გაპარსვა, სალმის მიცემა, მოლხენა და მსიარულება.

ებრაელი მამაკაცები გლოვის ნიშნად წვერს უშვებდნენ. როგორც ჩანს, ქრისტიანული გარემოს გავლენით, XX საუკუნიდან ებრაელებში ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა გლოვის ნიშნად შავმა ფერმა და მიცვალებულის გვერდით შავჩარჩოიანი სურა-

თის დადებამ. იგი დაკრძალვის დროს ხელით გაჰქონდათ. ზოგ შემთხვევაში გასვენებაში მონაწილეები ტანსაცმელზე გარდაცვლილის სურათს იკეთებდნენ[283]. აჭარაში გარდაცვლილის სურათის ტარება დამახასიათებელი იყო მხოლოდ ქართველი ებრაელებისათვის. მამაკაცებში გლოვის ნიშნად ტრადიციის მისედეით მიღებული იყო საყელოს ჩაჭრა. ამ რიტუალს აშქენაზური სათვისტომო დასაფლავების წინ, ხოლო ქართველი ებრაელები სასაფლაოზე, ქელეხამდე ასრულებდნენ. იგივე წესი დამახასიათებელი იყო აგრეთვე მთის ებრაელებისთვისაც[284]. გლოვის ნიშნად ებრაელი ქალებიც მკერდთან საყელოს მოირღვევედნენ, რომელსაც აბელობის შემდეგ ამოკერავდნენ.

ქრისტიანობის გავლენით ებრაელებში დასტურდება მიცვალებულის პატივსაცემად ყვავილების მიტანის წესი. ძველ პერიოდში მგლოვიარე ებრაელის ოჯახში ყვავილები დასაფლავების დღეს მიჰქონდათ. იგი სხეულის სუნის განეიტრალების მიზნით გამოიყენებოდა[285]. ამ მხრივ გარკვეული ანალოგიები შეინიშნება მაჰმადიანური დაკრძალვის რიტუალშიც. მთხრობელთა გადმოცემით, უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ყვავილების ნაცვლად მიცვალებულის ხსოვნისადმი დაფასება გამოხატულიყო სინაგოგაში და საავადმყოფოში გაღებული შესაწირავით, თუმცა, თუ რომელიმე ჭირისუფალი ყვავილებს გამოგზავნიდა, მაშინ დაცული უნდა ყოფილიყო შემდეგი პირობები:

1. ყვავილები შეიძლებოდა დადებულიყო საფლავის კიდეში, მაგრამ მხოლოდ დასაფლავების შემდეგ.

2. იმ შემთხვევაში, თუ ყვავილის მიმტანის ემოციური მდგომარეობა დაძაბული იყო და იგი ჭირისუფლის მხრიდან ყვავილებზე უარის თქმას მეურაცხყოფად აღიქვამდა, მაშინ ოჯახი ყვავილს მიიღებდა, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებში ისტორიულად ყვავილის მიტანის წესს ადგილი არ ჰქონდა.

აშქენაზი ებრაელებისაგან განსხვავებით, ქართველ ებრაელებში აუცილებელი იყო, გარდაცვლილი ახლობელ ქალს (ცოლს, დედას, და...) ხმით დაეტირა. ცუდად ანუ უხმოდ დატირება ქართველი ებრაელის ქერიეისათვის დიდ სირცხვილადაც

---

283 *მაგალ-მალალამეილი*, დასახ. ნამრომი, გვ. 85.
284 *სახოკია თ.* კავკასიის ებრაელნი.- ცნობის ფურცელი, № 1783, 1902.
285 *Китов Э.* Ты и твой дом, Иерусалим, 1985, С. 35.

ითელებოდა. მას მეგობელ-ახლობები, სათეისტომოს წევრები გაკიცხავდნენ და დასცინებდნენ.

ებრაელებში წესად იყო მიღებული მიცვალებულის განბანვა. ამ პროცესს მიცვალებული მამაკაცის მიმართ მამაკაცები ასრულებდნენ, ქალის მიმართ კი – ქალები. მთსრობელთა გადმოცემით, არ იყო მიღებული, რომ ეს რიტუალი ქართველ ებრაელებში აშქენაზს ჩაეტარებინა, ხოლო აშქენაზებში – ქართველ ებრაელს.

ებრაელებში მკაცრად იყო განსაზღვრული დასაფლავების დრო. ამასთან დაკავშირებით თ. კანდელაკი 1875 წელს წერდა: „ურიებს ჩვეულებათ აქვთ კანონი, რომ ვინც მზის ამოსვლამდის მოკვდება, მზის ჩასვლამდინ უნდა დამარხონ და ვინც მზის ჩასვლისას, უთუოდ მზის ამოსვლამდინ. ასე რომ ზოგჯერ გაუციებელ მკვდარსაც ჩაუძახებენ თურმე სამარეში“.[286] იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები სრული შემადგენლობით ვერ ახერხებდნენ დაკრძალვაზე დასწრებას – ლევაის[287], მაშინ ნებადართული იყო დაკრძალვის გადადება. ოჯახი ქორწილისათვის თუ ემზადებოდა და ოჯახის წევრი გარდაეცვლებოდა, მაშინ ქორწილს გადადებდნენ, ხოლო თუ ბავშვი იყო მოსანათლი და მას მერვე დღე უწევდა, ამ შემთხვევაში ბავშვს მონათლავდნენ, ხოლო თუ მერვე დღე არ უწევდა, მაშინ ნათლობას გადადებდნენ.

მიცვალებულის გამოსვენების წინ სახლის კარებს მიხურავდნენ, კუბოს სამჯერ მიარტყამდნენ ფეხს და იტყოდნენ: „მძიმე იქნეს შენი ფეხი“. დაკრძალვას მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ, მგლოვიარე ქალს ეკრძალებოდა სასაფლაომდე გაყოლა.

დაკრძალვის დღეს მიცვალებული სასაფლაომდე კუბოთი მიჰყავდათ, ისე, რომ ფეხები წინ ჰქონოდა. მიცვალებულს კუბოთი არ ასაფლავებდნენ. კუბო ებრაელებისათვის საერთო იყო და იგი, როგორც წესი, სინაგოგაში ინახებოდა. საქართველოში, მათ შორის, აჭარაში მცხოვრებ ებრაელებში კუბო

---

286 დასაფლავების დროსთან დაკავშირებული იგივე წესი დამახასიათებელია აღმოსავლეთის ბევრი ხალხისათვის - *Пашаева Л.* Погребальные традиции курдов.- კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, VII, თბილისი, 2003, გვ. 194; *კანდელაკი თ.* ნარევი.-დროება, №80.

287 მიცვალებულის გაცილება და დასაფლავება.

ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ქართველებისაგან იყო შეთვისებული. ერეც ისრაელში წესისამებრ გარდაცვლილს კუბოთი კი არ ასვენებდნენ, არამედ ორხელათი[288].

ებრაელებში უძველესი პერიოდიდან წესადაა მიღებული მიცვალებულის თეთრი სუდარით დასაფლავება. სუდარას სიცოცხლეშივე იკერავდნენ, მაგრამ სუდარა თუ ოჯახს წინასწარ არ ექნებოდა მომზადებული, მაშინ მიცვალებულის შინაურები ყიდულობდნენ თეთრ ტილოს ან სუფთა ქსოვილს სუდარისათვის[289]. იგივე წესი დამახასიათებელია მაჰმადიანური დაკრძალვის რიტუალისთვისაც. შარიათი ითხოვს, რომ მუსლიმმა სიცოცხლეშივე იზრუნოს გარდაცვალებისათვის, კერძოდ – მოიმზადოს სუდარა და ასე შემდეგ[290].

ებრაელთა რწმენით მეორედ მოსვლისას ყველა მიცვალებული ცოცხლდება და იმისათვის, რომ გარდაცვლილს გაეხსენებინა საკუთარი სახელი, საფლავში მას ჩააგანდნენ ვერცხლის ბეჭედს, რომელზეც მისი სახელი და გვარი იყო აღნიშნული. წარწერა აუცილებლად ებრაულ ენაზე უნდა ყოფილიყო შესრულებული[291]. გარდაცვლილ ქალს ბეჭედთან ერთად ქეთუბასაც აგანდნენ, რის შემდგომ მამაკაცი თავისუფლდებოდა ქორწინების დროს დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

ებრაელებში ყურადღებას იქცევს საფლავზე დგომის ტრადიცია. ამქვენაზებში მიღებული იყო კადიშის[292] კითხვის შემდეგ სასაფლაოდან 4 ამოტით[293] უკან დახევა და ორ პარალელურ რიგად ერთმანეთის პირისპირ დადგომა, მაგრამ ისე, რომ ყოველ რიგში 5 კაცზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. აბელი, ანუ მგლოვიარე იხდიდა ფეხსაცმელს და გაიელიდა რიგებს შორის. ამ დროს მას თანაუგრძნობდნენ. შემდეგ აბელი ფეხსაცმელში ცოტა მიწას ჩაყრიდა და ისე იცვამდა. ქართველ ებრაელებში

---

288 ბაწრებით შეერთებული ორი ხის ჯოხი.

289 *თაედიშვილი რ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

290 *მგელაძე ნ.* მიცვალებულის კულტი და სამგლოვიარო რიტუალი აჭარაში, გვ. 243.

291 *მოშიაშვილი ქ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 55-56.

292 მოსახსენებელი ლოცვა. კადიშს კითხულობენ დაკრძალვის დღიდან თერთმეტი თვის განმავლობაში - *ებრაული ცხოვრების კალენდარი*, რედაქტორი მალეა წიწუაშვილი, თბილისი, 1996, გვ. 29.

293 2 მეტრი.

ეს რიტუალი (იგულისხმება ორ რიგად დგომა) არაა მიღებული. ისინი ქართველთა მსგავსად გაფანტულად დგებიან.

სასაფლაოდან მამაკაცები სინაგოგაში ბრუნდებოდნენ, ხელს დაიბანდნენ და მიდიოდნენ განსვენებულის ოჯახში ან სარიტუალო დარბაზში. ამ დროს ახლობლების წინასწარი დაპატიჟება არ იცოდნენ, ქელეხის სუფრა სპეციალური კერძებით გამოირჩეოდა. სუფრაზე გაჰქონდათ ძირითადად პური, ლობიო, მოხარშული კვერცხი, მწვანილი და ხილი, სასმელებიდან კი არაყი[294]. მგლოვიარეებისათვის ცალკე იშლებოდა სუფრა ოთახის ან დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში, მისი შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორიც მთელი სუფრისა[295]. როგორც წესი, ქელეხზე შეისმებოდა რამდენიმე სადღეგრძელო: მიცვალებულის შესანდობარი, ოჯახის დანაკარგის კმარობა, ოჯახის მომავალი კეთილდღეობისა და მშვიდობის სადღეგრძელოები. ქართველებისაგან განსხვავებით, მათ სუფრაზე ხელმძღვანელის არჩევა არ იცოდნენ. ამ სუფრის დიდხანს გაჭიანურებაც არ შეიძლებოდა.

აბელობის წესები. გარდაცვლილის დასაფლავების შემდეგ ოჯახში იწყებოდა აბელობის სამი პერიოდი: შვიდი – შივა, ოცდაათი – შლოშიმ, წლისთავი[296] – აველუტ[297].

ებრაელი სავალდებულო წესის მიხედვით შვიდ ახლობელს გლოვობდა: მამას, დედას, ვაჟიშვილს, ქალიშვილს, ძმას, დას, ცოლს ან ქმარს[298]. ოჯახის წევრები შავი ფერის სამგლოვიარო ტანსაცმელს თერთმეტ თვემდე, ხოლო შორეული ნათესავები – ოცდაათ დღემდე აგარებდნენ. წლისთავის შემდეგ შეიძლებოდა ლხინი და ქორწილი. მიცვალებულის ტანსაცმელს ურიგებენდნენ ღარიბებს, გარდაცვლილის სულის კეთილად მოსახსენებლად.

აბელობის სამივე პერიოდისათვის აუცილებელი იყო სამგლოვიარო სუფრის გაშლა, სადაც ნათესავ-ახლობლები იკრიბებოდნენ. აღნიშნულ სუფრაზე უკვე ჩნდებოდა, როგორც სა-

---

294 ებრელები ღვინით მსოლოდ „კიდუშს“ აკურთხებენ.

295 *ჯინჯიხაშვილი ბ.* ქართველი ებრაელების ყოფა და კულტურა, გვ. 133.

296 ებრაელებთან წლისთავი თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ აღინიშნებოდა.

297 ის.: *Законы еврейской жизни*. Введение примечания проф. Г. Брановера и М. Левина, Иерусалим, 1991; *Долг живых. Еврейская традиция похорон и траура*, Составитель и редактор П. Полонский, Китроская, Иерусалим, Москва, 1994

298 *Залер И.* დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ქონლის, ისე ქათმის ხორცისაგან მომზადებული კერძები, მოხარშული თევზი და ღვინო. სამგლოვიარო რიტუალურ სუფრას წინ უსწრებდა სასაფლაოზე გასვლა და კადიშის კითხვა. მიცვალებულის დღეა შვიდფერობა, რომელიც აღინიშნებოდა ადრე გაბაფხულზე ფესახის[299] დღესასწაულის წინა შაბათს. აქ ხარშაედნენ შვიდი სახეობის მარცვალს და ამბობდნენ: „როგორც ეს არის მატებიანი, ისე იმატოს ჩვენმა ოჯახმაო". მიცვალებულის სულის დღედ აგრეთვე ითვლება სიონის ტირილი. იგი მოგონებაა იმ დღეებისა, როდესაც ნაბუქოდონოსორმა ომი დაიწყო იუდეას სამეფოსთან[300].

ებრაელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საფლავის ძეგლებს და საფლავზე გასვლა აღინიშნებოდა სათანადო წეს-ჩვეულებებით. დიასპორის ხუროთმოძღვრება განსაკუთრებული ფენომენი იყო – როცა ვეღარ აშენებ ქალაქს, როცა დიდ არქიტექტურაში ვერ იხარჯება ეროვნული ენერგია, იგი მეღავნდება მცირე ფორმაში. სასაფლაო მცირე არქიტექტურული ფორმა იყო და იგი დიასპორის ხუროთმოძღვრების ნეკროპოლისს წარმოადგენდა. სასაფლაო ებრაულ წყაროებში სხვადასხვანაირად მოიხსენიებოდა. ბეთ-კვაროთ[301], ბეთ-ყოლამ//ბეთ-ყალმინ[302], ბეთ-ხაიმ[303]. არაებრაულ წყაროებში სასაფლაოს ებრაული ბაღი, ებრაული მთა, ქვიშის ეზო ეწოდებოდა[304].

საქართველოს ებრაელთა ტრადიციისამებრ, აჭარაშიც, ებრაელთა სასაფლაო ქალაქგარეთ, კერძოდ სოფელ ფერიაში მდებარეობს. მიცვალებულები დაკრძალულია სახით იერუსალიმისაკენ. არ გვხვდება მიცვალებულთა სხვადასხვა ნიშნით დი-

---

299 ქართველ ებრაელთა ყოფაში დადასტურებულ რელიგიურ, ხალხურ თუ ისტორიულ დღესასწაულებს შორის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფესახის ანუ პასექის დღესასწაულს, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის გაბაფხულზე. ებრაული კალენდრის მისედვით ის იწყება 14 ნისანს (აპრილს) და გრძელდება 21-მდე - *ჯინჯიხაშვილი ბ.* ფესახის (პასექის) დღესასწაული ქართველ ებრაელებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).- ქართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა, თბილისი, 1987, გვ. 125.

300 *შომიაშვილი ქ.* დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

301 დაკრძალვის სახლი.

302 მარადიული სახლი.

303 სიცოცხლის ან ცხოვრების სახლი.

304 *ბოსტანაშვილი ბ.* ებრაული სალოცავებისა და სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში.- ხელოვნება, №1-2, 1991, გვ. 54.

ფერენციაცია, არაა გამოყოფილი ცალკე რიგი დამნაშავეთათვის და თვითმკელელებისათვის.

ებრაული წესით საკალდებულო იყო საფლავზე ქვის დადება, რათა აღინიშნული ყოფილიყო დასაფლაველების ადგილი. ცალკეული სათვისტომოს ტრადიციით, წლისთავზე მიღებული იყო საფლავის ძეგლის აგება. ქართველი ებრაელები ძირითადად საფლავზე ქვას დებდნენ შვიდის შემდეგ, ოცდაათი დღის ფარგლებში. ებრაელებში არ იყო მიღებული ფულის დახარჯვა გაღაჭარბებული მდიდრული საფლავის მშენებლობის მიზნით. ჭირისუფალი ძველი ქვის ახლით შეცვლას თუ გადაწყვეტდა, მაშინ ძველ ქვას ადგილზე დამარხავდნენ და საფლავს ახალ ქვას ზემოდან დააგებდნენ. არ შეიძლებოდა სხვა მიცვალებულისათვის ან სხვა მიზნით პირველი ქვის გამოყენება. იკრძალებოდა საფლავის ქვაზე ჩამოჯდომა ან დაყრდნობა, რადგანაც რესპონდენტთა თქმით, ყოველივე, რაც მიცვალებულის საჭიროებისათვის გაკეთდა, მასვე უნდა დარჩეს და არ შეიძლება მისი სარგებლობა სხვა მიზნით. აკრძალული იყო გატეხილი საფლავის ქვის გაყიდვაც. არ შეიძლებოდა საფლავის მასლობლად ორ მეტრში ერთმანეთისთვის სალმის მიცემა. ასევე, საფლავზე ჭამა-სმა, არაწესიერი მოქცევა, რადგან მიაჩნდათ, რომ ამით აბუჩად იგდებდნენ მიცვალებულებს. საფლავის ქვაზე ამოკეეთილი იყო მიცვალებულის სასელი და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა — დედის სახელი, დაბადებისა და გარდაცვალების (ებრაული კალენდრით) თარიღები, უძველესი ლაპიდარული წარწერები, ტრადიციული ტექსტები. სასაფლაოზე მისვლისას, მაგალითად, ოცდამეათე დღეს და წლისთავზე, ჭირისუფლები და ახლობლები იყვნენ სერიოზულები და მოკრძალებულები. საფლავის დატოვებისას ებრაელები საფლავის ქვას ხელს გადაუსვამდნენ და საფლავზე პატარა ქვას ან მიწის გოროხს ტოვებდნენ. რა გზით ან რომელი მსარიდანაც მიდიოდნენ სასაფლაოზე, უკან დაბრუნებისას იმავე გზით არ დაბრუნდებოდნენ. სასაფლაოს დატოვებისას ხელს სამჯერ დაიბანდნენ[305].

რა თქმა უნდა, ებრაულ სასაფლაოზე ეხვდებით ამ წესებისაგან გადახრებსაც. საფლავის ქვების ნაწილს არა აქვს ებრაული წარწერა, აგრეთვე ეხვდება ებრაულ-რუსული ან ქარ-

---

305 *ლორია მ.* ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები და აუდიო-ვიზუალური არქივი, 1997-2005.

თულ-ებრაული წარწერებიც. ზოგიერთ საფლავს
ადევს, ან კიდევ ქანდაკებაა აღმართული, შეინი
ნული ელემენტები და სხვა. ებრაულ სასაფლაო
ქის, რეგიონის, მატერიალური შესაძლებლობები
შეხედულებების გავლენა. მაგრამ საქართველ
კუთხის ებრაულ სასაფლაოთა მსგავსად, მათ ში
ღაც უფრო დიდი გამაერთიანებელი ძალა: ებრ
ებრაული რიტუალური საგნები და სიმბოლოები
გენ-დავიდი, შოფარი, ლულაბი და სხვა[306].

ებრაული გლოვისა და დაკრძალვის რიტუ
თოდ, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ
ჩვეულებათა ციკლი მრავალსაფეხურიანი იყო დ
რად შეინიშნებოდა ეროვნული, იუდაისტური რეა
ნა. საფლავის ძეგლების არქიტექტურაში დედის
საცია კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რ
როლი და ადგილი ებრაელთა საოჯახო ყოფაში
ვია ის ფაქტიც, რომ ებრაული გლოვის რიტუალ
თელმა ლექსიც კი მიუძღვნა: „ურიული მოთქმი
ქართველოში", სადაც იგი აღნიშნავდა:

„შესვდები მოსეს, აარონს
ილიას, ელისესაო,
უთხარი: არ ვსტეხთ „ძველაღთქმას,
რაც სჯულმა დაგვიწესაო...."

ამდენად, ებრაული სამგლოვიარო რიტუალი
ებში თანხვდება წმინდა ებრაულ მოთხოვნებს
მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტები: შაევების ჩაცმ
მოსვენება, ყვავილების მიტანა და სხვა, მათ ქ
ლეობასთან ხანგრძლიეი თანაცხოვრების პირო
სეს.

---

306 ბოსტანაშვილი შ. დასახ. ნაშრომი, გვ. 60; მესხიშვი
უბანი ახალციხეში.- მესხეთი (საისტორიო კრებული)
გვ. 72.

თავი მეოთხე
სიონისტური მოძრაობა და ალია ერეც ისრაელს

სიონიზმი არის ებრაელი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ტერმინი წარმოდგება იერუსალიმთან არსებული სიონის მთის სახელწოდების მიხედვით. იგი არის ტრადიციული სინონიმი იერუსალიმისა და ებრაული ქვეყნისა. სიონიზმის მთავარი მიზანი იყო ყველა ებრაელის გადასახლება თავის ისტორიულ სამშობლოში, მათი სამუდამო მიჯაჭვა ისრაელის მიწაზე და ებრაული სახელმწიფოს შექმნა. ებრაულ დიასპორაში ეს პრობლემა ყოველთვის განიხილებოდა საუკუნეების განმავლობაში. სიონისტთა პირველი კონგრესი მოწვეული იქნა თეოდორ ჰერცელის მიერ 1897 წელს შვეიცარიაში, კერძოდ, ქალაქ ბაზელში[307]. კონფერენციაზე იმსჯელეს სიონიზმის მნიშვნელობაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ებრაელთათვის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული პრობლემების გაადვილებას, ებრაული სახელმწიფოს შექმნას პალესტინაში, რათა ებრაელები დაცული ყოფილიყვნენ სხვადასხვა საფრთხისაგან. თეოდორ ჰერცელის დღიურში იმ დღეს გაჩნდა ბრძნული ჩანაწერი: „ბაზელში მე დავაარსე ებრაული სახელმწიფო, ეს, რომ ითქვას ყველას გასაგონად, გამოიწვევს მხოლოდ სიცილს. მაგრამ 5 წლის შემდეგ და ალბათ 50 წლის შემდეგ ყველა დაინახავს, რომ მე ვიყავი მართალი", – და მართლაც, 50 წლისა და 9 თვის შემდეგ გამოცხადდა ისრაელის დამოუკიდებლობა[308].

გაზეთი „ივერია" წერდა: „უკიდურესმა ანტისემიტიზმმა როგორც დასავლეთ ევროპაში, აგრეთვე აღმოსავლეთშიაც, ააღორძინა წინააღმდეგი მიმართულება სიონიზმი... ებრაელი ერი, ყოველი კუთხიდან დევნილი... ბოლოს თავის თავს ჰპატრონობს, სხვისი დახმარების იმედი ეკარგვის და თავის ძალას

---

307 *Сионизм в контексте истории.*- Хрестоматия по истории сионизма с предисловием Артура Херцберга, книга 1, Иерусалим, 1993, С.29.

308 *Жудро А.* Теодор Герцель: он основал сионизм. – Эхо Планеты, №49, Москва, 1997, с. 25.

აგროვებს, რომ მათ მტერს გაუმკლავდეს"[309]. ებრაელთა საადარაჯოზე იდგა ქართული პროგრესული ინტელიგენციაც და თუ მათ რაიმე საფრთხე შეექმნებოდათ, განგაშის ზარებს რეკდნენ: „ახლავე უნდა გააფრთხილოს ადმინისტრაციამ ქუთათურები, რომ კანონი ქრისტიანსა და ებრაელთათვის ერთია, რომ იმათ შეურაცხყოფისათვის.... სასტიკად დაისჯება ყველა, ვისაც კი დაუმტკიცდება"[310]. ანტისემიტიზმის იდეის დასაგმობად 1914 წელს ბათუმში დაიდგა ანრი ბერენშტეინის პიესა: „6 იანვარს ქართული დასი აპირებს წარმოადგინოს ეს პიესა და ამიტომ ურიგოთ არ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვუძღვნათ მას, „ურიის სისხლში" ბერენშტეინი საფრანგეთის დღევანდელ ანტისემიტიზმს, ებრაელთა მოძულობის მიზეზებს უტრიალებს გარს"[311].

ბათუმში პირველი სიონისტური წრე იქმნება 1898 წელს, მის ხელმძღვანელად არჩეული იყო დოქტორი დ. კუზიატინი, მდივნებად ე. ზაკი და ი. ლეიხტერი, რომელიც 1901 წელს თბილისში ჩატარებული კავკასიელი სიონისტების პირველი სხდომის დელეგატი და მდივანი იყო[312].

1900 წლიდან ბათუმში პარალელურად ფუნქციონირებას იწყებს ახალგაზრდა სიონისტების წრე ბნვი ციონი, დამფუძნებელი და თავმჯდომარე ი. ბუხბინდერი, თანათავმჯდომარე ბ. იაბლონკოვი, მდივანი ა. ბატკოვიჩი. აღნიშნულმა ორგანიზაციამ იარსება მცირე ხანს[313].

მეფის რუსეთის ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა ამგვარი წრეებისა თუ ორგანიზაციების შექმნას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იგზავნებოდა გენერალ-გუბერნატორისადმი, ქალაქის მართველისადმი, პოლიციის უფროსისადმი მმიმართული მრავალი ცირკულარი-მითითებანი, იმპერიის სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში. აღნიშნულ მითითებებში ფიქსირდებოდა თხოვნა ან უფრო ზუსტად მოთხოვნა — მათთვის უმოკლეს ვადებში წარედგინათ მაქსიმალური ინფორმაცია ადგილობრივი სიონისტური ორგანზაციების და მათი საქმიანობის შესახებ,

---

309 *იევრია*, №260, 1904.
310 *დროება*, № 129, 1882.
311 *ბათუმის გაზეთი*, №2, 1914.
312 *ცენტრალური სიონისტური არქივი*, ფონდი A – 24\15\1, საქმე № 96.
313 *ცენტრალური სიონისტური არქივი*, ფონდი A – 24\12\3, საქმე № 267.

რამეთუ სიონისტების საქმიანობა ხელს უწყობდა ებრაულ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა ცარიზმის პოლიტიკასთან. 1903 წლის 24 ივნისის ცირკულარში აღნიშნულია, რომ სიონისტური მოძრაობის მიმდევრები „წარმართავენ საკუთარ საქმიანობას ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის... რაც ხელს უშლის ებრაელთა ასიმილაციას. ყოველივე ეწინააღმდეგება რუსული სახელმწიფოებრივი იდეის საწყისებს და არ შეიძლება იყოს მოთმენილი". შემდეგ მოდიოდა დეტალური მითითებები, რომ „სიონიზმის იდეების პროპაგანდა ხალხმრავალ ადგილებში და საზოგადოებრივი ხასიათის შეკრებებზე უნდა აიკრძალოს"[314]. ამ მიზნით აუცილებელი იყო დაეკავებინათ სიონისტი აგიტატორები — ე.წ. „მაგიდები", რომლებიც მოგზაურობდნენ იმპერიის სხვადასხვა ქალაქსა და კუთხეში. ებრაული ენისა და ეროვნული ისტორიის სწავლება განიხილებოდა როგორც საფრთხე. „აუცილებელია ასევე დაკვირვება ახალ და უკვე მოქმედ სიონისტურ სკოლებზე, სამკითხველოებზე, შაბათის სკოლებზე, სადაც შეისწავლება ძველებრაული ენა, ებრაელთა ისტორია[315]... აჭარის სახელმწიფო არქივში დაცულია ცირკულარი № 1345, რომელიც მიმართულია ქალაქ ბათუმის პოლიცმეისტერსადმი. „სიონიზმის მიმდევრები აპირებენ შეხვედრა მოაწყონ იმპერიის ერთ-ერთ ქალაქში... შემოდგომაზე დაგეგმილი მსოფლიო სიონისტური კონგრესისათვის მომზადების მიზნით[316]. ამის გამო გთავაზობთ თქვენს უმაღლეს უდიდებულესობას მიიღოთ... ზომები მასზედ, რომ სიონისტების ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდეს თქვენდამი რწმუნებულ ქალაქში"[317]. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ცირკულარები დაეგ-

---

[314] *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-1, აღწ. 1, საქმე № 53, გვ. 5.

[315] *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-1, აღწ. 1, საქმე № 53, გვ. 5-6.

[316] *იგულისხმება სიონისტთა მეექვსე მსოფლიო კონგრესი,* რომელიც 1903 წლის 23-28 აგვისტოს ჩატარდა ბაზელში.

[317] *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-1, აღწ. 1, საქმე № 53, გვ. 2.

ზაენა რუსეთის ყველა ქალაქს, რომლებშიც არსებობდა ებრაული სათვისტომო და სიონისტური ორგანიზაციები[318].

1905 წელს მოვლენების შემდეგ, ქალაქის მეთაურებსა და გუბერნატორებს დაეგზავნათ მითითებები, რათა მიეღოთ გადამჭრელი ზომები „...ყველა რევოლუციური თუ ოპოზიციური პარტიების მიმართ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს 1904-05 წლების მოვლენებთან[319]...". მათ რიცხვში, რა თქმა უნდა, შედიოდნენ სიონისტებიც.

1910-იან წლებში ბათუმში იქმნება ებრაული ეროვნული საბჭო, რომლმაც გააერთიანა ყველა ებრაული პარტიისა და სათვისტომოს წარმომადგენელი. სიონისტების საქმიანობამ ყველაზე დიდ გავრცელება საქართველოში ჰპოვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, — აქ თავი მოიყარა ებრაელთა დიდმა რაოდენობამ, რომლებიც იყვნენ გამოქცეულნი რუსეთის იმ ოლქებიდან, სადაც ომი მძვინვარებდა[320]. მათ შორის მრავლად იყვნენ საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ცნობილი სიონისტები. ისინი დასახლდნენ ბაქოში, თბილისში, ბათუმში, სოხუმში. ამასთან, ამ პერიოდში ბათუმი წარმოადგენდა სიონისტებისათვის მოხერხებულ საემიგრაციო პუნქტს პალესტინაში გასამგზავრებლად[321]. ამიტომ ბათუმში სიონისტებმა შექმნეს ებრაული სასოფლო სამეურნეო ფერმა „ხალუციმი", რომელშიც გაერთიანებული იყო 20 ადამიანი. ამ ფერმის მთავარი მიზანი იყო ებრაელ რეპატრიანტთა მომზადება პალესტინაში, სამიწათმოქმედო საქმიანობისათვის. 1920 წელს მათ პირველად გაუშვეს 10 კაცი. რეპატრიაციასთან დაკავშირებით ბათუმელი ებრაელები ფულს კრებდნენ რასაც, მოწმობს კორესპონდენტ შ.მ. რიკლინის ცნობა: „ბათუმელმა ორმა ებრაელმა ფული დადო კოლონისტების სასარგებლოდ პალესტინაში"[322].

---

318 *Лория М. Тейф О.* К вопросу о сионистских кружках в Батуми.- ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, III, ბათუმი, 2001, გვ. 140.

319 *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* И-1, აღწ. 1, საქმე № 53, გვ. 1; საქმე № 411, გვ. 11-12.

320 *Краткая Еврейская энциклопедия,* II, Иерусалим, II, 1982, с. 247.

321 *Лория М. Тейф О.* К вопросу о сионистских кружках в Батуми. с. 143.

322 *ცენტრალური სიონისტური არქივი,* ფონდი Z -3, საქმე № 872.

1917 წლის აგვისტოში ქალაქ ბაქოში, ხოლო 1919-1920 წლებში ქალაქ თბილისში ჩატარდა სიონისტების კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბათუმელმა სიონისტებმა ა. პერცოვსკიმ, ბ. კენიგსონმა, ბ. პევზნერმა, ი. მისლისმა, უკანასკნელი გამოვიდა მოხსენებით „ებრაელთა ემიგრაცია ერეცისრაელში". ამავე კონფერენციის დადგენილების თანახმად, 1920 წელს ბათუმში იქმნება ცენტრალური პალესტინური კომისია ბ. პევზნერის ხელმძღვანელობით[323].

1920-1921 წლებში საქალაქო კომიტეტი გამოსცემდა გაზეთს „ებრაული ხმა" და „ბათუმის ექო". ორივე გამოცემის რედაქტორი იყო ბ. პევზნერი. თავის ფურცლებზე „ბათუმის ექო" საკმაოდ ენერგიულად და უკომპრომისოდ ებრძოდა ბოლშევიზმის იდეებს. ხსენებული გამოცემის ბოლო ნომერი გამოვიდა 1921 წლის 28 თებერვალს[324]. 1920 წელს ქალაქში მოქმედებდა მხოლოდ ერთი ფარული სიონისტური ორგანიზაცია[325].

სიონიზმმა ბიძგი მისცა ებრაულ ალიას. სიტყვა „ალია" პირდაპირი მნიშვნელობით — „აღმავლობას", „ამოსვლას" ებრაელთა ერეც-ისრაილში დაბრუნებას ნიშნავდა. ამ ტერმინით აღნიშნავენ აგრეთვე თორის წასაკითხავად მიწვეული პირის ასვლას სპეციალურ შემაღლებულ ადგილზე, თებაზე, სინაგოგაში. აზრობრივი კავშირი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა[326]. 1882-1903 წლებში დაიწყო პირველი ებრაული ალია ძირითადად რუსეთიდან, 1904-1914 წლებში მეორე ალია რუსეთიდან და პოლონეთიდან, 1919-1923 წლებში მესამე ალია ძირითადად რუსეთიდან, 1924-1932 წლებში მეოთხე ალია ძირითადად პოლონეთიდან, 1933-1939 წლებში მეხუთე ალია ძირითადად გერმანიიდან. მიგრანტთა დიდი ტალღა წამოვიდა ევროპიდან და არაბული სახელმწიფოებიდან მას შემდგომ, როდესაც დასრულდა ბრიტანული მმართველობის ხანა და 1948 წლის 14 მაისს გამოცხადდა ისრაელის დამოუკიდებლობა[327].

---

[323] *Российская Еврейская энциклопедия*, Санкт-Петербург, 1999, с. 158.
[324] *Болквадзе А.* Батумский морской торговый порт, Батуми, 996, с. 58.
[325] *Лория М. Тейф О.* К вопросу о сионистских кружках в Батуми, с.144.
[326] *სამუელი რ.* ებრაელთა ისტორიის გზაზე, თელ-ავივი, 1990, გვ. 310.
[327] *Facts About Israel*, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

ებრაელების მასობრივი ალია საქართველოდან ერეც-ისრაელში იწყება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, რის შედეგადაც ბევრად შემცირდა მათი რიცხოვნობა საქართველოში, მათ შორის ჩვენს საკვლევ რეგიონშიც.

თავისი პროგრესული იდეების წყალობით საქართველოს ებრაელობა მუდამ ავანგარდში იყო. ისტორიას ასსოვს იმის ბრწყინვალე მაგალითები, თუ როგორ დაიცვეს და დღეევანდელ დღემდე მოიტანეს ებრაელებმა თავიანთი, რწმენა და ოჯახური ტრადიციების სიწმინდე. ეროვნული თვითშეგნების განვითარებას მეტწილად ხელი შეუწყო ექვსდღიან ომში გამარჯვებამ, ალიის პიონერების – სამი ძმა მიხელაშვილების მაგალითმა, გაერო-ში გაგზავნილმა თერამეტი ქართველი ებრაელის წერილმა, და ბოლოს, არაჩვეულებრივად გაბედულმა შიმშილობის და პროტესტის აქციამ მოსკოვის ცენტრში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი მოვლენები კატალიზატორები იყვნენ პროცესებისა, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი გახდა 70-იანი წლების ალია საქართველოდან, რომელმაც, თავის მხრივ, დასაბამი მისცა დიდ ალიას ყოფილი სსრკ-ს ყველა რეგიონიდან[328].

აქვე გვინდა მოვიტანოთ ცნობილი „18 ებრაელის წერილი...“

ისრაელის წარმომადგენელს გაერო-ში,

პატივცემულ იოსებ ტეკოას,

ქ. ნიუ-იორკი, აშშ

ამ წერილს თან ვურთავთ გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიაში გაგზავნილი წერილის ასლს. მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ გადაუდებელი ზომები, რათა უმოკლეს დროში მოგვეცეს ისრაელში გამგზავრების ნებართვა. გთხოვთ აგრეთვე, მიიღოთ ზომები ამ წერილის გასავრცელებლად გაერო-ს წევრთა შორის და ასევე მის გამოსაქვეყნებლად პრესაში ყველა ხელის მომწერთა გვარებისა და სახელების, თუ საჭირო გახდა - მისამართების, მითითებით. რადგან შიშის დრო გავიდა - დადგა დრო მოქმედებისა, რადგან თუ არა მე, მაშ ვინ? და თუ დღეს არა, მაშ როდის?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების კომისიას.

---

328 *საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი.* www.georgianjews.org.

ჩვენ, საქართველოს 18 მორწმუნე ებრაელთა ოჯახი, მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ ისრაელში გამგზავრების საქმეში. ყოველმა ჩვენგანმა მიიღო რა მოწვევა ნათესავისგან ისრაელში, შეავსო სსრკ-ს სათანადო ორგანოების მიერ გამოგზავნილი ანკეტა. ყოველმა ჩვენგანმა მიიღო ზეპირი დაპირებანი, რომ გამგზავრებას არავინ შეუქმნიდა დაბრკოლებას. თითოეულმა ჩვენგანმა, ელოდა რა ყოველდღე, რომ მიიღებდა ნებართვას, გაყიდა ქონება და დაეთხოვა სამსახურიდან. მაგრამ თვეები, ზოგიერთისთვის — წლები გაილია, გამგზავრების ნებართვა კი არ მიგვიღია. ჩვენ დავაგზავნეთ ასობით წერილი და დეპეშა — ისინი გაქრნენ, როგორც ცრემლები უდაბნოს ქვიშაში: გეესმის ზეპირი უარი, წერილობითი პასუხი არ მიგვიღია, არავინ არაფერს არ გვიხსნის. ჩვენი ბედი არავის არ აღელვებს. მაგრამ ჩვენ ველოდებით, რამეთუ გვწამს, ჩვენ, საქართველოს 18 მორწმუნე ებრაელთა ოჯახი საჭიროდ ვთვლით აეხსნათ თუ რატომ გესურს ისრაელში გამგზავრება. ყველასთვის ცნობილია რამდენად სამართლიანად ხორციელდება სინამდვილეში სსრკ-ს ნაციონალური პოლიტიკა, რომლის თეორიული საფუძვლები ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფოს დამაარსებლის ვ.ი. ლენინის მიერ. დიდი ხანია ქვეყანაში აღარ არის ებრაელთა დარბევები, გეტო... ებრაელს შეუძლია თავისუფლად იაროს ქუჩაში, დასახლდეს სადაც სურს, დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თუნდაც მინისტრისა, რაც სსრკ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილის, ვ. დიმშიცის მაგალითშეც ჩანს. უმაღლეს საბჭოში არის ებრაელი დეპუტატიც — ა. ჩაკოესკი, „ლიტერატურული გაზეთის“ მთავარი რედაქტორი...

ამრიგად, რასობრივი დისკრიმინაცია არ გვაიძულებს დავტოვოთ ქვეყანა, მაშ იქნებ რელიგიური? მაგრამ ქვეყანაში დაშვებულია სინაგოგები, არავინ გვიშლის ვილოცოთ სახლშიც. ოღონდ, ჩვენი ლოცვები — ისრაელთანაა დაკავშირებული, რამეთუ გვიანდერძეს: თუ დაგივიწყო შენ იერუსალიმო, გახმეს მარჯვენა ჩემი. რამეთუ ჩვენ, მორწმუნე ებრაელები, ვთვლით, რომ არ არსებობს ებრაელი რწმენის გარეშე, როგორც რწმენა არ არსებობს ტრადიციების გარეშე. რაში მდგომარეობს ჩვენი რწმენა და ტრადიციები? ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომის ლეგიონები გარს ერტყნენ იერუსალიმს. მაგრამ ბლოკა-

დის ცნობილი საშინელებების მიუხედავად — შიმშილი, უწყ
ლობა, დაავადებები და მრავალი სხვა — ებრაელებმა არ უღა
ლატეს რწმენას და არ დანებდნენ. თუმცა ადამიანის შესა
ძლებლობებსაც აქვს საზღვარი — ბოლოს და ბოლოს წმინდ
ქალაქში შეიჭრნენ ბარბაროსები. ასე, ათასწლეულების წინა
განადგურდა წმინდა ტაძარი, და მასთან ერთად — ებრაულ
სახელმწიფო. მაგრამ დარჩა ერი: თუმცა ებრაელებმა, ვინ
იარაღის ხელში დაჭერა შესძლო, რომ არ დანებებულიყვნე
მტერს, ერთმანეთი დახოცეს, დარჩნენ სისხლისგან დაცლილ
დაჭრილები, მოხუცები და ბავშვები. და ვინც წასვლა ვე
შესძლო, ადგილზე იქნა მოკლული. ხოლო ვინც კი შეძლ
უდაბნოში წავიდა, და თუ გადარჩა — მიაღწია სხვა ქვეყანა
რათა ელოცა და დალოდებოდა. ამიერიდან უცხო ქვეყნებშ
მათ მოძულე ადამიანებს შორის უნდა მოეძებნათ საკვები. მუ
დამ გალანძღულნი, ჩირქმოცსებულნი, შეგინებულნი და დევ
ნილნი, სისხლითა და ოფლით მოიპოვებდნენ პურს არსებობის
და ზრდიდნენ შვილებს. მათი ხელები დაკოჟრილი იყო, სულ
კი სისხლით სავსე, მაგრამ ერი არ მომკვდარა. ებრაელებმ
მსოფლიოს მისცეს რწმენა და რევოლუციონერები, ფილო
სოფოსები და მეცნიერები, მდიდრები და ბრძენები, გენიოსებ
ბავშვური გულით და ბაეშვები მოხუცის თვალებით. არ არ
სებობს ცოდნის, ლიტერატურის და ხელოვნების არცერთი სფე
რო, სადაც ებრაელს თავისი წვლილი არ შეეტანოს. ებრაელთ
შემხიზვნელი არცერთი ქვეყანა არ არსებობს, რომელსაც მა
საკუთარი შრომით მადლობა არ გადაუხადეს. და რა მიიღე
სამაგიეროდ? თუ ყველასთვის ცხოვრება გასაძლისი იყო, ებ
რაელები შიშით ელოდნენ სხვა დროს. და თუ ყველასთვი
ცუდი დრო დგებოდა, ებრაელებმა იცოდნენ: მოვიდა მათი აღ
სასრულის ჟამი, და მაშინ ისინი იმალებოდნენ, ან გარბოდნე
ქვეყნიდან. და ვინც გარბოდა, ყველაფერს თავიდან იწყებდ
ხოლო ვისაც გაქცევა არ შეეძლო — იღუპებოდა. ვინც კი კარ
გად დაიმალებოდა, ელოდა სხვა დროებას. ვის აღარ უდევნი
ებრაელები, ამ საქმისთვის ყველა ერთიანდებოდა! საკმარის
იყო, უვარგის გენერლებს ომი წაეგოთ, იქვე დამნაშავე
ებრაელთა შორის ეძებდნენ. საკმარისი იყო პოლიტიკურ ავან
ტურისტს არ შეესრულებინა მთები მიცემული დანაპირებისა

იქვე მოიძებნებოდა მიზები — ებრაელი. ისინი იღუპებოდნენ ესპანეთის ინკვიზიციის ჯურღმულებში და ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში. ანტისემიტები დროშასავით აფრიალებდნენ დრეიფუსის საქმეს განათლებულ საფრანგეთში და ბეილისის საქმეს უწიგნურ რუსეთში... ებრაელებს კი ეს ყველაფერი უნდა აეტანათ. სხვათა შორის, მათ შეეძლოთ სხვებსავით მშვიდად ეცხოვრათ, საკმარისი იყო სხვა რწმენა მიეღოთ. ასეც მოიქცა ბოგიერთი — სულმხდალი ყველგან არის. მაგრამ მილიონები გადარჯულებას გაწამებულ სიცოცხლეს ამჯობინებდნენ, ხშირად კი — სიკვდილს. და თუ შეუხიზნავნი დაეხეტებოდნენ ისინი დედამიწაზე — ღმერთთან ყველას მოეძებნა ადგილი. და თუ მათი ფერფლი გაიფანტა მთელს მსოფლიოში, ხსოვნა არ მომკვდარა. ჩვენს ძარღვებში — მათი სისხლია, ჩვენი ცრემლები — მათი ცრემლებია. ასრულდა წინასწარმეტყველება: ფერფლიდან აღსდგა ისრაელი, არ დავივიწყეთ ჩვენ იერუსალიმი და ჩვენი ხელები სჭირდება მას. ჩვენ 18 ვართ — ისინი, ვინც ამ წერილს ხელი მოაწერა. მაგრამ ცდება ის, ვინც თვლის, რომ ჩვენ მხოლოდ 18 ვართ: ხელის მომწერთა რიცხვი გაცილებით მეტი შეიძლება ყოფილიყო. ამბობენ, რომ მსოფლიოში სულ 12 მილიონი ებრაელია. მაგრამ ცდება ის, ვინც ჩათვლის, რომ ჩვენ სულ 12 მილიონი ვართ. რამეთუ მათთან ერთად, ვინც ისრაელისთვის ლოცულობს, ჩვენ ასეული მილიონი ვართ, ისინი, ვინც აწვალეს, ვინც აღარ არის — ჩვენთან ერთ მწყობრში არიან, დაუმორჩილებელნი და მუდამ ცოცხლები, ბრძოლისა და რწმენის ტრადიციების გადმომცემნი. აი რატომ გვსურს ჩვენ ისრაელში გამგზავრება... გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ისტორიამ დააკისრა უდიდესი მისია — იფიქროს ადამიანებზე და დაეხმაროს მათ. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ იღონოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა და უმოკლეს ვადაში მიაღწიოს სსრკ-ს მთავრობისგან ჩვენი გამგზავრების ნებართვის მიღებას. გაუგებარია, როგორ შეიძლება XX საუკუნის ბოლოს ადამიანებს აუკრძალო, სადაც მათ სურთ იქ იცხოვრონ. უცნაურია, როგორ შეიძლება დავიწყება მოწოდებებისა ერთა თვითგამორკვევის შესახებ და, რა თქმა უნდა, ყოველი ერის შემადგენელ ადამიანთა უფლებების შესახებ. ჩვენ დაველოდებით

თეეები და წლები, თუ დაჭირდა – მთელი სიცოცხლე, მაგრამ რწმენას და იმედს არ ეუღალატებთ. გეწამს: ჩვენი ლოცვები ღმერთამდე მივიდა. ვიცით: ჩვენი მოწოდებები ნებამდეც მიეა. რამეთუ ჩვენ ვითხოეთ მცირედს – გაგეიშვან წინაპართა მიწაგე..."[329].

ეს წერილი ისრაელის ქნესეთში წაიკითხა ისრაელის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა, მაშინდელი მთავრობის მეთაურმა გოლდა მეირმა. წერილმა დიდი ძალა და სტიმული მისცა მოძრაობას „გამოუშვი ჩემი ხალხი"[330].

ებრაელთა ალიის მეორე ტალღა აჭარაში დაიწყო, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. სსრკ-ის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების პროცესში მკვეთრად გამოიკვეთა აბორიგენთა ეროვნული ინტერესები, მეორე მხრივ, გაიზარდა არააბორიგენთა საკუთრივ ეთნიკურ ტერიტორიებზე დაბრუნებისა და ეთნიკური კონსოლიდაციის მოთხოვნილება. ამან, მსგავსად მთელი საქართველოსი, თავისი ასასვა ჰპოვა ბოლო წლების აჭარის მოსახლეობის გარემიგრაციულ კავშირებში. აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ აჭარის მოსახლეობას მიგრაციული მიმოსვლა გააჩნია ძირითადად სსრკ-ის ყოფილ სამ რესპუბლიკასთან: რუსეთთან, უკრაინასთან და სომხეთთან, აგრეთვე საბერძნეთთან, თურქეთთან, ისრაელთან, გერმანიასთან. სხვა მიმართულებით მოძრაობა ჯერჯერობით მცირეა და რაიმე გამოკვეთილი ნაკადები არ შეიმჩნევა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სომეხი, უკრაინელი ემიგრანტები მიემართებიან არა სამშობლოსაკენ, არამედ რუსეთისა და სხვა ქვეყნებისაკენ. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ემიგრაციის მთავარი მიზანი არის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამ მხრივ გასაგებია ებრაელების ლტოლვა საკუთარი, უძველესი კულტურის მქონე და ამასთანავე ეკონომიურად განვითარებული ქვეყნისაკენ. აღრეულ წლებში მათი რეპატრიაციის ბევრი შეგღუდული ფაქტორი მოქმედებდა. ამჟამად პრაქტიკუ-

---

329 *საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი.*- www.georgianjews.org.

330 *ციციამეილი ა. ქართველ ებრაელთა ფენომენი.*- ჩვენ ქართველნი (ქართული ფენომენის აკადემია), თბილისი, 1998, გვ. 207.

ლად გააღვილებულია მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება. მიახლოებითი გამოთვლით სამი ათეული წლის განმავლობაში ორი ათასამდე ებრაელი გადასახლდა ისრაელში[331]. ბოლო წლებში წასულ ებრაელთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ 65 %-ს არ აკმაყოფილებდა ეკონომიკური დონე, დანარჩენმა კი განაცხადა, რომ სურთ დაიკმაყოფილონ სულიერი და ნაციონალური მოთხოვნილებები. ამ გამოკითხვის პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ ებრაელების მიგრაციის მთავარი მიზეზი არის ძირითადად როგორც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე ეთნიკურ-კულტურული გრძნობების გაღრმავება და ნოსტალგია ისტორიული სამშობლოსადმი, რასაც ნათლად აღასტურებს ერთ-ერთი ებრაელი რესპოდენტის მიერ მოთხრობილი ანეგდოტი:

„ისრაელში ემიგრაციის წინ ებრაელი უშიშროების კომიტეტში დაიბარეს.

— გვარი?

— შაქარიშვილი.

— ზუსტად?

— სახაროვი.

— უფრო ზუსტად?

— ცუკერმანი დაგვნაცვლე.

— შვილები გყავთ?

— არა.

— როგორ თუ არა, ჩვენი მონაცემებით ექვსი შვილი გყავთ!

— შემირცხვენია მასეთი შვილები, არ უნდათ ისრაელში წამოსვლა.

— საზღვარგარეთ ნათესავები თუ გყავთ?

— არა.

— როგორ თუ არა, ჩვენ ვიცით, რომ თქვენი და და ძმა ისრაელში არიან.

— უფროსო. ეს მე ვცხოვრობ საზღვარგარეთ, თორემ ისინი სამშობლოში ცხოვრობენ“.

ებრაელებს, განსაკუთრებით კი ქართველ ებრაელებს, ახასიათებთ დაინახონ, დააფასონ, არ დაივიწყონ ქართველთა სი-

---

[331] ძირითადად ქალაქ ხაიფაში, რომელიც ბათუმივით საზღვაო ქალაქია.

კეთე. ამიტომ გასაგებია ის, რომ როდესაც ქართველ ებრაელთა ნაწილი დაიძრა ისრაელისაკენ, მათ ქართველი მეზობლები სინანულითა და ცრემლებით აცილებდნენ. ეს არაქართველებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი გურამ ბათიაშვილი, ავტორი საკმაოდ გასმაურებული პიესისა „ვალი", რომელშიც შესანიშნავადაა გადმოცემული, თუ როგორ უჭირს ქართველ მეზობელს შეელიოს თავის ქართველ ებრაელ მეზობელს, როგორი ცრემლებით აცილებდნენ მას ისრაელში – იხსენებს: „როცა მე ამის თაობაზე 70-იან წლებში დავწერე პიესა „ვალი", ერთმა რუსმა თეატრალურმა კრიტიკოსმა არ დამიჯერა: როგორ შეიძლება რომელიმე ერი ებრაელობას ცრემლით ემშვიდობებოდესო"[332].

ებრაელთა გამგზავრებას ერეც-ისრაელში ხელმძღვანელობს სოხნუთი, მსოფლიო ებრაელთა სააგენტო – ებრაელთა სახელმწიფოს და ებრაელთა დიასპორის მთავარი დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც შეიქმნა 1929 წელს, როგორც ერეც-ისრაელის ებრაული თემის წარმომადგენლობა ბრიტანეთის ადმინისტრაციასთან, უცხოეთის მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ მსოფლიო ებრაულ სააგენტოსა და მსოფლიო სიონისტურ ორგანიზაციას დაევალა ზოგიერთი საერთო ეროვნული ამოცანის შესრულება: რეპატრიაცია და აბსორბცია, რეპატრიანტებისათვის სასოფლო-სამეურნეო დასახლებების შექმნა და საცხოვრებლის მშენებლობა, განათლება და ახალგაზრდული მოძრაობა, ქალაქების კეთილმოწყობა. სოხნუთის ხელმძღვანელი ორგანოებია მბრუნველთა საბჭო[333] და ასამბლეა, რომლის სხდომები წელიწადში ერთხელ იერუსალიმში ტარდება. მისი შემადგენლობის ნახევარი მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის წევრია.

სოხნუთის სააგენტომ საქართველოში საქმიანობა 1990 წლიდან დაიწყო. იგი წარმატებით უწყობს ხელს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა კულტურულ კავშირურთიერთობას ისრაელში საცხოვრებლად წასულ ებრაელობასთან, საქართველოს ებრაელთა რეპატრიაციას. აღნიშნული ორგანიზაცია დიდ

---

[332] *ციციაშვილი ა.* დასახ. ნაშრომი, გვ. 209.
[333] იკრიბება წელიწადში სამჯერ.

მუშაობას ეწევა საქართველოში დარჩენილ ებრაელობასთან, ამზადებს მათ ისრაელში გასამგზავრებლად. აწვდის დიდ ინ-ფორმაციას ისრაელის ცხოვრების ყველა სფეროს შესახებ. აგა-რებს სემინარებს, ეხმარება იერითის დაუფლებაში. სამი წლით აგზავნის ბავშვებს ისრაელში სასწავლებლად.

სოხნუთან მოქმედებს: ებრაული საინფორმაციო ჯაჭვი, რე-პატრიაციის საკითხების ჯგუფი, საკვირაო სკოლები – „ულფა-ნი“[334] თბილისში და ბათუმში, ახალგაზრდული და სტუდენტური ცენტრი, ქალთა კლუბი. ამ ორგანიზაციის ფილიალი დაარსდა ბათუმში 1994 წლის 19 მარტს. კოორდინატორებად მუშაობდნენ სოსო ბარდანაშვილი, სოლომონ ფერდმანი, კაკო სეფიამვილი, ოლეგ ტეიფი. აღნიშნულ ორგანიზაციას არენდით ჰქონდა აღე-ბული ოთახი სინაგოგის შენობაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათუმის ებრაულ დიასპორას დიდ დახმარებას უწევს ამე-რიკის ებრაელთა გაერთიანებული გამაერცელებელი კომიტეტი ჯოინთი[335]. რომელიც დაარსდა 1914 წელს, საქართველოში კი მოღვაწეობს 1992 წლიდან. იგი ებრაელთა შორის საქველმოქ-მედო საქმიანობას მთელი კავკასიის მასშტაბით ეწევა. დიდ ყუ-რადღებას უთმობს სათნოების სფეროს, ეხმარება ღრმად მოხუ-ცებულებს და ინვალიდებს, უდედმამო ბავშვებს. ისინი სურსა-თის, ტანსაცმლის სახით ყოველთვიურ ამანათებს გზავნიან – გორში, ბათუმში, ქუთაისში....

ბათუმელ ებრაელებს აქვთ „ქართულ-ებრაული კავშირურ-თიერთობის ასოციაცია“, რომელიც ოფიციალურად დაფუძნდა 1989 წლის 20 დეკემბერს.

ბათუმის ებრაულ ასოციაციასთან 1991 წლის 15 დეკემბერს შეიქმნა საკვირაო სკოლა, რომელიც განთავსდა მე-2 ქართულ საშუალო სკოლაში. სკოლაში ისწავლებოდა: ძველი ებრაული ენა, ლიტერატურა, ებრაელთა ისტორია. ამ სკოლას საფუძველი ჩაუყარა იმ ლექციებმა ისტორიასა და დაწყებით ივრითში რომელიც ტარდებოდა საზღვაო კლუბში, მუსიკალურ სასწავ-ლებელში, ქართველ ებრაელთა სინაგოგაში. 1992 წლის 10 ნო-ემბერს ბათუმელ ებრაელებს დაუბრუნდათ სინაგოგის შენობა. სწორედ ამ შენობაში გადმოვიდა ებრაული საკვირაო სკოლა.

---

[334] სასწავლებელი.
[335] საქველმოქმედო ორგანიზაცია.

1998 წლის ნოემბრიდან საკვირაო სკოლა გადავიდა სინაგოგი გვერდით აგებულ შენობაში. რომელსაც დაემატა მომღერალთ და მოცეკვავეთა გუნდი სიმხა.

1999 წელს ქალაქ ბათუმის სასამართლოში რეგისტრაცი გაიარა „ბათუმელ ებრაელთა თემმა".

თემის მიზანია ხელი შეუწყოს ბათუმის ტერიტორიაზ მცხოვრებ ებრაელთა გაერთიანებას.

თემი ახორციელებს შემდგომ საქმიანობას: ხელს უწყობ ებრაელთა რელიგიით გათვალისწინებული წესებისა და ტრა დიციების შესრულება-დამკვიდრებას თემში; ახორციელებს ებ რაელთა დღესასწაულებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს; იწ ვევს სპონსორებს სოციალურად დაუცველი წევრების მატე რიალური და სამედიცინო დახმარებისათვის; ამყარებს კავშირ სხვა რეგიონებსა და ქვეყნებში არსებულ ებრაულ და არაებ რაულ თემებთან, ახორციელებს მათ მიღება-გაცილებას; საგან მანათლებლო საქმიანობას.

ბათუმელ ებრაელთა თემთან საქართველოს მთავარი რა ბინის არიელ ლევინის ხელშეწყობით 2000 წლის სექტემბრი თვეში შეიქმნა „ებრაელთა საგანმანათლებლო ცენტრი", სადა ისწავლება ივრითი, ებრაული ტრადიცია, ინგლისური და კომ პიუტერი.

ამრიგად, განსილული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ებ რაელთა ალიის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა, ერთი მხრი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა და ნოს ტალგია, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკუ რი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივები.

ქართულ-ებრაული კავშირურთიერთობის ასოციაცია, ბათუ მელ ებრაელთა თემი, ებრაული სკოლები, სოხნუთი, ჯოინთ ერთობლივად ძირითადად ხელს უწყობენ ებრაული ტრადიციუ ლი კულტურის შენარჩუნება-განვითარებას, ეთნიკური თვით შეგნების გაძლიერებასა და მათ რეპატრიაციას ერეც ისრაელ ში.

ებრაელთა გარკვეული ჯგუფების შემოსვლა საქართველოში, მათ შორის უშუალოდ საქართველოს შავიზღვისპირეთში შესაძლებელი იყო ისრაელის სამეფოს განადგურების შემდგომ (ძვ.წ. 722წ.), მაგრამ უდავოა, რომ ძლიერი ებრაული დიასპორის გაჩენის პერიოდად მიჩნეული უნდა იყოს იერუსალიმის I ტაძრის დანგრევის შემდგომი პერიოდი, ესე იგი ნაბუქოდონოსორისაგან ლტოლვილნი ურიანი დასახლდნენ „ხერეს“.

აჭარაში ებრაელთა კომპაქტური დიასპორის წარმოქმნა უკავშირდება ოსმალთა ბატონობისაგან ამ კუთხის განთავისუფლებას, კერძოდ, XIX საუკუნის 80-იან წლებს. რის შემდგომაც აქ ძირითადად აშქენაზი და ქართველი ებრაელების სათეისტომოები ჩამოყალიბდა. ებრაელთა გვარებზე დაკვირვებით დადგინდა, რომ აშქენაზი ებრაელები ბევრად ჭარბობდნენ ქართველ ებრაელებს. ებრაელთა აჭარაში დასახლების მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა: ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობა, ქალაქის ეკონომიკური დაწინაურება და შესაბამისი დროის ისტორიული პროცესები. 1878 წლიდან ებრაული მოსახლეობის ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რაზეც მოსახლეობის აღწერის მასალებიც ნათლად მიუთითებს. თუმცა, ამ აღწერებთან დაკავშირებით უნდა გამოითქვას შემდეგი შენიშვნები: მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც უპირველესი წყაროა ეროვნების დასადგენად, რუსეთში განხორციელდა მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულში, თანაც ეთნიკური შემადგენლობის გასარკვევად გამოიყენეს დედაენა და არა ეროვნების ნიშანი; უფრო ადრინდელი პერიოდისათვის იყენებდნენ კამერალური აღწერის მასალებს და ხელისუფლების ორგანოების მიერ შეგროვილ პერიოდულ ცნობებს; ეს მონაცემები არ იყო სრული, შეიცავდა ბევრ უზუსტობას, რადგან ეროვნებას ხშირად აიგივებდნენ სარწმუნოებრივ და ეთნოგრაფიულ ნიშნებთან; მიგრაციული პროცესების ფართო მასშტაბის გამო საკმაოდ დიდი იყო ცვლილებანი ეროვნულ შემადგენლობაში როგორც დროში, ისე სივრცეში; ამავე დროს მიმდინარეობდა ასიმილაციის პროცესი; ეს გარემოებანი და ხელისუფლების მოხელეთა ნაკლები კომპეტენტურობა ეთნიკურ საკითხებში ბევრად აფერხებდა სწორი ცნობების შეგროვებას; არანაკლებ მნიშვნე-

ლოვანია ის გარემოება, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პო
ლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა მხა
რეებში ეროვნულ-უფლებრივი ინტერესების შელახვას, ათანაბ
რებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდი
ლობდა დაენაწევრებინა ერთიანი ეროვნული სხეული. აქედა
გამომდინარე, აღნიშნული აღწერები ყოველთვის იდენტურ შე
დეგს არ იძლეოდა.

აჭარში მცხოვრებ ებრაელთა გვარები მორფოლოგიურ-სე
მანტიკური შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგნა
ირად: გვარები, რომლებსაც ფუძედ აქვთ საკუთარი სახელები
იაკობაშვილი, იაკობიშვილი, მიხელაშვილი, იაკობსონი; რელი
გიურ-რიტუალური თანამდებობის სახელის შემცველი — ქოენი
შვილი, რაბინოვიჩი, კოგანი; ატრიბუტული სინტაგმები — მა
მისთვალიშვილი, ლიბერმანი; ხელობის ან საქმიანობის აღმ
ნიშვნელი — დოქტორმანი, აპტიეკარმანი, ფიშმანი, ფერდმანი
ბირმანი; გვარები, რომელთაც საფუძვლად დაედო წინაპრი
მეტსახელი — შვარცმანი, შვარცი; სადაურობის აღმნიშვნელ
გვარები — ნორდშტეინი, იერუსალიმსკი, ათანელაშვილი; საკუ
თარ გვარ-სახელად ქცეული ეთნონიმები — აშქენაზი, ურიშვი
ლი; თანამდებობის აღმნიშველი — გერმანი, ხახამიშვილი. უშუ
ალოდ ქართველ ებრაელებში გვხდება გვარები ოთხი ონომას
ტიკური დაბოლოებით: „შვილი“ — ჯანაშვილი; მეორე დაბო
ლოება „ძე“ — ბერიძე, ფიჩხაძე; მესამე დაბოლოება გვხედებ
ინფექსის სახით „ელ“ — კრიხელი; რუსულის გავლენით მიღე
ბული „ოვ“ დაბოლოების გვარები — მენაშეროვი, გაგულოვ
დანიელოვი, ათანელოვი, ზიზოვი. საერთოდ, აშქენაზ და ქართ
ველ ებრაელთა გვარები ისე ორიგინალურად არის შეზრდილ
ქართულ, რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ
და სხვა. სამყაროსთან, რომ მათი გამოცალკევება რაიმე ნიშ
ნით ვერც კი ხერხდება, მათგან ზოგი საზიაროა, ზოგიც მარტ
ებრაელთა წრეშია შექმნილი. მხოლოდ ზუსტი კვლევა-ძიები
შედეგად არის შესაძლებელი მათი ახსნა და მსჯელობა წარ
მოშობის შესახებ.

ებრაელებმა აჭარაში დასახლების დროს თან მოიტანე
მათთვის პირველსაცხოვრისში დამახასიათებელი ტრადიციულ

ყოფა. კულტურის ლოკალურ თავისებურებათა მრავალფეროვნება შეინიშნება როგორც ქართველ, ისე აშქენაზ ებრაელებში.

ქართველი და აშქენაზი ებრაელები სალოცავად ცალ-ცალკე, თავიანთ სინაგოგებში დადიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იუდაიზმი ორივესათვის საერთო იყო. ამგვარი განცალკევება მათ შორის არსებული ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სხვაობით უნდა აიხსნას. ქართველი ებრაელობა საკუთრივ ქართველებთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენდა, ვიდრე მის თანაგომელ აშქენაზ ებრაელებთან.

ებრაული თემის კულტურული იერსახის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წელილი მიუძღვის იუდაიზმს, თუმცა ქართულ ეთნოსთან საკმაოდ ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში ებრაულმა დიასპორამ არაგრადიციული, ქართულისათვის დამახასიათებელი კულტურის არაერთი ელემენტი აითვისა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქართველ ებრაელებს, რადგან აშქენაზ ებრაელებში ევროპული კულტურის გავლენა უფრო ჭარბობს.

ებრაელებში სოციალური ორგანიზაციის ძირითად ფორმას ოჯახი წარმოადგენდა, რომელიც ორი ან სამი თაობისაგან შედგებოდა. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობანი ყალიბდებოდა სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. ებრაული ტრადიციით, ოჯახის მმართველობას ასაკით უფროსი მამაკაცი ასორციელებდა. მამაკაცი უმთავრესად ოჯახის მატერიალური დოვლათის შექმნით იყო დაკავებული, ხოლო ქალი — შიდასაოჯახო საქმიანობას უძღვებოდა. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაც მომავალი თაობის აღზრდა წარმოადგენდა. ბავშვის აღზრდისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას, რაც ზოგადად, ეროვნული მეობის გადარჩენის აუცილებლობით იყო განპირობებული.

ებრაული ოჯახი სარძლოს ან სასიძოს უმთავრესად ეროვნული კუთვნილებისა და სარწმუნოების მიხედვით არჩევდა, თუმცა რეგიონში ბიეთნიკური ქორწინების არაერთი შემთხვევა ფიქსირდება, განსაკუთრებით აშქენაზ ებრაელებში. წმინდა ებრაულ ქორწილში მნიშვნელოვან როლს მაჭანკლობის ინსტიტუტი ასრულებდა. ქორწილი გულისხმობდა გარიგებას, ნიშნობასა და საკუთრივ ქორწილს.

ებრაული გლოვისა და დაკრძალვის რიტუალი, ასევე მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა ციკლი მრავალსაფეხურიანი იყო. მასში გამოკვეთილად ჩანდა იუდაისტური რელიგიის გავლენა. საფლავის ძეგლთა არქიტექტურაში დედის სახელის ფიქსირება ებრაელთა საოჯახო ყოფაში ნათლად მიუთითებს ქალის როლსა და ადგილზე.

ებრაული დიასპორის შიგნით ეროვნული მეობის შენარჩუნება არ იყო დამოკიდებული ამ დიასპორის სიდიდეზე. აჭარაში მცხოვრებ ებრაელებში ეროვნული ცნობიერების ფენომენი იმდენად ძლიერია, რომ იგი ბიეთნიკურ ოჯახებშიც შენარჩუნებულია. თორა და მოსეს კანონები წარმოადგენდა ცხოვრების წესს და განსაზღვრავდა ეროვნულ ხასიათს.

ებრაელები აჭარაში საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში იყვნენ ჩაბ მულნი: ეაჭრობდნენ, იხდიდნენ სამხედრო სამსახურს, იყვნენ კულტურისა და განათლების, ჯანდაცვის მუშაკები... რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებასა და მის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევას.

ებრაელთა ალიის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა და ნოსტალგია. რასაც მოწმობს 1969 წლის 6 აგვისტოს გაერთიანებული ერების ორგანიზასიის ადამიანთა უფლებების კომისიისადმი 18 მორწმუნე ებრაელის მიერ გაგზავნილი წერილი: „ჩვენი ლოცვები ისრაელთანაა დაკავშირებული, რამეთუ გვიანდერძეს: თუ დაგივიწყო შენ იერუსალიმო, გახმეს მარჯვენა ჩემი. რამეთუ ჩვენ, მორწმუნე ებრაელები, ვთვლით, რომ არ არსებობს ებრაელი რწმენის გარეშე, როგორც რწმენა არ არსებობს ტრადიციების გარეშე... ასრულდა წინასწარმეტყველება: ფერფლიდან აღდგა ისრაელი, არ დავივიწყეთ ჩვენ იერუსალიმი და ჩვენი ხელები სჭირდება მას“. ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივები.

ქართულ-ებრაულ კავშირურთიერთობის ასოციაცია, ბათუმელ ებრაელთა თემი, ებრაული სკოლები, სოხნუთი, ჯოინთი ერთობლივად ხელს უწყობდნენ ებრაული ტრადიციული კულტურის შენარჩუნება-განვითარებას, ეთნიკური თვითშეგნების გაძლიერებასა და მათ რეპატრიაციას ერეც ისრაელში.

Manuchar Loria

Jews in Georgian Black Sea Coast: History, Ethnography, Culture

One of the important directions of modern ethnographic science is the research of international relations, particularly ethno-cultural processes.

Georgia has c onstantly adopted different ethnic and religious diversities of population since ancient times, and the Jewish Diaspora has always been paid a special attention. Who can be considered as a Jew? This question is one of the main tasks of the Jewish society in the modern world. According to the researches in this sphere the Jews living in the different countries are divided into three groups: the Jews by birth and religion; the Jews by religion, but not by descent; the Jews by descent, but not by religion. It is very interesting to reveal and analyze the peculiarities of cultural and historical features formed in the process of economical, cultural and psychological adaptation of the Jews living in Georgian Black Sea Coast, particularly in Adjara.

Georgian-Jewish relation have quite a long history. The Jews have brought the peculiar traditional culture, religion, and in the process of national integration with the Georgian ethnos they have preserved their national originality. The phenomenon of a "Georgian Jew" expresses an interesting model of joint life of these two nations. This fact has a particular significance against the background of ethno-conflicts existing in Georgia.

Besides the above mentioned facts, the urgency of the question is stipulated by the common interest of Georgian and Jewish scientific society to research Georgian-Jewish relations. That will support to diversify the historical collage of the co-existence of these two nations and to strengthen Georgian-Jewish relations.

In the region of our interest of the Black Sea Coast there are more Ashkenazi Jews in number than Georgian Jews. We have thoroughly studied the historical-ethnographic and cultural peculiarities of the Jews li-

ving in Adjara. Particularly, we were the first to collect and represent the ethnographic peculiarities and almost unknown historic episodes of the Jews living in Adjara. Also the reasons, time and conditions of their settlement have been stated; the surnames and the Jewish groups living in Adjara have been cleared up; the family life, marriage ceremonies and habits, cult of deceased and generally, mourning and funeral rituals have been studied; the spheres of their activities, migration processes, etc. nave also been considered.

In order to find comparable ethnographic materials we have directed our researches in the neighbor regions of Adjara to make proper conclusions on the basis of comparable data.

The work uses the materials of field-ethnographic research that is based on historic-comparative, complex-intensive and visual anthropology methods known and adopted in ethnology.

The main basis of research is the materials of demographic and statistic census of population. There are also used the archive sources from central Zionistic Archives, Georgian State Central Historical Archives, The State Archives of the Autonomous Republic of Adjara, the Archives of registry offices of Adjara and Batumi, materials of N. Berdzenishvili Scientifis-Research Institute and manuscript fund of the ethnology department, also the works of Z. Chichinadze, R. Tavdishvili, I. David, E. Mamistvalishvili, T. Ivelashvili, T. tsagareishvili, R. Shamelashvili, I. Gagulashvili, Z. Jinjikhashvili, L. Magali, K. Abuladze, Ts. Meskhishvili, Sh. Tsitsuashvili and others.

The compact settlement of the Jews in Adjara began after 1878. The main conditions of the settlement were: the geographical location of Batumi, trade-economic prosperities and corresponding historical processes. According to the statistic census of the Jewish surnames in Adjara it is obvious that Ashkenazi Jews greatly exceeded in number the Georgian Jews. This situation was one of the peculiarities of the Jewish Diaspora in Adjara. the similar balance of the Georgian and Ashkenazi Jews is rare. The spoken language within the Ashkenazi Jews was Russian, while the Georgian Jews spoke the Georgian language. While settling in Adjara the Jews brought the traditional style of life that is typical for them. The

diversity of local peculiarities can be noticed in Georgian and Ashkenazi Jews.

In Adjara two independent Diasporas – of Georgian and Ashkenazi Jews have been established. The Georgian and Ashkenazi Jews went to pray separately to separate synagogues in spite of their common faith – Judaism. This separation can be explained by the difference of the traditional living culture between them. The Georgian Jews were closer to the ethnic Georgians than to Ashkenazi Jews. This fact has been reflected into the marriage relations too.

Judaism has played a particularly important part in the formation of cultural appearance of Jewish community, though in the conditions of quite long co-existence with the Georgian ethnos the Jewish Diaspora has adopted a number of non-traditional elements that are typical for Georgian culture. That particularly concerns to Georgian Jews, while the influence of European culture is stronger within Ashkenazi Jews.

Family has always been the main form of social organization within the Jews. It consisted of two or three generations. The relation between the family members has been formed according to the sex-age signs. Correspondingly with the Jewish tradition an elderly man managed the family governing. A man was mainly occupied by making the material welfare for his family, and a woman led the domestic affairs. Her one of the main functions was the upbringing of the future generation. The Jews paid particular attention to the strengthening the national self-consciousness in their children that was stipulated by the necessity of the survival of the Hebrew nation.

A Jewish family chose a bride and a bridegroom according to their nationality and faith. Although there are a number of be-ethnic marriages in the region, particularly in Ashkenazi Jews. The institute of pander played the main role in pure Jewish marriages. the marriage procedure meant pandering, engagement and the wedding ceremonies.

The Jewish ritual of mourning and funeral, also the cycle of the deceased cult was multi-staged. The influence of Judaism was great. The fixation of mother's name in the grave monument architecture indicates to the particular function of a woman in a Jewish family.

To keep the national peculiarities within the Jewish Diaspora did not depend on its size. The phenomenon of national consciousness within the Jews living in Adjara was so great that it was preserved even bi-ethnical families. The laws of Thora and Moses represented the life-style and defined the national character.

The Jews in Adjara participated almost in every sphere of social life: they were engaged in commerce, served in military forces, worked in the educational, public health care, cultural fields, etc. and supported the economical, success of the region to turn it into the cultural-educational center.

On the one hand, the main purpose of the Jews was the opportunity to return to their historical homeland and the nostalgia. That is proved by the letter of the 18 believer Jews to the Human Rights Commission at the United Nation Organization of August 6, 1969. The letter says: "Our prayers are connected with Israel, as we were willed: if I forget you, Jerusalem, my right hand will fade away. We, believer Jews, consider that there is no Jew without faith, and there is no faith without tradition. The prediction has been fulfilled: Israel rose up from the ashes, we have not forgotten Jerusalem and it needs our hands". On the other hand, the prosperities of economical improvement was essential.

The Association of Georgian-Jewish relations, the community of the Jews in Batumi, Jewish schools, Sokhnut, Joint altogether supported the preservation and development of Jewish traditional culture, strengthening of the national self-consciousness and their repatriation to Saint Israel.

Манучар Лория

Евреи в Причерноморье Грузии: История, этнография, культура

Исследование межэтнических взаимоотношений, в том числе и этнокультурных процессов, является одним из главных направлений современной этнологии.

Грузия издавна характеризовалась как этническим, так и конфессиональным разнообразием, в котором еврейская диаспора занимАла немаловажное место. Кого можно считать евреем? Этот вопрос является важнейшим для мирового еврейского сообщества. По исследованиям, проведенным в этом направлении, евреи, живущие в разных странах, разделяются на три группы: еврей по рождению и религии; еврей по религии, но не по рождению; еврей по рождению, но не по религии.

Поэтому важно определить и проанализировать те особенности культурно-исторического характера евреев, проживающих в причерноморской зоне Грузии, которые сформировались в процессе их хозяйственно-экономической, культурной и психологической адаптации.

Грузино-еврейские взаимоотношения имеют длительную историю. Евреи принесли характерную для себя традиционно-бытовую культуру, религию и, несмотря на определенную интеграцию с грузинским этносом, сохранили их.

Нужно отметить, что «грузинский еврей» является интересным примером совместного проживания людей различной национальной и конфессиональной , что на фоне этноконфликтов в Грузии представляет особый интерес.

Кроме вышеуказанного, актуальность темы определяет и то обстоятельство, что исследование грузино-еврейских взаимоотношений одинаково интересно как для грузинских, так и для еврейских научных кругов. Оно станет определенным вкладом в изучение

истории совместного проживания грузин и евреев, буд
вовать дальнейшему укреплению их взаимоотношений.

В интересующем нас регионе, в Причерноморье Гру
ских евреев живет меньше, чем евреев ашкенази. Про
рико-этнологических и культурологических особенно
были изучены на примере евреев Аджарии. Но отметим,
внения имеющегося материала исследования проводил
районах, соседних с Аджарией.

В работе впервые собраны и полностью представл
вестные до настоящего времени историко-этнографич
нности евреев, проживающих в Аджарии. Установлен
время, условия поселения и фамилии евреев. Опреде
внутри-еврейские субэтнические группы проживали в р
чены их семейный быт, свадебный обычай, культ пред
нный ритуал. Исследованы также их деятельность и м
процессы.

Проведенное в данной работе полевое этнографич
дование основывается на известных в этнологии исто
тельном, комплексно-интенсивном и визуально антроп
методах.

Работа основывается на демографических и статист
териалах переписи населения. Использованы и мате
трального сионистского архива, Центрального государс
торического архива Грузии, Центрального государствен
Аджарской автономной республики, архива Аджарского
го бюро ЗАГСА, Аджарского государственного музея, а
писные материалы отдела этнологии и антропологии ис
ского института им. Н. Бердзенишвили. В ней учтены ре
учных работ З. Чичинадзе, Р. Тавдишвили, И. Давида, Е.
лишвили, Т. Ивелашвили, Т. Цагареишвили, Р. Шамелаш
гулашвили, З. Джинджихашвили, Л. Магалиа, К. Абула
хишвили, Ш. Цицуашвили и др.

Компактное поселение евреев в Аджарии начин
1878 года. Его основными условиями были: географич

ложение Батуми, торгово-экономические перспективы и сопутствующие исторические процессы. По подтвержденным в Аджарии статистическим данным видно, что евреи ашкенази явно превосходили численно грузинских евреев. Отмеченная специфика является одной из особенностей еврейской диаспоры в Аджарии. В Грузии такой баланс почти не встречается. Среди грузинских евреев основным разговорным языком являлся грузинский, , а среди евреев ашкенази-русский язык.

В Аджарии сформировались в основном две независимые общины, грузинских евреев и евреев ашкенази. Они и молились порознь, в своих синагогах, несмотря на то, что иудаизм был общей религией для обеих общин. Такое разделение может быть объяснено разницей между ними в традиционно-бытовой культуре. Грузинские евреи больше тяготели к грузинам, чем к некогда их сородичам евреям ашкенази. Это отразилось и на брачных взаимоотношениях между ними.

В формировании культурного облика еврейской общины особую роль сыграл иудаизм, хотя в условиях длительного совместного проживания с грузинским этносом, еврейская диаспора освоила не один нетрадиционный элемент, характерный для грузинской культуры. Указанное в первую очередь касается грузинских евреев, так как среди евреев ашкенази заметнее влияние европейской культуры.

Основной формой социальной организации евреев является семья, которая состояла из двух или трех поколений. Среди членов семьи отношения формировались по половозрастному признаку. По еврейской традиции семьей управлял мужчина, старший по возРасту. Мужчины в основном занимались материальным обеспечением семьи, а женщины - домашними делами. Одной из их основных функций было воспитание будущего поколения. При этом основное внимание уделялось укреплению в детях национального самосознания.

Еврейская семья жениха или невесту в основном подбирала по национальному признаку и вероисповеданию, хотя в регионе зафиксированы и факты биэтнических браков, особенно среди евреев ашкенази. В создании еврейской семьи важную роль играет институт

свата. Существовали договор, сватовство и свадьба.

Еврейский похоронный ритуал, а также цикл обычаев, связанных с культом покойника, отличается многоступенчатостью. В нем заметно явное влияние иудаизма, Фиксированные имени матери покойника или покойницы в надгробье явно указывает на место матери в еврейском семейном быту.

Сохранение национального самосознания внутри еврейской диаспоры не зависело от количества его членов. Среди евреев, живущих в Аджарии, феномен национального самосознания настолько силен, что он сохранился и в биэтнических семьях. Тора и законы Моисея являлись законом жизни и определяли национальный характер.

Евреи в Аджарии были заняты во всех сферах общественной жизни: торговали, служили в армии, были работниками культуры, образования, здравоохранения..., что во многом помогло экономическому развитию региона, его превращению в центр культуры и образования.

Основной причиной Алии евреев из интересующего нас региона является возможность возвращения на историческую родину и ностальгия, что подтверждается письмом, посланным 6 августа 1969 года 18 верующими евреями в комитет по правам человека при ООН: «...наши молитвы связаны с Израилем, так как нам завещали: если я забуду тебя Иерусалим, то пусть отсохнет моя правая рука. Так как мы, верующие евреи, считаем, что не существует еврея без веры, также как вера не существует без традиции... и осуществилось предсказание: из пепла восстал Израиль, и не забыли мы Иерусалим и наши руки нужны ему». Вместе с тем для них была важна и перспектива улучшения собственного экономического положения.

Ассоциация грузино-еврейских взаимоотношений, община Батумских евреев, еврейские школы, Сохнут, Джойнт совместно помогали сохранению и развитию традиционной культуры евреев, Укреплению их национального самосознания и репатриации в Ерец-Израиль.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი პირველი
საქართველოს ებრაელთა ეთნოკულტურული ეტიუდები 11

თავი მეორე
აჭარაში ებრაელთა დასახლების ისტორია და
ეთნორელიგიური მოზაიკა 31

თავი მესამე
ებრაელთა ტრადიციული ყოფა 80

თავი მეოთხე
სიონისტური მოძრაობა და ალია ერეც ისრაელს 113

დასკვნა 127

Jews in Georgian Black Sea Coast:History, Ethnography, Culture 131
Евреи в Причерноморье Грузии:История, этнография, культура 135

გამომცემლობის დირექტორი
ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.03.2009
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 9
ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35.